# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№270 (12641) 17 ნოემბერი ოთხშაბათი 2008 ფასი 50 თეთრი





# მესამედის ჩემპიონი




შუსტერს დრო ჩაურთეს »»» 7

საჭადრაკო ოლიმპიადა. დრეზდენი 2008

»»» 11

## ქალები ოთხეულში, ვაჟები ოცეულს მიღმა



ჯიბრილ სისეს გოლის ეპიზოდში ხიზანიშვილმა ბლექბერნს ვერაფერი უშველა




## ხიზანიშვილს მწვრთნელი და ქურდები სწყალობენ

ლეგიონი »»» 5


პე ეს პე ჩემი ოჯახის აფთიაქია



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს XX ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
XI ტური

# პირველი წრე ვიტ ჯორჯიისაა

15.11. გორი. თ. ბურჯანაძე
100 მაყურებელი

**ვიტ ჯორჯია-მგლები**

**3:0**

1:0 კვარაცხელია (7. ხურცილავას პასით), 2:0 ლიპარტია (31. კვარაცხელიას პასით), 3:0 კვარაცხელია (82. ხურცილავას პასით)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - ხურცილავა, კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე - რაზმაძე (83. ყველაშვილი), ჯანელიძე (60. მაისაშვილი), მელქაძე, კლიმიაშვილი - ლიპარტია (70. ბერიაშვილი), კვარაცხელია.

*სათადარიგოები: მიქაბერიძე, კვალინიძე, ვასაძე, ლუჭაშვილი*

მგლები: მამალაძე - ჭითანავა, ხუხია, ბაჯელიძე, რეხვიაშვილი - გუჩუა, ჯოჯუა, გულორდავა (80. ჭოხონელიძე), ლომია - დარსანია (46. ქუცურუა), მიქაბერიძე (70. ხურციძე).

*სათადარიგოები: ქალდანი, ხარაძე*

გაძევება: გულორდავა (80)

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

„ვიტ ჯორჯიამ" გზაზე შემოყრილი „მგლები" იოლად ჩამოიცილა გზიდან და პირველი წრე მოიგო, თუმც ვეტერინარებს ხელი „ლოკომოტივის" ზესტაფონურმა მარცხმაც გაუმართა. ზუგდიდელებმა რიგიანად გახურებაც ვერ მოასწრეს, რომ მდევრის როლში აღმოჩნდნენ და მერეც - ოდნავადაც კი ვერ დააყენეს ეჭვქვეშ მეტოქის ყოველმხრივი უპირატესობა. მოედანზე მატჩი კორექტულობით გამოირჩეოდა, აი, მოედნის მიღმა კი... მე-80 წუთზე შეცვლილი **გიორგი გულორდავა** გასახდელისკენ გინებით რომ მიემართებოდა, არბიტრმა **ალექსანდრე კრიჭაშვილმა** წითელი ბარათი გზაში დააწია...

დებიუტიდან მოყოლებული, მასპინძელთა იერიშებით დაწყებული მატჩი უფრო გამორჩეული მათი შემტევი დუეტისთვის იყო. გორული დაპირისპირების გმირებად სწორედ **ვახტანგ კვარაცხელია** და **ჯაბა ლიპარტია** იქცნენ. მათი პროდუქტიულობა ერთია და, თამაშის განსხვავებული სტილი კი ცალკე აღნიშვნის ღირსია. ლიპარტია დაუღალავად აწუხებს მცველებს, კვარაცხელიას კი პერიოდულად ჩრდილში დგომა სჩვევია, მაგრამ მისი „აფეთქება", როგორც წესი, დამანგრეველია ხოლმე. ისედაც, **რამაზ მუმლაძის** გუნდი ხომ მრავალფეროვნად უტევდა მოწინააღმდეგეს და, კვარაცხელია-ლიპარტიას ტანდემი კი ამ მრავალფეროვნებას დამატებით ეფექტს სძენდა.

პირველი სერიოზული ხიფათი მე-7 წუთზე **ხურცილავას** მიერ მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებულს მოჰყვა და საპირისპირო ძელთან ჩასაფრებულმა კვარაცხელიამ უმალ გოლიც „გამოძერწა" - 1:0. ცოტა ხანში **ლომაიას** თავურით ანგარიშის გაზრდას სულ ცოტა დააკლდა. შემდეგ იმავე კვარაცხელიას მიერ დაახლოებით 25 მეტრიდან შესანიშნავად შესრულებული საჯარიმო დარტყმა მეკარე **მამალაძემ** გაჭირვებით მოიგერია.

**ბესიკ შეროზიას** შეგირდებმა ერთხანს წინააღმდეგობის გაწევა სცადეს, თითქოს შეტევებსაც მოუხშირეს, ოღონდ, ღირებულს მაინც ვერაფერს გამორჩნენ. მათი თავდასხმის ხაზი მასპინძელთა მცველებმა სრულად გაანეიტრალეს. რიგიანი კომბინაციის ხორცშესხმა ზუგდიდელ შუახაზელებსაც უჭირდათ. მოკლედ, მატჩი მთლიანად ვიტჯორჯიელთა კარნახით მიდიოდა, ოღონდ, პირველი გოლის შემდეგ მამალაძის კარზე გაშმაგებული დაწოლა აღარ ყოფილა... მაგრამ ეს მხოლოდ 31-ე წუთამდე - კვლავაც აქტიური მარჯვენა ფლანგიდან ბურთი საჯარიმოში მყოფ კვარაცხელიას მიუვიდა. თავის მხრივ, მან იქვე ახლოს მყოფი ლიპარტია მოძებნა, რომელმაც ბურთი მკერდზე მიიღო, შემოტრიალდა და მიწაზე დაუშვებლად, ძლიერი დარტყმით გაახვია ბადეში - 2:0. ვფიქრობთ, ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ გოლი ძალზე ლამაზი და ეფექტური გამოვიდა. ამის შემდეგ ვიტელებმა კიდევ ერთხელ მოუშვეს მარწუხები, თუმც თამაშზე კონტროლი არ დაუკარგავთ.

მეორე ნახევარში ზუგდიდელებმა ტემპს მოუმატეს. მოედანზე ახალშესულმა „მგელმა" **გიორგი ქუცურუამ** რამდენჯერმე გაამწვავა თამაში, თუმცა ცოტა ხანში ყველაფერი თავის ადგილას დაბრუნდა - „ვიტ ჯორჯიამ" სიტუაცია ჩააწყნარა. მატჩის ბოლომდე ბრძოლა ძირითადად ცენტრალური ხაზის არეალში მიმდინარეობდა. მასპინძლები მოედნის მთელ სივრცეს უფრო ბურთის შენარჩუნებისა და დროის გასაყვანად იყენებდნენ, ვიდრე მორიგი იერიშის წამოსაწყებად.

ამასობაში, მუმლაძემ ვერცხლისწყალივით მოძრავი ლიპარტიაც გაიყვანა მოედნიდან. კვარაცხელიამ კი, ერთხანს ჩრდილში ყოფნა რომ არჩია, 82-ე წუთზე ისევ „გამოანათა". ის დროულად გამოეხმაურა (ისევე, როგორც პირველი გოლისას) ხურცილავას ზუსტ ფლანგურ გადაცემას და სხვაობა სამამდე გაზარდა - 3:0.

დარჩენილ დროში ზუგდიდელებმა ვითომ პრესტიჟის გოლის გატანა მოინდომეს, მაგრამ ის, რასაც 82 წუთის განმავლობაში ვერ ახერხებდნენ, რა გასაკვირია, რომ დარჩენილ მცირე დროშიც განუხორციელებელი დარჩათ.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

# დინამოს მესამედი მესამეა

15.11. თბილისი. ეროვნული.
170 მაყურებელი

**დინამო-ბორჯომი**

**5:0**

1:0 სპასოევიჩი (29), 2:0 სპასოევიჩი (40. ელიავას პასით), 3:0 ოდიკაძე (53-პენ), 4:0 ოდიკაძე (60-პენ), 5:0 ნერგაძე (71)

დინამო: ოვონო - თომაშვილი, შ. კაშია, გ. კაშია, ელიავა - ოდიკაძე (70. გველესიანი), ნერგაძე, დილმელაშვილი (80. ინწკირველი), ფირცხალავა - გ. მერებაშვილი, სპასოევიჩი (70. ჯიუსი).

*სათადარიგოები: ლორია, მინდორაშვილი, მამუჩიშვილი, სიხარულიძე*

ბორჯომი: შეყრილაძე - ვაჩიბერაძე (74. ნ. ლომიძე), ლაცაბიძე, ვ. ხორგუაშვილი, ქარქუზაშვილი - ავალიანი, ნ. ნოზაძე, ლ. ვაშაკიძე, ალავერდაშვილი (64. გოგიჩაიშვილი), ბეჟანიძე (60. დევიძე) - კიკნაძე.

სათადარიგოები: ჯინჭარაძე, ი. ლომიძე

გაფრთხილება: ქარქუზაშვილი (50), ვაშაკიძე (86)

არბიტრი: ლ. სილაგავა



ამ ტურით ჩემპიონატის მესამედი, ანუ პირველი წრე დასრულდა. ეს მესამედი მოქმედმა ჩემპიონმა თბილისის „დინამომ" მესამე ადგილზე და გოლების ფოიერვერკით ჩაამთავრა. ხუთიდან მინიმუმ ორი მაინც გამორჩეული გახლდათ. უნდა ითქვას, რომ გატანილი გოლების გარდა, „დინამომ" ლამაზი ფეხბურთიც შემოგვთავაზა და თამაშზე მყოფი **ექტორ კუპერიც** (თანაშემწე **ხოსე ფანტაგუცისთან** ერთად) უთუოდ ასიამოვნა.

თავიდანვე ვთქვათ, რომ სტუმრებს **პავლე ხორგუაშვილი** აკლდათ, თუმცა მასპინძელთა საკადრო პრობლემები გაცილებით თვალშისაცემი იყო - შაბათს „დინამომ" დისკვალიფიცირებული **მათე ვაწაძის, მილოშ კრშკოსა** და **ლევან ხმალაძის** გარეშე ითამაშა, მაგრამ ისე, რომ გამარჯვება არ გასჭირვებია.

რაც შეეხება თამაშს, საბოლოო შედეგიდანაც ნათლად ჩანს, რომ მატჩი დინამოელთა სრული უპირატესობით წარიმართა. მასპინძელთაგან **სპასოევიჩს, ოდიკაძეს, ელიავასა** და **ნერგაძეს** გამოვარჩევდით. ამ კვარტეტიდან სპასოევიჩმა და ოდიკაძემ დუბლები მოითვალეს, ელიავამ საგოლე პასი ჩაიწერა აქტივში, ნერგაძემ კი საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. რაც შეეხებათ სტუმრებს, მათგან ყველაზე მეტად **კიკნაძე** აქტიურობდა. „დინამოს" მეკარე **ოვონოს** სულ ორჯერ მოუხდა თამაშში ჩართვა და ერთხელ სწორედ კიკნაძის დარტყმულს გადაეფარა. თუმცა ბორჯომელთა მერვე ნომერი მეორე ტაიმში დაილალა და ნაკლებად ჩანდა, ამ დროისთვის კი მისი გუნდი უკვე დიდი ანგარიშით აგებდა...

პირველად, მე-8 წუთზე, თბილისელთა კაპიტანმა ოდიკაძემ დაარტყა კარში, მაგრამ ოდნავ არაზუსტად. მერე ნერგაძის დარტყმული ასცდა მცირედით მიზანს. 22-ე წუთზე კიკნაძემ იაქტიურა, მაგრამ მცველებმა კარში არ დაარტყმევინეს. დინამოელებმა გოლი ნელ-ნელა მოამწიფეს. 29-ე წუთზე შეტევა სპასოევიჩმა და **მერებაშვილმა** წამოიწყეს. ამ უკანასკნელმა წაიფორხილა, ჩერნოგორიელმა კი იერიში გააგრძელა და **შეყრილაძეს** მახვილი კუთხიდან შორეულ ძელთან შეუგდო - 1:0. სამიოდე წუთში სპასოევიჩს კიდევ შეეძლო გატანა - კვლავ მახვილი კუთხიდან დაარტყა, მაგრამ ამჯერად ოდნავ აacილა კარს.

თბილისელები ერთ გოლს არ დასჯერდნენ და მე-40 წუთზე ლამაზი შეტევა ეფექტურად დააგვირგვინეს - ნერგაძემ ფლანგზე ელიავა მოძებნა, ამან კი საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც სპასოევიჩმა მცველს დაასწრო და ბურთი ქუსლით შეაგორა კარში - 2:0.

ჩემპიონი არც მეორე ტაიმში მოდუნებულა. 52-ე წუთზე **შოთა კაშია** ჩაერთო შეტევაში, საჯარიმოში შეიჭრა, მაგრამ **ქარქუზაშვილმა** წესების დარღვევით შეაჩერა. დაინიშნა 11-მეტრიანი, რომელიც ოდიკაძემ მშვიდად აქცია გოლად - 3:0. მალევე, კაპიტანს კიდევ ერთხელ მოუწია პენალტის შესრულება. ამჯერად არბიტრმა უმკაცრეს ზომას მერებაშვილის წაქცევისთვის მიმართა და ოდიკაძეს არც ამ ჯერზე აუკანკალდა „ხელი" - 4:0.

რამდენიმე წუთში **რაინერ ცობელმა** მას სათადარიგოებისკენ უხმო. ოდიკაძემ კაპიტნის სამკლაური ნერგაძეს გადაულოცა, რომელმაც ეს ამბავი გოლით აღნიშნა - ძლიერად და ოსტატურად დაარტყა, შეყრილაძე კი უძლური აღმოჩნდა - 5:0.

დინამოელებს კიდევ შეეძლოთ რამდენიმე გოლის გატანა. თვალშისაცემი იყო ნიგერიელი **დონალდ ჯიუსის** მონდომება. მან მხოლოდ 20 წუთი ითამაშა და ორჯერ იხეირებდა კიდეც, შეყრილაძის თავგანწირვა რომ არა. მერე თითო საგოლე მომენტი **გურამ კაშიასა** და **გველესიანსაც** ჰქონდათ, მაგრამ 5:0 უცვლელი დარჩა.

**დავით ცაბაძე**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 10 | 6 | 3 | 1 | 15-7 | 21 |
| 2. ზესტაფონი | 10 | 6 | 2 | 2 | 13-6 | 20 |
| 3. დინამო | 10 | 6 | 1 | 3 | 20-10 | 19 |
| 4. ლოკომოტივი | 10 | 6 | 0 | 4 | 14-9 | 18 |
| 5. სიონი | 10 | 3 | 5 | 2 | 9-6 | 14 |
| 6. მგლები | 10 | 4 | 0 | 6 | 10-12 | 12 |
| 7. მესხეთი | 10 | 3 | 3 | 4 | 9-12 | 12 |
| 8. ოლიმპი | 10 | 2 | 6 | 2 | 7-7 | 12 |
| 9. გაგრა | 10 | 3 | 2 | 5 | 10-15 | 11 |
| 10. ბორჯომი | 10 | 2 | 4 | 4 | 10-19 | 10 |
| 11. სპარტაკი | 10 | 1 | 0 | 9 | 6-20 | 3 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ალექსიძე (ლოკომოტივი) | 6 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 6 |
| ვაწაძე (დინამო) | 6 |
| გაბედავა (გაგრა) | 5 |
| კიკნაძე (ბორჯომი) | 5 |
| ოდიკაძე (დინამო) | 5 |
| გ. თოდუა (მგლები) | 5 |
| კოშკაძე (სიონი) | 4 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 4 |
| სამადაშვილი (მესხეთი) | 4 |
| ლომია (მგლები) | 3 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 3 |
| ცქიტიშვილი (ლოკომოტივი) | 3 |
| ლიპარტია (ვიტ ჯორჯია) | 3 |

**II წრე**
**XII ტური**

**21 ნოემბერი. პარასკევი**

სიონი-მგლები

**22 ნოემბერი. შაბათი**

მესხეთი-ლოკომოტივი
დინამო-გაგრა
ზესტაფონი-ოლიმპი
ვიტ ჯორჯია-ბორჯომი
*სპარტაკი ისვენებს*

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**
დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გაზეთი ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

| 15.11. ზესტაფონი. ცენტრალური 2000 მაყურებელი |
| --- |
| ზესტაფონი-ლოკომოტივი |
| 3:1 |

1:0 გელაშვილი (16. გოცირიძის პასით), 1:1 კახელიშვილი (25. ცქიტიშვილის პასით), 2:1 ჩასემი (67. იონანიძის პასით), 3:1 დაუშვილი (90)

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე - ბოიომო, თოდუა, ლობჟანიძე - ბენაშვილი, ხიდეშელი (56. იონანიძე), დაუშვილი, რ. ონიანი - ბ. გოცირიძე (30. ძარია), ჩასემი, გელაშვილი (90. ლომაშვილი).

*სათადარიგოები: ძაძამია, ნ. კვასხვაძე, შ. ლონლაძე, დოს სანტოსი*

ლოკომოტივი: ლომაია - ფოფხაძე, ლ. ჩაგელიშვილი (85. ზ. ჩხეტიანი), ბებუა, მახარაძე (71. დ. ჩაგელიშვილი) - გილაური (46. ბარბაქაძე), სარალიძე, ცქიტიშვილი, დიაკვნიშვილი -კახელიშვილი, ალექსიძე.

*სათადარიგოები: ბათიაშვილი, ფარულავა, წულაძე, კაჭახიძე*

გაფრთხილება: ცქიტიშვილი (43), ჩაგელიშვილი (45), ბებუა (64), ჩასემი (67), ლობჟანიძე (72)

გაძევება: დიაკვნიშვილი (82)

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

# ლოკომოტივი ზესტაფონიდან დაგორდა

„ზესტაფონი"-„ლოკომოტივის" დაპირისპირება ისეთი მატჩების კატეგორიას განეკუთვნებოდა, ეროვნულ ჩემპიონატს ლაზათსა და სილამაზეს რომ მატებს. ყველაფერი შედარებითია და ეს მატჩიც, რა თქმა უნდა, ევროგრანდების ჯახს არ ჰგავდა, მაგრამ აქაც იყო ის ნიუანსები, რისთვისაც გულშემატკივარი ფეხბურთს აფასებს - მაღალი ტემპი, ბრძოლა, ინდივიდუალიზმი, მწვრთნელთა ტაქტიკური ჭიდილი, დრამატული ეპიზოდები, ლამაზი კომბინაციები და, რაც მთავარია, გოლებიც. მზიანი ამინდი და კარგი მოედანი კი თამაშს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდიდა.

მატჩს საკმარისზე მეტი ინტრიგა ახლდა თან. „ლოკომოტივი", რომელიც ზედიზედ სამი მარცხით ზურგდამძიმებული ესტუმრა ზესტაფონს, მოგების შემთხვევაში პირველი წრის გამარჯვებული ხდებოდა, ხოლო, თუ მასპინძლები მოიგებდნენ, მინიმუმ მეორე ადგილზე გადაინაცვლებდნენ. საბოლოოდ, სწორედ ასე მოხდა - გამარჯვება „ზესტაფონს" დარჩა, „ლოკომოტივი" კი მეოთხე ადგილზე ჩამოქვეითდა.

**გიორგი კიკნაძემ** ამ მატჩისთვის **დარასელია, გუშარაშვილი, სამხარაძე** და **ჩირიკაშვილი** მოისაკლისა. თემურ **მახარაძემ** კი ოპტიმალურ შემადგენლობას მოუყარა თავი, თუმც პრობლემები თამაშის დროს შეექმნა, როცა ერთობ აქტიურმა **გოცირიძემ** ტრავმა მიიღო და მოედანი ნაადრევად დატოვა.

თამაში სწრაფ ტემპში დაიწყო. მახარაძემ ბოლოდროინდელი ტრადიცია დაარღვია და მეტოქეს საკმაოდ გახსნილი ფეხბურთი შესთავაზა. თბილისელებმა თავიდან კონტრშეტევებზე ააგეს თამაში, მაგრამ მერე მასპინძლებს ტემპში აჰყვნენ და თამაში დინამიურად წარიმართა. მე-16 წუთზე ზესტაფონელთა პირველივე სახიფათო შეტევას გოლი მოჰყვა. **ბენაშვილმა** მარჯვენა ფრთიდან მეტოქის საჯარიმოში მყოფი გოცირიძის მისამართით ჩაჰკიდა ბურთი, ბექამ კი თავით კარის წინ მყოფი **გელაშვილი** მოძებნა და ამანაც თავური დარტყმით დალაშქრა **ლომაიას** კარი - 1:0 ამ ეპიზოდში აშკარად შეცდნენ „ლოკომოტივის" ცენტრალური მცველები, რომლებმაც გელაშვილი კარის წინ უყურადღებოდ მიატოვეს.

„ზესტაფონი" უპირატესობას ფლობდა, სტუმრები კი ინერტულად ირჯებოდნენ და მასპინძლებს თითქოს ხიფათი არ ემუქრებოდათ, მაგრამ როცა გუნდში **ცქიტიშვილისა** და **ალექსიძის** დარი შემსრულებლები არიან, ყოველთვის უნდა ელოდო სიურპრიზებს... ლოკომოტიველთაგან საუკეთესო სწორედ ცქიტიშვილი იყო, რომელმაც გონივრული პასით დებიუტშივე გაამწვავა თამაში, თუმცა იმ ეპიზოდებში მის გადაცემებს შესაბამისი გაგრძელება აღარ მოჰყოლია. 25-ე წუთზე კი ცქიტიშვილმა საგოლე პასი გაიფორმა - ალექსიძემ ქუსლით დაუგორა ცქიტიშვილს, რომელმაც **კახელიშვილი** გამოზომილი გადაცემით შეატოვა მეკარეს და ანგარიში გათანაბრდა.

პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში გაილია, ტემპი კვლავ მაღალი იყო და სახიფათო მომენტები მეტ-ნაკლებად ორივე კართან იქმნებოდა, თუმც რეალურ საგოლე სიტუაციებამდე საქმე არ მისულა.

შესვენების შემდეგ უპირატესობას „ლოკომოტივი" დაეუფლა. 54-ე წუთზე **დიაკვნიშვილმა** მარცხენა ფლანგზე დანიშნული ჯარიმიდან ბურთი პირდაპირ კარისკენ გაგზავნა და **კვასხვაძეს** დიდი ჯაფა დააყენა. ცოტა ხანში, **ბარბაქაძის** ჩაწოდების შემდეგ, **ლობჟანიძემ** კინაღამ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. 61-ე წუთზე კი იყო ეპიზოდი, რომელსაც, შესაძლოა, მატჩის სცენარი სულ სხვა მიმართულებით წაეყვანა - დაცვის მარცხენა ფლანგზე **ჩასემი** შეცდა, **ბებუას** ჩაწოდების შემდეგ ალექსიძემ მკერდით გაისწორა ბურთი და მძლავრად დაჰკრა, მაგრამ კვასხვაძემ, პატარა სასწაულის ხარჯზე, თითქმის აუღებელი ბურთის მოგერიება შეძლო.

ამ ეპიზოდამდე ცოტა ხნით ადრე მახარაძემ **ხიდეშელის** ნაცვლად გამოცდილი **იონანიძე** შეუშვა. ზესტაფონელთა გამარჯვებაც, მნიშვნელოვანწილად, სწორედ ამ სვლამ განაპირობა. 67-ე წუთზე იონამ მარჯვენა ფლანგზე გაილალა და მცველებისგან უყურადღებოდ დარჩენილ ჩასემს საჯარიმოში პირდაპირ თავზე დაასვა ბურთი. კამერუნელს გატანა არ გასჭირვებია, მაგრამ გოლის შემდეგ ეიფორიაში ჩავარდა და მსაჯს ყვითელი ბარათი გამოსტყუა.

ზესტაფონელთა მორიგი შეტევისას სტუმართა კარში სახიფათო ჯარიმა დაინიშნა. ამას ფეხბურთელთა შორის მცირე შეხლა-შემოხლა მოჰყვა, თუმცა ემოციები მალევე დაცხრა და გართულებები აღარ ყოფილა. 75-ე წუთზე **ჩაგელიშვილმა** კარგად მიიღო ბურთი და შემობრუნებით სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ კვასხვაძემ ამ ეპიზოდშიც იყოჩაღა. ცოტა ხანში ცქიტიშვილმა მცირე სოლორეიდს ძლიერი დარტყმაც მიაყოლა, მაგრამ ბურთი ხარიხას გადასცდა.

82-ე წუთზე „ლოკომოტივი" მოედანზე 10 კაცით დარჩა, რამაც მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. მოედნის ცენტრში გელაშვილმა სტუმართა მცველს მოპარა ბურთი და საჯარიმომდე მარტომ ირბინა, ზედ საჯარიმოს ხაზთან კი ის დიაკვნიშვილმა და ლომაიამ ერთობლივი ძალისხმევით წააქციეს. მსაჯმა წესების დამრღვევად დიაკვნიშვილი მიიჩნია და მოედნიდან გააძევა. სამიოდე წუთში გელაშვილმა კიდევ იაქტიურა - ჯარიმის გათამაშების შემდეგ მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა, სადაც მცველმა უხეშად შეაჩერა. ზესტაფონელთა ფორვარდი პენალტს ითხოვდა, მაგრამ მსაჯმა სტუმრები „არ გაწირა".

„ლოკომოტივი" მესამე გოლს მაინც ვერ გადაურჩა. მსაჯის მიერ კომპენსირებულ ბოლო წუთზე სტუმრებმა კუთხურის უფლება მოიპოვეს. ყველა ლოკომოტიველი ზესტაფონელთა საჯარიმოში ჩავიდა, მათ შორის, მეკარე ლომაიაც. კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი კვასხვაძის ნადავლი გახდა და ხელითვე უმალ დაუშვილს გადაუგდო, ამან კი ცოტა გაირბინა და როგორც ხელსაყრელი დისტანცია დაიგულა, დაახლოებით 40 მეტრიდან ბურთი ცარიელ კარში შეაგდო. ამ გოლით, დაუშვილმა სანაკრებო მატჩის წინ კარგი განწყობა შეიქმნა...

### მატჩის შემდეგ

**გიორგი კიკნაძე (ლოკომოტივი):** *„ასეთი მატჩები ჩემპიონატს ალამაზებს. ძალიან დაძაბული თამაში იყო. ჩემი აზრით, ფრეს მაინც ვიმსახურებდით. ტრავმების გამო ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლდა და ამან ჩვენს გუნდზე ცუდად იმოქმედა. სამწუხაროა, რომ დავმარცხდით, მაგრამ ამისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. წინ კიდევ ბევრი მატჩია და ლიდერებში დასაბრუნებლად ბრძოლას გავაგრძელებთ".*

**თემურ მახარაძე (ზესტაფონი):** *„ძალზე პრინციპული შეხვედრის მოგება მოვახერხეთ. „ლოკომოტივი" ძლიერი გუნდია და ჩვენ წინააღმდეგ მოტივაცია არ აკლდა, რაც მოედანზეც კარგად გამოჩნდა. მეორე ტაიმში მეკარე კვასხვაძეს რომ არ გადავერჩინეთ, არავინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები. ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ ბიჭებმა გამარჯვებისთვის ყველაფერი გაიღეს და უძვირფასესი 3 ქულა მოვიპოვეთ".*

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

## პირველი ლიგა

### აღმოსავლეთი. XI ტური

**14 ნოემბერი**

| | |
| --- | --- |
| სამგორი-ლიახვი | 4:1 |
| ბორჯომი 2-ალაზანი | 1:0 |
| დუშეთი-ერთობა | 2:0 |
| დინამო 2-ალგეთი | 1:3 |
| ამერი 2-იმედი | 2:0 |
| IBSU-სპარტაკი 2 | 2:4 |

**15 ნოემბერი**

| | |
| --- | --- |
| ჰერეთი 2-ზოოვეტი | 5:1 |
| ლოკომოტივი 2-გარეჯი | 1:1 |
| 35-ე ს.ს-არაგველები | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 1. დუშეთი | 11 | 7 | 0 | 3 | 22-10 | 21 |
| 2. სპარტაკი 2 | 11 | 6 | 2 | 2 | 26-14 | 20 |
| 3. ბორჯომი 2 | 11 | 6 | 0 | 4 | 15-15 | 18 |
| 4. ლოკომოტივი 2 | 11 | 6 | 2 | 2 | 23-11 | 20 |
| 5. ერთობა | 11 | 6 | 2 | 2 | 20-16 | 20 |
| 6. ამერი 2 | 11 | 5 | 1 | 4 | 15-10 | 16 |
| 7. გარეჯი | 11 | 6 | 0 | 4 | 14-11 | 18 |
| 8. სამგორი | 11 | 4 | 3 | 3 | 18-15 | 15 |
| 9. არაგველები | 11 | 4 | 4 | 2 | 13-7 | 16 |
| 10. ჰერეთი 2 | 11 | 4 | 0 | 6 | 21-19 | 12 |
| 11. ლიახვი | 11 | 4 | 3 | 3 | 17-16 | 15 |
| 12. ალგეთი | 11 | 3 | 2 | 5 | 11-18 | 11 |
| 13. 35 ს.ს. | 11 | 2 | 4 | 4 | 15-20 | 10 |
| 14. იმედი | 11 | 3 | 4 | 3 | 13-16 | 13 |
| 15. I.B.S.U. | 11 | 3 | 1 | 6 | 16-23 | 10 |
| 16. ალაზანი | 11 | 2 | 2 | 6 | 7-19 | 8 |
| 17. ზოოვეტი | 11 | 2 | 1 | 7 | 11-19 | 7 |
| 18. ნ. დინამო 2 | 11 | 0 | 3 | 7 | 5-24 | 3 |

### დასავლეთი. X ტური

**10 ნოემბერი**

| | |
| --- | --- |
| სამტრედია 2-მერცხალი | 0:0 |
| ნ/ტორპედო-ჭიათურა | 0:1 |
| მარგვეთი-მარტვილი 2 | 1:1 |
| სძური-ბაია 2 | 0:3 |
| გურია 2-ადელი | 2:0 |

**11 ნოემბერი**

| | |
| --- | --- |
| ტორპედო 2-იმერეთი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 1. მერცხალი | 9 | 6 | 3 | 0 | 16-6 | 21 |
| 2. ბაია 2 | 10 | 5 | 3 | 2 | 23-11 | 18 |
| 3. სამტრედია 2 | 10 | 5 | 2 | 3 | 13-10 | 17 |
| 4. გურია 2 | 8 | 5 | 1 | 2 | 19-11 | 16 |
| 5. მარტვილი 2 | 9 | 5 | 1 | 3 | 12-10 | 16 |
| 6. კოლხეთი 2 | 9 | 5 | 0 | 4 | 18-12 | 15 |
| 7. მარგვეთი | 9 | 3 | 3 | 3 | 12-16 | 12 |
| 8. ნ/ტორპედო | 9 | 3 | 1 | 5 | 7-10 | 10 |
| 9. ტორპედო 2 | 8 | 3 | 1 | 4 | 15-16 | 10 |
| 10. იმერეთი | 9 | 3 | 1 | 5 | 10-13 | 10 |
| 11. ჭიათურა 2 | 9 | 3 | 0 | 6 | 11-20 | 9 |
| 12. ადელი | 9 | 2 | 1 | 6 | 11-19 | 7 |
| 13. სძური | 8 | 1 | 1 | 6 | 7-20 | 4 |

# მესხეთმა ბორჯომული ნავსი გატეხა

## გაბელაია: ასეთი სუსტი გუნდი ჯერ არ მყოლია

| 16.11. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი 100 მაყურებელი |
| --- |
| მესხეთი-სპარტაკი |
| 1:0 |

1:0 სამადაშვილი (14 გრიგალაშვილის პასით)

მესხეთი: სომხიშვილი - რაქვიაშვილი, გ. კვახაძე, მემარნიშვილი, ლეკიშვილი - თაყაძე, გრიგალაშვილი (90. გაგუა), თედიაშვილი, ინასარიძე (73. გოჩაშვილი) - სამადაშვილი, გონჩაროვი (82. სუდაძე).

*სათადარიგოები: ძამუნაშვილი, კობესაშვილი, ქოჩორაშვილი, მურმანიშვილი*

სპარტაკი: ქვილითაია - კობახიძე, ხაჭიპერაძე, ქორიძე, მამუკაშვილი - შალამბერიძე, ჯანგიძე, გოგოხია, გ. ხიდეშელი (81. ოსიფაშვილი), მაისურაძე (66. ბონ. გოცირიძე) - სირბილაძე.

*სათადარიგოები: გ. იაშვილი, ლ. დათუნაშვილი, გაბელაია, ლონლაძე*

გაფრთხილება: კობახიძე (46), მაისურაძე (64), შალამბერიძე (69)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

„მესხეთსა" და „სპარტაკს" უკან დასახევი გზა არ ჰქონდათ. ისინი ის გუნდები არიან, რომელთაც სწორედ ერთმანეთთან უნდა აელოთ ქულები. ორივეს აკლდა მოთამაშეები: „მესხეთს" - **ქებაძე, ახალაია** და **ლევან მერებაშვილი**, „სპარტაკის" სამი ფეხბურთელი კი საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებთან ერთად იტალიაში იმყოფება, ერთიც ტრავმირებულია.

როგორც იქნა, „მესხეთმა" ნავსი გატეხა და ბორჯომის „დათარსულ" სტადიონზე გაიმარჯვა. თავად განსაჯეთ, აქამდე მოგებებს მხოლოდ გასვლით მატჩებში ზეიმობდა, „შინ" კი 8 თამაშიდან 2 წაგო და 6 ფრედ დაამთავრა. ის კი არა და, კლუბის ხელმძღვანელობა აცხადებდა - თუ ეს მატჩიც ვერ მოვიგეთ, თამაშებს ბორჯომიდან სხვა ქალაქში გადავიტანთო.

რა შეიძლება ითქვას ამ მატჩზე? „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდებისო", სწორედ ამაზეა ნათქვამი, ანუ - რა გუნდებიც იყვნენ მოედანზე, შესაფერისი თამაშიც ვიხილეთ. ეს განსაკუთრებით სტუმრებზე ითქმის. ისინი ბევრს მოძრაობდნენ, თავს არ ზოგავდნენ... იგრძნობოდა, რომ თამაშის მნიშვნელობა კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული და პასუხისმგებლობითაც მოეკიდნენ საქმეს, მაგრამ... მაგრამ შედეგის მისაღწევად ეს ყველაფერი საკმარისი არ აღმოჩნდა. ამ მარცხის შემდეგ „სპარტაკის" მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა.

რაც შეეხებათ ახალციხელებს, მათ განსაკუთრებული მობილიზაციის გარეშე გაიმარჯვეს - დახარჯეს ის ოპტიმალური ენერგია, რაც მოსაგებად იყო საჭირო. „მესხეთმა" დიდწილად დასაწყისშივე გადაწყვიტა მატჩის ბედი, როცა მე-14 წუთზე **გრიგალაშვილის** მიერ მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებულ კუთხურს **სამადაშვილმა** თავით შეუცვალა მიმართულება და ბურთი ხარიხიდან ბადეში გაეხვია.

90 წუთის განმავლობაში არ ყოფილა დროის არც ერთი მონაკვეთი, რომ „მესხეთის" უპირატესობა საეჭვო გამხდარიყო, პირიქით, მასპინძლებს მეტის გატანაც შეეძლოთ. მეორე ტაიმის დასაწყისში იყო დაახლოებით 10-წუთიანი მონაკვეთი, როცა **კობა თედიაშვილის** ბიჭები დიდი ძალებით ეკვეთნენ მოწინააღმდეგეს და **ლეკიშვილის** ჩაწოდება **გონჩაროვმა** კინაღამ გოლითაც დააგვირგვინა.

მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ არბიტრმა **ლევან კვარაცხელიამ** (კვალიფიციურად იმსაჯა) სამი ფეხბურთელი გააფრთხილა, მთლიანობაში მატჩი კორექტულად წარიმართა.

### მატჩის შემდეგ

**კობა თედიაშვილი (მესხეთი):** „შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ, თამაშის ხარისხით კი - არა. ჩვეულებრივი ტაქტიკით ვითამაშე - ორი თავდამსხმელი და გრიგალაშვილი ცენტრში, მაგრამ როცა დავინახე, რომ ამ უკანასკნელს პერსონალური მეურვე ჰყავდა მიჩენილი, მარცხნივ გადავწიე იმ მიზნით, რომ მცველიც გაეყოლიებინა. ინასარიძე კი თავის „ძველ ადგილზე", ცენტრში გადმოვიყვანე. ამ ნაბიჯმა გაამართლა. ამ მატჩის არმოგება ჩვენთვის კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა. ახლა მომავალს იმედიანად ვუყურებ, თან „მხოლოდ" სამი მოთამაშე დამრჩა ტრავმირებული".

**სერგო გაბელაია (სპარტაკი):** „ორი განსხვავებული ტაიმი ვითამაშეთ. პირველ ტაიმში ბიჭები ხელფეხშეკრულები იყვნენ. ასე ვთქვათ, ვერ მოერგნენ ხელოვნურ მინდორს. მეორე ტაიმში კი შეთამაშდნენ, ამოძრავდნენ და რაღაც შექმნეს... მაგრამ თუ გულახდილად ვიტყვით, უმაღლეს ლიგაში მუშაობის დიდი გამოცდილება მაქვს და ასეთი სუსტი გუნდი ჯერ არ მყოლია. ხელშეწყობა გვაქვს და მეორე წრეში ახალი გუნდი უნდა გაკეთდეს. საქმის გამოსწორება შეიძლება".

**ომაზ ჩხეიძე**
ბორჯომიდან




15.11. რუსთავი. ფოლადი.
700 მაყურებელი

**ოლიმპი-სიონი**

**0:0**

ოლიმპი: მერლანი - თ. ლონდაძე, მაჭავარიანი, გ. ონიანი, აკუასაგა - გ. სეთურიძე, ჩიკვილაძე (80. გაბიდაური), ბაბუნაშვილი, ფეიქრიშვილი - ფიფია (85. მიკუჩაძე), გ. ჩხეტიანი.

*სათადარიგოები:* სტურუა, დეკანოსიძე, კ. ალადაშვილი

სიონი: ბობლიაშვილი - კაკაშვილი (67. ლ. ბაჯელიძე), დ. სვანიძე, შავგულიძე, ხუბუა - სანიკიძე (60. შ. ჯიქია), ზ. ჭელიძე, დიდავა, კოშკაძე (46. ა. ალავიძე) - ი. შენგელია, ს. იაშვილი.

*სათადარიგოები:* ქვაჩახია, რ. გოცირიძე, დავითაშვილი, ჩივაძე

გაფრთხილებები: სვანიძე (20), ონიანი (41)

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

# უგოლო დერბი

ქვემოქართლური დერბი, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთობ დაძაბული და საინტერესო გამოდგა. არც ის გახლავთ უმნიშვნელო მომენტი, რომ წინა მატჩებთან შედარებით, „ფოლადის" სტადიონზე გულშემატკივრების რაოდენობა გაიზარდა (უკვე 700 კაცის მოსვლა გვიკვირს); თანაც, ქომაგთა არცთუ მცირე ჯგუფი ბოლნისიდანაც იყო ჩამოსული.

ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ რაღაც განსაკუთრებული თამაში ვიხილეთ, თუმცა მონდომებას ვერც ერთ გუნდს დავუკარგავთ - „ოლიმპმაც" და „სიონმაც" სასურველი შედეგის მისაღწევად ყველაფერი გააკეთეს. მასპინძელთათვის სასურველი შედეგი, რაღა თქმა უნდა, გამარჯვება უნდა ყოფილიყო და **ვარლამ კილასონიას** შეგირდებს ამისთვის ძალ-ღონე არ დაუკლიათ. თავის მხრივ, „სიონს" მეორე ტაიმში იმდენი საკადრო პრობლემა შეექმნა, რომ მოპოვებული ერთი ქულით უდავოდ კმაყოფილნი დარჩებოდნენ. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ შეხვედრის შინაარსს: მასპინძელთა ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა (განსაკუთრებით - პირველ ტაიმში) ეჭვს არ იწვევდა.

„ოლიმპმა" პირველი წუთებიდანვე სწრაფი ტემპი შესთავაზა მეტოქეს და იმის მიუხედავად, რომ ორი წამყვანი ფეხბურთელი (**დენის დობროვოლსკი, გიორგი მეგრელაძე**) აკლდა, მატჩის უმეტესი დრო „სიონის" საჯარიმოს მისადგომებთან გაატარა. თავის მხრივ, **ოთარ კორლალიძის** გუნდი დაცვაში ორგანიზებულად ირჯებოდა და ასევე სწრაფი კონტრშეტევების იმედად იყო. თუმცა გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ „სიონის" ერთადერთ ნომინალურ ფორვარდს **სანდრო იაშვილს** პარტნიორებისგან აშკარად მეტი მხარდაჭერა სჭირდებოდა. ისე, ერთობ საინტერესო გახლდათ იაშვილისა და მისი პერსონალური მეურვის **გიორგი ონიანის** „დუელი", 90 წუთის განმავლობაში რომ გრძელდებოდა. შეგეხსენებთ, რომ იაშვილი XVIII ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ასევე საუკეთესო ბომბარდირი იყო, ონიანი - იმავე ჩემპიონატის საუკეთესო მცველი. მერე, ორივემ უცხოეთს მიაშურა და აი, ერთწლიანი შესვენების შემდეგ მათი დაპირისპირება ისევ შედგა. ვერც ერთზე ვიტყვით, მეტოქე დაჯაბნაო - ორივემ ღირსეულად ითამაშა და მათმა პაექრობამაც გარკვეული ხიბლი შემატა ამ შეხვედრას.

„ოლიმპმა" პირველი სახიფათო შეტევა მეშვიდე წუთზე შექმნა: **ფიფია-ჩიკვილაძის** კომბინაციას **გიორგი ფეიქრიშვილის** ძლიერი დარტყმა მოჰყვა, მაგრამ ბურთი მიზანს ასცდა. ერთ წუთში **გიორგი სეთურიძემ** გაისროლა შორიდან, მაგრამ დარტყმა არაზუსტი გამოდგა. მერე ისევ ფეიქრიშვილს შეექმნა კარგი მომენტი, თუმცა ყველაზე რეალური მაინც **გაგა ჩხეტიანის** იყო, როცა მეტოქის მოულოდნელი საჩუქარი ვერ შეიშნო. ისე, ამ ეპიზოდში „სიონის" კაპიტანის, **დავით სვანიძის** გარჯაც დასაფასებელია, ვინც სულ ბოლო მომენტში დაასწრო მასპინძელთა ცენტრფორვარდს. „ოლიმპმა" ტაიმის მიწურულსაც მწვავედ შეუტია, მეტოქეც გვარიანად ანერვიულა, მაგრამ ვერც თენგიზ ჩიკვილაძემ და ვერც გიორგი ფეიქრიშვილმა კარში ზუსტად დარტყმა ვერ მოახერხეს.

რაც შეეხება „სიონის" შეტევებს, სტუმრებმა „ოლიმპის" კარის მიმართულებით მხოლოდ ორჯერ დაარტყეს: ჯერ სვანიძის შორეული დარტყმა გახლდათ არაზუსტი; მერე კი, ერთობ ლამაზი კომბინაციაც ვიხილეთ: **შენგელია-იაშვილი-კოშკაძის** მონაწილეობით, თუმცა ბურთი მცირე მანძილით ასცდა **მირზა მერლანის** კარს.

მეორე ტაიმში თამაშის ტემპი ოდნავ დაეცა, სამაგიეროდ ორივე გუნდის ფეხბურთელების მოქმედებაში საკმაოზე მეტი წუნი შეინიშნებოდა. ამას გარდა, ემოციებმაც მოიმატა და ნერვული ფონი შეხვედრის ბოლო წუთებამდე გაგრძელდა. ორივე გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელები მსაჯების ლამის ყველა გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ, აღარაფერს ვამბობთ ტრიბუნებიდან წამოსულ უკმაყოფილებაზე. სამწუხაროდ, მეორე ტაიმში სანახაობრივმა მხარემ აშკარად უკანა პლანზე გადაიწია; მით უმეტეს, რომ სტუმრებს ორი იძულებითი შეცვლის გაკეთებაც მოუხდათ: შვიდწუთიან ინტერვალში ჯერ **ლევან სანიკიძემ** მიიღო ტრავმა, მერე - **ვლადიმერ კაკაშვილმა**. ამის გამო იყო, რომ ოთარ კორლალიძეს ტაქტიკური გადაადგილებების გაკეთება მოუხდა (**დიდავა** მარჯვენა მცველად გადავიდა). ...მთავარი კინაღამ დაგვავიწყდა - მთელი მატჩი ხომ მასპინძელთა უპირატესობით მიდიოდა, ამის მიუხედავად, „სიონის" მეკარე **მინდია ბობლიაშვილს** საკუთარი ოსტატობის დამტკიცება არ დასჭირვებია! სამაგიეროდ, მეორე ტაიმში ორჯერ ითამაშა საიმედოდ მირზა მერლანმა: „ოლიმპის" მეკარემ ორივეჯერ **არჩილ ალავიძის** სახიფათოდ შესრულებული „სტანდარტულები" მოიგერია. და მაინც, ყველაზე რეალური მომენტი „ოლიმპს" ჰქონდა: მატჩის დასრულებამდე ათიოდე წუთი რჩებოდა, **შოთა ბაბუნაშვილმა** შორეული და მოხდენილი პასით გაგა ჩხეტიანი ხელსაყრელ პოზიციაზე რომ გაიყვანა. მასპინძელთა თავდამსხმელმა ბურთი მეკარისგან დაუცველ, შორეულ კუთხისკენ გაგზავნა, მაგრამ დარტყმა სულ ოდნავ არაზუსტი აღმოჩნდა.

...ბოლოს იყო მთავარი არბიტრის მიერ დამატებული და ნამეტნავად ნერვული სამი წუთი, საფინალო სასტვენი და ორივე მხრიდან წამოსული ხმამაღალი უკმაყოფილება მსაჯებთან მიმართებაში. იმაზე აღარაფერს ვამბობთ - სამთავრობო ლოჟიდან რომ გინების კორიანტელი მოდიოდა; თანაც - საკუთარი გუნდის ფეხბურთელების მისამართით...

**გია ტუხაშვილი**
რუსთავი-თბილისი

ინტერვიუ რამაზ მუმლაძესთან

# არასდროს ვწუწუნებდი...

## სადეკემბრო გამოცანა: თოვლი, ყინვა და ტალახი, ანუ როგორ უნდა ვითამაშოთ ფეხბურთი?

**საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე დასრულდა. ცხრილის სათავეში თბილისის „ვიტ ჯორჯია" მოექცა. რა თქმა უნდა, ეს არ არის მოულოდნელობა - გუნდი ბოლო წლებში ერთ-ერთი მოწინავეა საქართველოში. ახლა, ალბათ, ის იქნება გადამწყვეტი, ვინ როგორ გაანაწილებს ძალებს. პირველმა წრემ კარგად დაგვანახვა, რომელი გუნდი რისი მაქნისია, ვის რა რესურსი და პოტენციალი აქვს... ეს საკმარისი უნდა იყოს დასკვნების გამოსატანად და სამომავლო სტრატეგიის შესამუშავებლად.**

**„ლელოს" კითხვებს „შემოდგომის ჩემპიონთა" მთავარი მწვრთნელი რამაზ მუმლაძე პასუხობს...**

**- პირველი წრე პირველი ადგილით ჩაამთავრეთ, თუმც „ვიტ ჯორჯიის" თამაში ალბათ უნაკლო არ ყოფილა. არის რამე ისეთი, რის გამოც უკმაყოფილო ხართ?**

- ისეთი გუნდები ჩამოვიტოვეთ, უკმაყოფილო როგორ ვიქნები?! საერთო ჯამში, კმაყოფილი ვარ, თუმცა ცოტა უკეთ გამოსვლაც შეიძლებოდა.

**- ავილოთ „დინამო"-"ვიტ ჯორჯიის" მატჩი (2:2). თქვენს გუნდს ორი საკვანძო ფეხბურთელი აკლდა - გიორგი დათუნაიშვილი და გიორგი მელქაძე. „ვიტ ჯორჯიას" მათი არყოფნა ძალიან დაეტყო. აქედან გამომდინარე, მიგაჩნიათ, რომ თქვენს გუნდს აქვს საკმარისი რესურსი ჩემპიონობისთვის?**

- ყველამ კარგად იცის, რომ „ვიტ ჯორჯიიდან" თითქმის ყოველთვის მიდიოდნენ წამყვანი ფეხბურთელები, მაგრამ გუნდი მაინც მოწინავეთა შორის იყო. არასდროს ვწუწუნებდი და არც ახლა ვიტყვი, რომ საჩემპიონო რბოლისთვის ფეხბურთელები გვაკლია.

**- თქვენი არგუმენტები და ლოგიკა გასაგებია, მაგრამ სხვა მხრიდანაც შევხედოთ სიტუაციას. თავდასხმის გარდა, სხვა რგოლებში კონკურენცია, ფაქტობრივად, არ არის...**

- მეორე გუნდიდან მოდიან ახალგაზრდა ფეხბურთელები და ვგრძნობ, რომ მათ უკვე შეუძლიათ კონკურენციის გაწევა „ვიტ ჯორჯიის" წამყვანი ფეხბურთელებისთვის. რა თქმა უნდა, დიდი კონკურენცია არ არის, მაგრამ არც პატარა ეთქმის. ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებისთვის არაერთხელ მითქვამს - თამაშს თუ მოუკლებთ, აუცილებლად შეგცვლით-მეთქი. მათ იციან, რომ შემიძლია, თამამად ვენდო ახალგაზრდა ფეხბურთელებს.

**- რომელი იყო „ვიტ ჯორჯიის" უცუდესი მატჩი პირველ წრეში?**

- „სიონთან" ბოლნისში 2:2 რომ ვითამაშეთ. ჩვენს ფეხბურთელებს კონცენტრაცია და მონდომება აკლდათ, სწრაფი თამაშიც არ გამოგვივიდა. ძალიან უკმაყოფილო დავრჩი და ეს ფეხბურთელებს თამაშის მეორე დღეს, ვარჯიშზეც ვუთხარი. იმ დღეს „ვიტ ჯორჯიამ" თავისი თამაში ვერ ითამაშა.

**- „სიონი", „დინამო" და „ზესტაფონი" - ამ გუნდებს, ალბათ, „ვიტ ჯორჯიაზე" უკეთესი რესურსი აქვთ. როგორ აპირებთ ამ უპირატესობის გაბათილებას?**

- გააჩნია რესურსსაც. ამ სამ გუნდს ჩვენზე გრძელი სკამი აქვს, ჩვენი რესურსი კი ახალგაზრდა მოთამაშეებისგან შედგება. ვფიქრობ, „ვიტ ჯორჯია", თავისი რესურსით, ამ სამეულს მაინც არ ჩამორჩება.

**- სატრანსფერო ფანჯარა საახალწლოდ, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის შუაწელს გაიხსნება. „ვიტ ჯორჯიის" რამდენიმე ფეხბურთელი უკვე ეროვნულ ნაკრებში თამაშობს და, ალბათ, მათი მსურველი გუნდებიც გამოჩნდებიან. თუ გაქვთ უკვე გაკეთებული გათვლები იმაზე, რამდენიმე ფეხბურთელის წასვლის შემთხვევაში როგორ უნდა ამოავსოთ ცარიელი ადგილები?**

- ჯერ არ არის გარკვეული, ვინ და როდის დატოვებს „ვიტ ჯორჯიას". ისე კი, ამ სიტუაციაში უფრო ძნელი იქნება გუნდიდან წასული ფეხბურთელების სრულფასოვნად შეცვლა - როცა ჩემპიონობისთვის იბრძვი, ერთი ფეხბურთელის წასვლაც კი მნიშვნელოვანი დანაკლისია. ამ ეტაპზე „ვიტ ჯორჯია" უკვე ჩამოყალიბებული გუნდია და თუ მას ერთბაშად რამდენიმე ფეხბურთელი დატოვებს, საქმე ძალიან გაგვირთულდება.

**- პირველ წრეში საკმაოდ ბევრი მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა. როგორ ფიქრობთ, მეორე წრიდან უფრო სტაბილური იქნება სიტუაცია? ყველაფერი თავის ადგილზე დადგება, თუ სენსაციურ შედეგებს ისევ უწინდელი რაოდენობით უნდა ველოდოთ?**

- ვფიქრობ, დეკემბერში ყველაფერი სტაბილურად იქნება, ასე ვთქვათ, არეულობის პერიოდი გუნდებმა უკვე უკან მოიტოვეს. სხვათა შორის, სეზონისთვის კარგად მომზადებაში აგვისტოს მოვლენებმა გუნდებს ძალიან შეუშალა ხელი. ერთი სიტყვით, მეორე წრიდან სიურპრიზებს ნაკლებად უნდა ველოდოთ.


რამაზ მუმლაძე

**- პირველ წრეში ყველაზე მეტად რომელი გუნდი და ფეხბურთელი მოგეწონათ?**

- მომეწონა ზუგდიდის „მგლები". ეს გუნდი არასდროს ჩამჯდარა ყრუ დაცვაში, ასე ვთქვათ, უკნიდან არასდროს უთამაშია და ამით ჩვენი მეტოქეებიდან ერთადერთი აღმოჩნდა. ეს პირველ რიგში, ალბათ, გუნდის მთავარი მწვრთნელის ბესიკ შეროზიას დამსახურებაა. ფეხბურთელებიდან კი პირველ წრეში გიორგი მერებაშვილს გამოვარჩევდი.

**- ბოლო პერიოდში „ვიტ ჯორჯიის" უმთავრესი პრობლემა მეგოლე ფორვარდის არყოფნა იყო. მიგაჩნიათ, რომ ამ მხრივ წინსვლა გაქვთ?**

- ამ პრობლემაზე ძალიან ბევრი ვიმუშავეთ და მნიშვნელოვნად გამოვასწორეთ სიტუაცია. ორი თავდამსხმელით ვთამაშობთ - ჯაბა ლიპარტია და ვახტანგ კვარაცხელია სასარგებლოდ ირჯებიან. მოკლედ, ამ მხრივ უკეთესობა გვაქვს, თანაც, თავდასხმაში საკმაოდ მძლავრი კონკურენციაა - ამ ორი ფორვარდის გარდა კიდევ გიორგი ბერიაშვილი და ვასილ ლუჭაშვილი გვყავს.

**- წლეულს ჩემპიონატის ბოლო თამაში 28 დეკემბერს გაქვთ. ნორმალურად მიგაჩნით ასეთ დროს თამაში?**

- არ მიყვარს პრეტენზიების გამოთქმა, მაგრამ ასეთ პერიოდში თამაში ძალიან ცუდია. მაგრამ თუ კარგი ამინდები იქნება დეკემბერში, გაუსაძლის პირობებში არ მოგვიწევს თამაში. მაგრამ, წარმოიდგინეთ, თოვლი, ყინვა და ტალახი თუ იქნა, რა ვითარებაში უნდა ვითამაშოთ ფეხბურთი...

**დავით თავართქილაძე**

რუმინეთი-საქართველო

# გუშინ ერთი, დღეს ორი...

## საქართველოს ნაკრები მზადებას უკვე ბუქარესტში აგრძელებს

შაბათს საღამოს 10 საათზე საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" შეიკრიბნენ, გუშინ დილით კი სტამბოლის გავლით ბუქარესტისკენ აიღეს გეზი.

**გიორგი ლომაია, რევაზ თევდორაძე, მირზა მერლანი, ლექსო კვახაძე, ლევან ხმალაძე, დავით ოდიკაძე, გიორგი მერებაშვილი, ლუკა რაზმაძე, მურთაზ დაუშვილი, რატი ალექსიძე, ბექა გოცირიძე, ოთარ მარცვალაძე** - ეს ის ფეხბურთელები არიან, რომლებიც რუმინეთში **ექტორ კუპერთან** და დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად გაემგზავრნენ და ბუქარესტში ადგილობრივი დროით 10 საათზე ჩაფრინდნენ. ქართული „დესანტი" სასტუმრო „ჰოვარდ ჯონსონში" დაბანაკდა. ევროუიქენდის შემდეგ იქ მათ **ზურაბ ხიზანიშვილი, ლაშა სალუქვაძე, გიორგი შაშიაშვილი, ილია კანდელაკი, მათე ღვინიანიძე, ლევან კობიაშვილი** და **ლევან მჭედლიძე** შეუერთდებიან.

ჯერჯერობით კი კუპერის მის განკარგულებაში მყოფ კონტინგენტს ავარჯიშებს. ჩვენებმა ბუქარესტში პირველი წვრთნა გუშინ ჩაატარეს, დღეს კი კუპერი ორჯერად მეცადინეობას გამართავს. რაც შეეხება მატჩისწინა ვარჯიშს (18 ნოემბერი), ის უკვე ბუქარესტის „დინამოს" სტადიონზეა დაგეგმილი. ამ სტადიონზევე გაიმართება თამაშიც, რომელიც ოთხშაბათს თბილისის დროით 22:30-ზე დაიწყება. შეგახსენებთ, რომ რუმინეთი-საქართველოს ამხანაგურ შეხვედრას გამოცდილი ბერძენი არბიტრი **კიროს ვასარასი** გაუძღვება.

**დავით ცაბაძე**

# გოცირიძემ ბუქარესტში ტრავმა გაიყოლა

## ბოლო ტურის ოთხი მსხვერპლი

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და „ზესტაფონის" თავდამსხმელი **ბექა გოცირიძე** „ლოკომოტივთან" შაბათის მატჩში დაშავდა. მე-20 წუთზე, მეტოქის მცველთან შეტაკებისას, მან მუხლი იტკინა და მოედანი ნაადრევად დატოვა.

*„მცველი ისე დამეჯახა, მუხლში საშინელი ტკივილი ვიგრძენი და ემოციებისგან თავი ვეღარ შევიკავე. მესმის, რომ სათამაშო ეპიზოდი იყო, ისიც მესმის, რომ „ლოკომოტივის" ფეხბურთელს ეს შეგნებულად არ უქნია, მაგრამ ასეთი უხეშობა არ შეიძლება. გული უფრო იმაზე მწყდება, რომ ძალიან ცუდ დროს დავშავდი - მაინცდამაინც სანაკრებო მატჩის წინ. ძალიან მინდოდა რუმინეთთან თამაში. თანაც, ყველაფერი ისე კარგად მიდიოდა... ბულგარეთთან მატჩში მიღებული ტრავმის შემდეგ მკურნალობას კარგა ხანი მოვანდომე და როგორც იქნა, მოედანს დავუბრუნდი. ახლა კი ისევ ტრავმა... ძალზე გულნატკენი ვარ"* - გვითხრა გოცირიძემ.

მიუხედავად ამისა, ის გუშინ შეკრებაზე მაინც გამოცხადდა: *„არ შეიძლებოდა, რომ არ მივსულიყავი. ექიმმა დამამშვიდა, რომ შესაძლოა, საშიში არც არაფერი იყოს. ჯერ არ ვიცი, ტრავმა რამდენად სერიოზულია"*.

გოცირიძე ერთადერთი ფეხბურთელი არაა, ვინც ბოლო ტურებში დაშავდა. „ოლიმპისა" და „სიონის" შეხვედრა მშვიდად კი დასრულდა, მაგრამ რამდენიმე ფეხბურთელი დაშავებულია. მაგალითად, რუსთაველთა ცენტრალურმა მცველმა **გიორგი ონიანმა** ხელის თითი მოიტეხა და ლამის მთელი შეხვედრა ძლიერი ტკივილებით ითამაშა. სავარაუდოდ, მას ორი კვირა დასჭირდება სამკურნალოდ.

გაცილებით იოლად გადარჩა „სიონის" მცველი **ლადო კაკაშვილი**. თამაშის მსვლელობისას, მას კუნთი გაეჭიმა და თამაში ველარ გააგრძელა, თუმცა მდგომარეობა რთული არაა და ექიმი აიმედებს, რომ მაქსიმუმ სამ დღეში ჩვეულებრივად ივარჯიშებს.

კაკაშვილის თანაგუნდელმა, „სიონის" ერთ-ერთმა წამყვანმა მოთამაშე **ლევან სანიკიძემ** კი მძიმე ტრავმა მიიღო. 27 წლის ნახევარმცველმა კოჭი დაიზიანა და ზუსტად ჯერ არავინ იცის, რამდენ ხანს დაისვენებს. მხოლოდ წინასწარი ვარაუდით შეიძლება ითქვას, რომ სანიკიძე „სიონს" გაზაფხულამდე ვერ დაეხმარება.

საკმაოდ რთულადაა „ოლიმპის" ფორვარდ **გია მეგრელაძის** მდგომარეობა. სამშაბათს, „ამერთან" სათასო შეხვედრის დროს, ის მეტოქის საჯარიმოში წაიქცა და მოედნიდან გაიყვანეს. როგორც შემდეგ გაირკვა, მეგრელაძეს კუნთი აქვს გაჭიმული. თუ რამდენი გაუცდება „ოლიმპის" შემტევს, ჯერ უცნობია.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონი

უქმეების მიმოხილვა

# ხიზანიშვილს მწვრთნელი და ქურდები სწყალობენ

## გვაზავამ გაიტანა და გავარდა

ამ უქმეების ლეგიონის მიმოხილვას ქართული გოლებით არ დავიწყებთ, თუმცა არც უამისობაა. ზურაბ ხიზანიშვილი ინგლისში მეორედ გაქურდეს ბოლო ორ თვეში. მოედნის მიღმა ცუდ ამბებს პოლ ინსის კეთილგანწყობა აქარვებს - მან ბრიტანულ მედიასთან საუბარში ხიზანიშვილის მიმართ კომპლიმენტები არ დაიშურა...

კიდევ ერთ ამბავზე გვინდა, თქვენი ყურადღება გავამახვილოთ - ოფიციალური ვერსიით, მალხაზ ასათიანი ტრავმის გამო გამოაკლდა რუმინეთის ნაკრებთან 19 ნოემბრის მატჩს. არადა, გუშინ, 16 ნოემბერს, „შახტართან“ მატჩში ის სათადარიგოთა სკამზე იჯდა და ნებისმიერ წუთს შეეძლო მოედანზე შესვლა...

ახლა გოლებზეც: ლევან გვაზავამ მოსკოვის „სპარტაკს“ გაუტანა, მაგრამ ამ გოლმა მის „ლუჩ-ენერგიას“ ვერ უშველა. თუკი მოსკოველი ჩინოსნები რაიმეს არ მოიფიქრებენ, „ლუჩი“ გავარდნილია...

აზერბაიჯანში საინგილოს გუნდი „სიმურგი“ გალიდერდა, მას შემდეგ, რაც „ბაქი“ 2:1 დაამარცხა. ამ შეხვედრაში ორი ქართული გოლი გავიდა - მასპინძელთაგან თავი მიხეილ მახვილაძემ გამოიჩინა, ბოლო წუთზე კი პრესტიჟის გოლი გიორგი დემეტრაძის ანგარიშზეა. უფრო დაწვრილებით აზერბაიჯანულ და სხვა „წვრილ“ საფეხბურთო ლიგებში მოასპარეზე ქართველ ლეგიონერებზე კი ხვალინდელ ნომერში მოგითხრობთ...

### პოლ ინსი: ხიზანიშვილი ფანტასტიკური პროფესიონალია


ზურაბ ხიზანიშვილი

ამასწინათ, „ბლექბერნ როვერსმა“ „სანდერლენდს“ სტუმრად 2:1 მოუგო და თასის მეოთხე ეტაპიდან გამოთიშა. „სანდერლენდმა“ შაბათს პრემიერლიგაში იძია შური და **ზურაბ ხიზანიშვილის** გუნდი სტუმრად სწორედ 2:1 დაამარცხა. სათასო მატჩისგან განსხვავებით, **პოლ ინსმა** 7 ფეხბურთელი გამოცვალა, დატოვა მხოლოდ ქართველი მცველი და კიდევ სამი სხვა მოთამაშე იმ სასტარტო შემადგენლობიდან. თავიდან, მასპინძლები უკეთ გამოიყურებოდნენ - შეტევებში ეფექტურად ერთვებოდა ხიზანიშვილიც. **პედერსენის** კუთხურს მან პირველმა მიუსწრო, თუმცა გოლკიპერმა იყოჩაღა. შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. **ჯიბრილ სისემ** კი გოლის გატანამდე სწორედ ჩვენებური ჩამოიტოვა. მეორე ტაიმის დასაწყისში ქართველი **კენინ ჯონსთან** შელაპარაკებისთვის გააფრთხილეს. „თაიმსმა“ მისი გარჯა 6 ბალით შეაფასა.

როგორც ჩანს, ხიზანიშვილისთვის ჩარხი ნალმა შეტრიალდა. როგორც იქნა, პოლ ინსმა ქართველს ყურადღება მიაქცია - სასტარტოშიც დააბრუნა და არც საქებარი სიტყვები დაიშურა. საგულისხმოა, რომ ბრიტანულ მედიასთან ინტერვიუში ინსი ხიზანიშვილს მეტსახელით („კიში“) მოიხსენიებს:

*„კიში არ თამაშობდა, თუმცა ხმას არ იღებდა, აგრძელებდა წვრთნას. ის ფანტასტიკური პროფესიონალია. ყოველთვის ისე ვარჯიშობდა, თითქოს სასტარტოში უნდა ეთამაშა. ბევრი ფეხბურთელი სხვანაირად იქცევა, „კიში“*


დავით მუჯირი

*მათ რიცხვს არ მიეკუთვნება. ის ძალიან კარგი ფეხბურთელია, ამიტომაც არის საქართველოს ნაკრების ვიცე-კაპიტანი. როცა ის თამაშობს, ყველაფერს სათანადო დონეზე აკეთებს. ჩვენ ის უნდა შევინარჩუნოთ“.*

ოთხშაბათის სათასო მატჩი კიდევ ერთხელ უნდა ვახსენოთ. თურმე, როცა ზურა „სანდერლენდს“ მოედანზე ეომებოდა, მის სახლს ქურდები მიადგნენ. ხიზანიშვილი მანჩესტერის გარეუბან სელფორდში ცხოვრობს. ის „იუნაიტედის“ უელსელი ვეტერანის **რაიან გიგზის** მეზობელია. ქურდებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ - ზურას მეუღლეს ხმაური აუტეხავს და შეშინებულებს მოუკურცხლავთ. მათ უკანა კარის ფანჯარა ჩაამსხვრიეს და კარი ისე გააღეს, თუმც ხმაურმა ზურაბის მეუღლე გააღვიძა, ის სახლში ორ შვილთან ერთად იმყოფებოდა. მანჩესტერის პოლიცია საქმეს იძიებს, არავინ დაშავებულა. სხვათა შორის, ზურა ამ ორი თვის წინაც გაძარცვეს. მაშინ მას „ნოუთბუქი“ მოჰპარეს. კომპიუტერი ხიზანიშვილს პოლიციამ უკვე დაუბრუნა - ქურდს მისი გაყიდვა ადგილობრივ პაბში მოუნდომებია და... ისე, ინგლისში მსგავსი ფაქტები ხშირია. მაგალითად, წლეულს ქურდებისგან მარტო „ლივერპულის“ 9 ფეხბურთელი დაზარალდა...

სამწუხაროდ, კვლავ ვერ ვიხილეთ „პალერმოს“ განაცხადში **ლევან მჭედლიძე**. მისმა გუნდმა შინ ჩემპიონ „ინტერთან“ 0:2 წააგო. იტალიური მედიის მტკიცებით, მან მატჩისთვის გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო. ასე რომ, არ გამოვრიცხავთ, ქართველმა ვერც სანაკრებოდ მოასწროს ფორმის აღდგენა.

**კახა კალაძის** „მილანმა“ 1:0 დაამარცხა „კიევო“. ძამბროტას არყოფნის წყალობით კალაძემ დაცვის ცენტრში ითამაშა. სხვადასხვა იტალიურმა წყარომ მას 6 და 6,5 ქულა დაუწერა. კახას შეეძლო, გაეხსნა ანგარიში, მაგრამ **ზეედორფის** პასის შემდეგ ბურთი ხეირიანდა ვერ დაარტყა, არადა, კარიდან 5 მეტრში იმყოფებოდა. თამაშის წინ კალაძემ სამი გუნდი დაასახელა, რომლებიც, მისი აზრით, სკუდეტოსთვის იბრძოლებენ: „მილანი“, „იუვენტუსი“ და „ინტერი“. მისი „მილანი“ 26 ქულით მეორე ადგილზეა.

### განტევების ვაცი კობიაშვილია?

ბუნდესლიგაში ორივე „ქართული“ გუნდი დამარცხდა. „ლევერკუზენთან“ შეხვედრაში (1:2) **ლევან კობიაშვილი** სასტარტოში იყო, ხოლო **ლევან ყენია** ტრავმის გამო განაცხადში არ ყოფილა. კობიაშვილი დაცვის მარცხენა ფლანგზე გაამწესეს. პირველ გაშვებულ გოლში ბრალი სწორედ მას მიუძღვის. შესვენებისას ლევანი **პანდერით** შეცვალეს. „შპორტალმა“ მას ყველაზე დაბალი შეფასება, 5 ბალი დაუწერა და ეს ასე ახსნა: *„საკუთარ გუნდს დაცვის მარცხენა ფრთაზე პრობლემები შეუქმნა. გამუდმებით აგებდა დუელს* ***რენატო აუგუსტოსთან.*** *ასე იყო 28-ე წუთზეც, როცა გოლი გავიდა. ეს გოლი მის სინდისზეა“.*

„კარლსრუე“ „კოტბუსს“ ეწვია და 0:1 წააგო. წინა ტურში გოლით გამორჩეული **ალექსანდრე იაშვილი**, რატომღაც, სათადარიგო იყო. მან მხოლოდ სრული მეორე ტაიმი ითამაშა. „შალკე“ 20 ქულით მე-8 ადგილზეა, „კარლსრუე“ (10 ქულა) კი გასავარდნ ზონაში ჩაეშვა. იაშვილის თამაში „შპორტალმა“ 3,5 ქულით შეაფასა და დაამატა: *„კარნელი შეცვალა მარცხენა ფლანგზე. ის მალე დაიბრუნებს ადგილს სასტარტოში“.*

II ბუნდესლიგის სამატჩო განაცხადში ვიხილეთ **დავით თარგამაძე**, თუმც „ფრაიბურგს“ მისი დახმარება არ დასჭირვებია. ფრაიბურგელებმა სტუმრად „ფრანკფურტი“ დაამარცხეს - 2:1. თარგამაძის გუნდი 25 ქულით მეორე ადგილზეა. „მიუნხენი“ 17 ქულით მე-8 პოზიციას ამაგრებს, „აუგსბურგს“ კი 15 ქულა აქვს და მე-13 ადგილზეა.

### შესაშური განწყობით

**გიორგი შაშიაშვილი** და **ილია კანდელაკი** შესანიშნავ ხასიათზე გამოცხადდებიან ეროვნული გუნდის შეკრებაზე. „შტურმა“ შინ „რიდი“ 3:0 გაანადგურა. გრაცელებს 38 ქულა აქვთ და მხოლოდ „ზალცბურგს“ ჩამორჩებიან. გიორგიმ და ილიამ ტრადიციულად დაცვის ფლანგებზე ითამაშეს 90-90 წუთი. **მირზა ბუალავას** „აუსტრია“ (ლუსტენაუ) მეორე ბუნდესლიგაში მე-9 ადგილზეა 20 ქულით.


ლევან გვაზავა

უკვე აღარ ვიცით, ჩავთვალოთ თუ არა **გიორგი განუგრავა** „მლადა ბოლესლავის“ წევრად. კარგა ხანია მას გამბრინუსლიგაში არ უთამაშია და ამ ტურის წინაც ცხადი იყო, რომ „პლზენი“-“მლადას“ მატჩში ჩეხეთში პირველი ქართული დუელი არ შედგებოდა. ის კი არადა, ყოფილ ამერელ **დიმიტრი ტატანაშვილსაც** ნაკლებად ენდობიან. „პლზენმა“ 2:0 მოიგო, ტატანაშვილი კი მოედანზე 87-ე წუთზე გამოჩნდა. „მლადა“ 25 ქულით მეოთხე ადგილზეა, ხოლო „პლზენი“ 19 ქულით - მეშვიდეზე.


დიმიტრი ტატანაშვილი


გიორგი განუგრავა

სლოვაკეთში **ირაკლი ლილუაშვილის** „ნიტრა“ სტუმრად „ტატრანს“ დაუზავდა - 1:1. ირაკლი 65-ე წუთზე შეცვალეს. „ნიტრა“, რომელიც შარშანდელი სეზონის ბრინჯაოს პრიზიორია, 12-გუნდიან ჩემპიონატში 15 ქულით მე-10 ადგილზეა.

დანიის პირველ დივიზიონში **გიორგი ფოფხაძის** „ვიბორგი“ „ტისტედს“ ეწვია და 1:1 ეთამაშა. გიორგი არ გამოჩენილა.

### გვაზავა პრემიერლიგას გოლით დაემშვიდობა

რუსეთის ჩემპიონატის ბოლოსწინა ტური უნიჭო ტრაგიკომედიას წააგავდა. წარმოიდგინეთ, ჩემპიონმა „რუბინმა“ ცსკა-სთან 0:4 წააგო, თან ისე, რომ ბომბარდირობისთვის მებრძოლ **ვაგნერ ლავს** სამი გოლი გაატანინა. ამ სირცხვილს **დავით კვირკველია** ტრავმის გამო დააკლდა, **ნუკრი რევიშვილი** სათადარიგო იყო, ხოლო **ლაშა სალუქვაძემ** 90 წუთი დაყო მოედანზე (5 ბალი championat.ru-სგან). ქართველებმა მოსკოვის „სპარტაკი“ გოლებით „გაანებივრეს“, თუმც ამჯერად **ლევან გვაზავას** გასახარი ბევრი არაფერი აქვს - 2:2-ის შემდეგ მისმა „ლუჩმა“ ოფიციალურად გაიფორმა პირველი დივიზიონის საგზური. ქართველს რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა - ფინტებით მუდამ პანიკაში ჰყავდა „სპარტაკის“ დაცვა და 67-ე წუთზე თავურით ლამაზი გოლიც გაიტანა. ეს ლევანის მესამე ზუსტი გასროლაა რუსულ პრემიერლიგაში. ნალჩიკში „სპარტაკი“ 1:2 დამარცხდა „ხიმკისთან“. შეგვიძლია ვთქვათ, რომ **გოგიტა გოგუა** ამ კლუბში აღარ იქნება, **ალექსანდრე ამისულაშვილმა** 90 წუთი ითამაშა, ხოლო **დავით სირაძე** 72-ე წუთზე შეცვალეს. 32-ე წუთზე სირაძეს შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ თავით ახლო მანძილიდან ააცილა, არადა, ბურთი არავინ უშლიდა. 68-ე წუთზე კი მისი დარტყმული იმხელა მანძილით ასცდა კარს, მაყურებლის გულისწყრომა გამოიწვია და მწვრთნელმა ის უმალ შეცვალა. **დავით მუჯირის** „ლოკომოტივმა“ „მოსკვა“ 3:2 დაამარცხა. ქართველმა 90 წუთი ითამაშა და იაქტიურა კიდეც - პირველ ტაიმში ერთხელ ბურთი ძელსაც გაარტყა. „რუბინი“ 60 ქულით პირველია, „ლოკომოტივი“ 44 ქულით მე-7 პოზიციაზეა, ნალჩიკის „სპარტაკს“ კი 31 ქულა აქვს და მე-12 საფეხურზეა განთავსებული, ხოლო „ლუჩი“ 21 ქულით ბოლოსწინაა.

### ასათიანი გამოჯანმრთელდა?

უკრაინული ვიშალიგის მე-15 ტურში **მალხაზ ასათიანი** ტურის ცენტრალურ მატჩში ოდენ მაყურებლის როლით დაკმაყოფილდა. „შახტარმა“ 1:0 მოუგო „დინამოს“. ნაკრებს ტრავმის გამო დაკლებული ასათიანი სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას ნებისმიერ მომენტში შეეძლო მოედანზე შესვლა. აქედან გამომდინარე, გაუგებარია, რატომ დააკლდა ის ეროვნულ გუნდს.

ხარკოვულ დერბიში კი არ იყო „მეტალისტის“ ფორვარდი **ლაშა ჯაკობია**, რომელიც ჯერ მარტო თასზე თამაშობს. „დნიპროს“ ახალგაზრდა ქართველმა ლეგიონერმა **სანდრო კობახიძემ,** სალალობო მატჩში, დნეპროპეტროვსკში მყოფ ჩოგბურთის ვარსკვლავთა გუნდს გოლი გაუტანა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ძირითად გუნდში მოსახვედრად - „დნიპრო“-„ზარიის“ (1:1) შეხვედრაში მხოლოდ ერთმა ჩვენებურმა, **გიორგი ციმაკურიძემ** გააგორა ბურთი. მატჩი საოცარი სანახაობით გაიხსნა - პირველ წუთზე ციმაკურიძემ ეფექტურად დაარტყა და... ბურთი საკუთარი კარის ხარიხას მოარტყა. შესაძლოა, ესეც გახდა მიზეზი, რომ გიორგის მხოლოდ 48-ე წუთამდე აცალეს თამაში. ლვოვურ დერბიში „კარპატიმ“ 4:2 მოუგო „ლვივს“. გამარჯვებულთა რიგებში 90 წუთი ითამაშა **სანდრო გურულმა,** ამჯერად უგოლოდ. „ილიჩივეცი“-“ტავრიის“ შეხვედრაც უხვგოლიანი გამოდგა - 3:3. **ვასილ გიგიაძე** მხოლოდ 78-ე წუთზე ვიხილეთ, ხოლო **ლადო ბურდული** კვლავ სათადარიგოთა სკამზე იყო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ალექსანდრე ამისულაშვილი (მარცხნივ)

იტალია. სერია A. XII ტური

# ორი გასროლა პალერმოში

ამ ტურის ერთი მატჩი ხუთშაბათს გაიმართა. „იუვენტუსმა" „ჯენოას" უმასპინძლა და 4:1 „ასიამოვნა". უკვე ვწერდით, რომ „ქალბატონმა" თამაშზე დამსწრე „სკუადრა აძურის" მწვრთნელი **მარჩელო ლიპი** აღაფრთოვანა. მართლაც და, „იუვემ" კრიზისი დაძლია, სანაქებოდ ათამაშდა და **კლაუდიო რანიერის** გადადგომაზე ლაპარაკიც შეწყდა. ამ ფონზე ძველებურ ინტრიგას იძენს მომავალი ტურის მატჩი, რომელშიც ტურინული გრანდი სტუმრად „ინტერს" უნდა შეხვდეს. „ინტერმა" კი შაბათს ითამაშა და პალერმოს „რენცო ბარბერაზე" განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე 2:0 მოიგო. ამ თამაშმა ორი რამ კიდევ ერთხელ ცხადყო - ერთი, რომ დღევანდელ ფეხბურთში რაციონალიზმს უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება და მეორეც - ინდივიდუალისტების როლი. რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ კოლექტიური თამაშის ეპოქალურ დამსახურებაზე, ცალკეულ ფეხბურთელთა კლასი მწვრთნელებისთვის ხშირ შემთხვევაში ყველაზე ბასრ იარაღად რჩება...

ინდივიდუალისტები რომ ვახსენეთ, კონკრეტულად **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** ვიგულისხმეთ. შვედი ყოველთვის გამოირჩეოდა ეფექტური გოლებით, რომელიც უმეტესწილად საჯარიმო მოედნის არეალიდან გააქვს, მაგრამ „პალერმოსთან" ეფექტურობის მასშტაბი გაზარდა და სხვა მხრივაც გაიბრწყინა - ორივე გოლი შორი მანძილიდან გაიტანა. პირველ ეპიზოდში, ბევრი იმ ადგილიდან არც იფიქრებდა დარტყმას, მაგრამ იბრამ მახვილი კუთხიდან კარგად შენიშნა ნაპრალი და ეგრევე დასცხო. **ფონტანას** ნახტომი ამაო გამოდგა - ბურთმა ძელი „მოიკითხა" და ბადეში გაეხვა.

მეორე გოლში კი მთავარი იყო დარტყმის სიძლიერე. ზლატანი მადაზე მოვიდა და პალერმოელთა კარიდან 20 მეტრში დანიშნულ ჯარიმას არავინ გააკარა - პატარა გამორბენი და ტყვიისებურმა გასროლამ ლამის ბადე შეიწირა. იქვე გამოჩნდა, რომ „სასიკვდილო" დარტყმისას ბურთის სიჩქარე 124 კმ/სთ იყო! მაგრამ ესეც არ არის მთავარი. მთავარი ის გახლავთ, როგორ უნდა გამოადნო 3 ქულა მაშინ, როცა მეტოქის საჯარიმოში მოქმედება შეზღუდული გაქვს, საგოლე მომენტებს ვერ ქმნი და მაინცდამაინც ზღვა ოფლსაც არ ღვრი, სამაგიეროდ კი იცი რაციონალიზმის ფასი და გაქვს უზარმაზარი რესურსი... და გყავს იბრაჰიმოვიჩი...

„მილანმა" ვერ გაიბრწყინა, მაგრამ „კიევოსთან" მოსაგებად ასეთი თამაშიც საკმარისი აღმოჩნდა. **კარლო ანჩელოტიმაც** აღნიშნა, რომ შეგირდების გარჯით უკმაყოფილო დარჩა - კონცენტრაცია გვაკლდაო. სხვათა შორის, ვერონელებს მოედნის ცენტრში დრო და დრო უპირატესობაც ჰქონდათ, მათი ძირითადი იარაღი კი შორეული დარტყმები და სტანდარტულები იყო. ამ მხრივ, „როსონერიში" **იანკულოვსკი** გამოირჩეოდა. ამას გარდა, მასპინძლებმა რამდენიმე სახეირო მომენტიც გაანიავეს. რაც შეეხება ერთადერთ გოლს, ის **კაკას** პენალტით გავიდა და აქ გაჩნდა ეჭვიც. თუმცა რაღა ეჭვი - ვიდეოგამეორებამაც აჩვენა, რომ „კიევოს" ნახევარმცველმა **ბენტივოლიომ** კაკა საჯარიმოს გარეთ წააქცია. ასე იყო თუ ისე, ბრაზილიელმა მშვიდად შეირგო ნაჩუქარი 11-მეტრიანი და „მილანი" მეორე ადგილზე დააბრუნა.

პენალტის გამო იყო პოლემიკა „ატალანტა"-„ნაპოლის" მატჩშიც. მწვრთნელები ერთმანეთთან უნისონში იყვნენ - ორივემ აღნიშნა, არბიტრმა **ბრიგიმ** თამაში გააფუჭაო. მასპინძელთა თავკაცი **ლუიჯი დელ ნერი** მისი გუნდის კარში უსამართლოდ დანიშნულ პენალტს აპროტესტებდა და ამიტომაც მიაბრძანეს ტრიბუნებზე. ნეაპოლელთა დამრიგებელმა **ედოარდო რეიამ** კი **სალაიეტას** გაძევების ეპიზოდი გააპროტესტა - ურუგვაელი მეორე ყვითელს არ იმსახურებდაო... მოკლედ, „ატალანტამ" ხუთმატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა, **ვიერიმ** კი ამ სეზონში სასტარტო შემადგენლობა პირველად დააგემოვნა.

სენსაცია თუ არა, გვარიანი სიურპრიზი იყო „უდინეზეს" საშინაო მარცხი „რეჯინასთან". რეჯოკალაბრიელებმა ფსკერს თავი დააღწიეს, თუმც მდგომარეობა ჯერაც მძიმე აქვთ. ფრიულის კრებულმა კი პოზიციები დათმო. **პასკუალე მარინოს** ბიჭებმა ზედიზედ მეორე თამაში წააგეს და ესეც „მშრალი" ანგარიშით. მარინოც უკმაყოფილო იყო მსაჯობით. მან რამდენჯერმე გააპროტესტა არბიტრის გადაწყვეტილება, რის საპასუხოდაც სათადარიგოთა სკამი დაატოვებინეს. მატჩი რამდენჯერმე გაჩერდა და ჩემი აზრით, რეფერის 5 წუთზე მეტი უნდა დაემატებინაო, აღნიშნა „უდინეზეს" თავკაცმა.

სხვა მატჩებიდან გამოვარჩევდით „სამპდორია"-„ლეჩესა" და „კატანია"-„ტორინოს" დაპირისპირებებს, რომლებიც ერთნაირი ანგარიშით (3:2) მორჩა. გენუის მატჩში **კასანომ** სუპერგოლი გაიტანა. კარიდან 20 მეტრში მან მიწაზე დაუშვებლად ამოსცხო ბურთს და ულამაზესი შედევრი შექმნა. „კალიარიმ" **აკვაფრესკას** პენალტით „ფიორენტინას" აჯობა, „სიენამ" კი ქულები გაუყო „ბოლონიას", რომელიც **სინიშა მიხაილოვიჩის** ხელში მეორე თამაშია, არ აგებს.

...და ტურის მოვლენა და გვირგვინიც - რომაული დერბი. ბოლო წლებში ამან ცოტა ეხში კი დაკარგა, მეტადრე „ლაციოს" გამო, რომელიც შარშან ლამის გავარდნის პირას იყო. წელს კი „რომაა" შავ დღეში, თუმც ამას ხელი არ შეუშლია ტიფოზებისთვის, რომლებმაც „ოლიმპიკო" თითქმის პირთამდე შეავსეს. ანუ, დერბი დერბია და აქ ყველა კითხვა დღის წესრიგიდან მოხსნილია.

**ლუჩანო სპალეტიმ** და **დელიო როსიმ** იტალიელი მწვრთნელებისთვის უჩვეულო სითამამე გამოავლინეს - გუშინ ორივემ 4-3-3-ით ითამაშა. მეტადრე ეს სპალეტისგანაა გასაკვირი. ის ხომ ერთფორვარდიანი ტაქტიკის ცნობილი აპოლოგეტია. მაგრამ „ჯალოროსის" დღეს აღარ აქვს იმის ფუფუნება, რომ იჯდეს და „მშვიდად" უყუროს ჩემპიონატის დინებას. ხუმრობა ხომ არ არის? „რომა" მე-17 ადგილზეა!

ორივე გუნდმა დიდი შემართებით დაიწყო თამაში და ასევე ჩაამთავრა. ეს იყო ნამდვილი დერბი გააფთრებული ორთაბრძოლებით, ორმხრივი მწვავე ჩხვლეტებით, მაღალი ტემპით... არანაირი კომპრომისი - ასეთი იყო ამოცანა, რომელიც უკეთ „რომამ" ამოხსნა. მატჩის ერთადერთი გოლი მეორე ტაიმის დასაწყისში გავიდა, როცა **ტონეტოს** ფლანგურ ჯარიმას **ბაპტიშტა** გამოეხმაურა და თავურით ბურთი **კარისოსგან** შორეულ კუთხეში მოათავსა.

იქვე, „ლაციოს" გათანაბრება შეეძლო, მაგრამ **სარატეს** თავური „რომას" კიპერმა „ცხრიანიდან მოხსნა". სხვათა შორის, იმავე სარატეს პირველ ტაიმშიც ჰქონდა ერთი რეალური მომენტი, მაგრამ ახლო მანძილიდან მიზანს ოდნავ ააცილა...

მოკლედ, ვერ ვიტყვით, რომ „ჯალოროსიმ" გამარჯვება უპირობოდ დაიმსახურა, თუმც არც დაუმსახურებელი ეთქმის. თანაბარი თამაში იყო და „ლაციალეს" რომ გავარდნოდა, არც ამაზე დაგვწყდებოდა გული...

**გიორგი გელაშვილი**

### მომდევნო ტური

22 ნოემბერი. **ფიორენტინა-უდინეზე, ინტერი-იუვენტუსი.** 23 ნოემბერი. **ბოლონია-პალერმო, კიევო-სიენა, ლაციო-ჯენოა, ლეჩე-რომა, ნაპოლი-კალიარი, რეჯინა-ატალანტა, სამპდორია-კატანია, ტორინო-მილანი.**



ბაპტიშტას გააქვს გამარჯვების გოლი რონაულ დერბიში

იტალიის ნაკრები

## სკუადრა საბერძნეთისკენ

19 ნოემბერს იტალიის ნაკრები ათენში საბერძნეთთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. **მარჩელო ლიპიმ** დაასახელა შემადგენლობა, რომელსაც ამ მატჩისთვის მოამზადებს. „სკუადრა აძურაში" ერთი დებიუტანტია - „უდინეზეს" ნახევარმცველი **გაეტანო დ'აგოსტინო**, რომელიც **ანტონიო დი ნატალეს** არყოფნაში კაპიტნის მოვალეობებსაც ასრულებს. მთლიანობაში კი ლიპის სიას ასეთი სახე აქვს:

მეკარეები - **ჯანლუკა კურჩი** (სიენა), **მორგან დე სანკტისი** (გალათასარაი);

მცველები - **დანიელე ბონერა** (მილანი), **ფაბიო კანავარო** (რეალი), **ნიკოლა ლეგროტალიე, ჯორჯო კიელინი** (ორივე იუვენტუსი), **ანდრეა დოსენა** (ლივერპული), **ალესანდრო გამბერინი** (ფიორენტინა), **ფაბიო გროსო** (ლიონი);

ნახევარმცველები - **მაურო კამორანეზი** (იუვენტუსი), **გაეტანო დ'აგოსტინო** (უდინეზე), **დანიელე დე როსი, სიმონე პეროტა** (ორივე რომა), **ჯენარო გატუზო** (მილანი), **კრისტიან მაჯო** (ნაპოლი), **რიკარდო მონტოლივო** (ფიორენტინა);

თავდამსხმელები - **ალბერტო ჯილარდინო** (ფიორენტინა), **ვინჩენცო იაკვინტა** (იუვენტუსი), **ფაბიო კვალიარელა, სიმონე პეპე** (ორივე უდინეზე), **ჯუზეპე როსი** (ვილიარეალი), **ლუკა ტონი** (ბაიერნი).

### იუვენტუსი-ჯენოა 4:1

**იუვენტუსი:** მანინგერი-6, გრიგერა-7, ლეგროტალიე-5.5, მოლინარო-6.5, კიელინი-6.5, ტიაგო-6.5, სისოკო-5.5, ნედვედი-6, მარკიონი-6 (69. კამორანეზი-6), დელ პიერო-6.5 (88. ჯოვინკო), ამაური-7 (84. იაკვინტა-6.5).

**ჯენოა:** რუბინიო-5.5, ფერარი-5.5, კრიშიტო-5.5, ბიავა-5.5 (80. პაპასტრატოპულოსი-5), იურიჩი-6, ტ. მოტა-5, მ. როსი-5.5, პოტენცა-5 (61. ბოკეტი-5), გასბარონი-5.5 (46. სკული-5.5), მილიტო-6.5, პალადინო-5.5.

**გოლები:** 1:0 გრიგერა (6), 2:0 ამაური (26), 3:0 იაკვინტა (85), 3:1 მილიტო (89-პენ), 4:1 პაპასტრატოპულოსი (90-საკ. კარში)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 13-22; **თამაშგარე:** 2-8; **კარში დარტყმა:** 14-8 (5-1); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 25 000

### პალერმო-ინტერი 0:2

**პალერმო:** ა. ფონტანა-6.5, კასანი-6 (79. ჩარამიტარო), კაროციერი-6, ბოვო-6, ბალცარეტი-6, მილიაჩო-6, ლივერანი-5.5 (64. ლანცაფამე-5.5), ბრეშანო-6 (56. ბუდანი-5.5), სიმპლისიუ-6, მიკოლი-6.5, კავანი-5.5.

**ინტერი:** ჟულიო სეზარი-6.5, მაიკონი-6.5, კორდობა-6, სამუელი-6.5, მაქსველი-6, კამბიასო-6.5, მუნტარი-5 (65. სტანკოვიჩი-6), ვიეირა-6 (87. ბურდისო), ხ. ძანეტი-6, იბრაჰიმოვიჩი-8, კრუსი-6 (77. მანსინი-6).

**გოლები:** 0:1 იბრაჰიმოვიჩი (46), 0:2 იბრაჰიმოვიჩი (62)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 2-9; **ჯარიმა:** 16-21; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 16-18 (6-9); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 34 203

### მილანი-კიევო 1:0

**მილანი:** აბიატი-7, ბონერა-7, კალაძე-6.5, ფავალი-7, იანკულოვსკი-7.5, გატუზო-6.5, ზეედორფი-6.5, ფლამინი-6.5, კაკა-6, რონალდინიო-6, ფ. ინძაგი-5.5 (62. პატო-6.5).

**კიევო:** სორენტინო-7.5, მალაგო-5, მანდელი-6.5, იეპესი-6, მანტოვანი-6.5, პინცი-5 (72. იუნკო-5.5), ბენტივოლიო-6, მარკოლინი-5 (78. იტალიანო), ლუსიანო-6.5, ლანჯელა-6.5 (64. მ. ესპოზიტო-5.5), პელისიერი-6.

**გოლი:** 1:0 კაკა (15-პენ)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 21-15; **თამაშგარე:** 5-0; **კარში დარტყმა:** 15-7 (7-2); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 58 403

### ატალანტა-ნაპოლი 3:1

**ატალანტა:** ფ. კოპოლა-6.5, დარიჩი-6, ტალამონტი-6.5, თ. მანფრედინი-7, ბელინი-6, პინტუ-7.5, დე აშენტისი-6.5, პადოინი-6, კ. დონი-6.5, ფლოკარი-6.5, ვიერი-6 (80. ხ. ვალდესი-6.5).

**ნაპოლი:** იეცო-6, სანტაკროჩე-6.5 (72. პია-5), კანავარო-6, კონტინი-5.5, მაჯო-5.5, ბლაზი-6, გარგანო-5.5, ჰამშიკი-6 (78. რინაუდო), ვიტალე-6, დენისი-6 (35. სალაიეტა-5), ლავეცი-6.5.

**გოლები:** 1:0 პინტუ (62), 1:1 ჰამშიკი (73-პენ), 2:1 თ. მანფრედინი (89), 3:1 ფლოკარი (90)

**გაძევება:** სალაიეტა (66. ნაპოლი)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 14-14; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 16-7 (6-3); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 9 000

### უდინეზე-რეჯინა 0:1

**უდინეზე:** ჰანდაროვიჩი-5.5, ფერონეტი-5 (70. მ. მოტა-5), ა. კოდა-5.5, დომიცი-5.5, ლუკოვიჩი-6, ინლერი-5 (65. ობოდო-5), გ. დ'აგოსტინო-5.5, ისლა-5, პეპე-6 (57. სანჩესი-6.5), კვალიარელა-5, ფლორო ფლორესი-5.5.

**რეჯინა:** კამპანიოლო-6, ჩირილო-6, კ. ვალდესი-6.5, სანტოსი-6.5, ე. ალვარესი-6, ბარილა-6, ბარეტო-6.5, კარმონა-6.5, ვიჯანი-6.5, კოცა-6.5 (76. დი ჯენარო-6), ბრიენცა-7 (90. კორადი).

**გოლი:** 0:1 ბრიენცა (60)

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 24-22; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 10-15 (1-4); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 14 000

### კალიარი-ფიორენტინა 1:0

**კალიარი:** მარკეტი-7.5, მატიო-6.5, ლოპესი-6.5, ბიანკო-6.5, აგოსტინი-6.5, ფინი-7, ბიონდინი-7 (83. პაროლა), კონტი-6.5, ლაძარი-6 (46. კოსუ-6), აკვაფრესკა-6.5 (77. მატრი), ჟედა-6.

**ფიორენტინა:** ს. ფრეი-6, კომოტო-5 (69. ძაური-6), კროლდრუპი-5, გამბერინი-5.5, ვარგასი-6, კუემანოვიჩი-5.5 (53. ალმირონი-6), ფელიპე მელუ-6.5, მონტოლივო-7, სანტანა-5, ჯილარდინო-6, იოვეტიჩი-5 (46. პაცინი-5).

**გოლი:** 1:0 აკვაფრესკა (31-პენ)

**გაფრთხილება:** 1-4; **კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 14-12; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 10-19 (3-5); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 12 000

### სამპდორია-ლეჩე 3:2

**სამპდორია:** კასტელაცი-6, ლუკინი-6, გასტალდელო-6, აკარდი-6, პადალინო-6 (41. სტანკევიჩუსი-6.5), დელვეკიო-7 (87. დესენა), სამარკო-6.5, დ. ფრანჩესკინი-6, პიერი-6.5, ბელუჩი-6.5, კასანო-7.

**ლეჩე:** ბენუსი-6, პოლენგი-6, სტენდარდო-5.5, დიამუტენი-5.5 (62. ფაბიანო-6), ანტუნეში-5 (46. კაზერტა-6), მუნარი-6, ძანკეტა-6, არდიტო-5.5 (76. კონანი), არიატი-5.5, კაჩა-6, ტირიბოკი-7.

**გოლები:** 1:0 დელვეკიო (11), 2:0 კასანო (14), 2:1 ტირიბოკი (55), 3:1 სტანკევიჩუსი (61), 3:2 ტირიბოკი (83)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 2-5; **ჯარიმა:** 22-28; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 19-11 (8-5); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 21 000

### კატანია-ტორინო 3:2

**კატანია:** ბიცარი-6, სარდო-6, ტერლიცი-6, სილვესტრე-6.5, კარბონი-6.5 (72. ჯაკ. ტედესკო-6.5), საბატო-7, პ. ლედესმა-7, ბიაჯანტი-6.5, მასკარა-8 (84. სილვესტრი), მარტინესი-5 (31. პლასმატი-6.5), პაოლუჩი-6.5.

**ტორინო:** სერენი-6, დიანა-5 (83. როზინა), დი ლორეტო-5.5, მ. პიზანო-5.5 (64. პრატალი-6), ოგბონა-6, კოლომბო-7, ჯემაილი-5.5, ბარონე-6.5, რუბინი-6.5, ამორუზო-6 (69. აბრუსკატო-6), სტელონე-6.5.

**გოლები:** 0:1 კოლომბო (7), 1:1 მასკარა (8), 2:1 მასკარა (39), 2:2 ამორუზო (50-პენ), 3:2 მასკარა (80)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 7-8; **ჯარიმა:** 19-19; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 20-16 (7-3); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 18 000

### სიენა-ბოლონია 1:1

**სიენა:** კურჩი-6.5, სუნიგა-7, მოტი-6.5, პორტანოვა-6.5, დელ გროსო-5.5, ვერგასოლა-6, კოდრეა-6, გალოპა-6.5, ხარჯა-5.5 (87. ფორესტიერი), გეზალი-7, მაკარონე-6 (65. კალაიო-5).

**ბოლონია:** ანტონიოლი-5.5, ძენონი-5, ტერცი-5.5, მორასი-6, ლანა-6.5, ადაილტონი-5 (46. მარაცინა-6), მარკინი-6 (63. კოელიო-6), ვოლპი-5.5, მუდინგაი-7, ვალიანი-6 (81. ბრიტოსი), დი ვაიო-6.5.

**გოლები:** 1:0 გეზალი (22), 1:1 დი ვაიო (45-პენ)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 14-4; **ჯარიმა:** 12-15; **თამაშგარე:** 3-7; **კარში დარტყმა:** 14-7 (8-1); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 9 500

### რომა-ლაციო 1:0

**რომა:** ა. დონი-6.5, პანუჩი-6 (78. კასეტი-6), მექსე-6.5, ჟუანი-6, ტონეტო-6.5, პეროტა-5.5, დე როსი-6, ბრიგი-7, ტოტი-6 (76. მენეზი-5), ბაპტიშტა-6.5, ვუჩინიჩი-6.5 (89. ტადეი).

**ლაციო:** კარისო-6, ლიხტშტაინერი-6.5, სივილია-6, რადუ-5.5, როზენალი-6.5, მაური-5 (60. მეგნი-5), კ. ლედესმა-5, ბროკი-6.5 (81. დაბო), პანდევი-5, როკი-5.5 (84. ს. ინძაგი), სარატე-6.

**გოლი:** 1:0 ბაპტიშტა (50)

**გაძევება:** კ. ლედესმა (66. ლაციო), პეროტა (87. რომა)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 17-21; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 16-14 (4-3); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 63 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 12 | 8 | 3 | 1 | 19-7 | 27 |
| 2. მილანი | 12 | 8 | 2 | 2 | 17-8 | 26 |
| 3. იუვენტუსი | 12 | 7 | 3 | 2 | 17-8 | 24 |
| 4. ნაპოლი | 12 | 7 | 2 | 3 | 17-11 | 23 |
| 5. ლაციო | 12 | 7 | 1 | 4 | 21-13 | 22 |
| 6. უდინეზე | 12 | 6 | 3 | 3 | 19-10 | 21 |
| 7. კატანია | 12 | 6 | 3 | 3 | 14-11 | 21 |
| 8. ჯენოა | 12 | 6 | 2 | 4 | 19-14 | 20 |
| 9. ფიორენტინა | 12 | 6 | 2 | 4 | 14-10 | 20 |
| 10. ატალანტა | 12 | 5 | 2 | 5 | 13-12 | 17 |
| 11. პალერმო | 12 | 5 | 1 | 6 | 15-17 | 16 |
| 12. კალიარი | 12 | 4 | 1 | 7 | 12-15 | 13 |
| 13. სიენა | 12 | 3 | 4 | 5 | 9-12 | 13 |
| 14. სამპდორია | 11 | 3 | 4 | 4 | 10-15 | 13 |
| 15. ლეჩე | 12 | 2 | 6 | 4 | 12-15 | 12 |
| 16. ტორინო | 12 | 3 | 2 | 7 | 12-17 | 11 |
| 17. რომა | 11 | 3 | 2 | 6 | 11-18 | 11 |
| 18. ბოლონია | 12 | 2 | 2 | 8 | 10-21 | 8 |
| 19. რეჯინა | 12 | 2 | 2 | 8 | 9-23 | 8 |
| 20. კიევო | 12 | 1 | 3 | 8 | 6-19 | 6 |

**ბომბარდირები:** 10 - მილიტო (ჯენოა); 8 - ჯილარდინო (ფიორენტინა); 7 - იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), მასკარა (კატანია), სარატე (ლაციო); 6 - ამაური (იუვენტუსი), დი ვაიო (ბოლონია), ფლოკარი (ატალანტა), მიკოლი (პალერმო); 5 - აკვაფრესკა (კალიარი), დენისი (ნაპოლი), ჰამშიკი (ნაპოლი), პანდევი (ლაციო), კვალიარელა (უდინეზე), რონალდინიო (მილანი).

### სერია B

### XIV ტური

**მანტოვა-პიზა 2:1**

გოლები: 1:0 გოდეასი (10), 1:1 ქენევიე (36-პენ), 2:1 ტარანა (59)

გაძევება: კრისტანტე (35. მანტოვა), კორონა (81. მანტოვა)

**ავილინო-ბრეშა 1:1**

გოლები: 0:1 კარაჩოლო (1), 1:1 ვასკო (78)

**ბარი-ანკონა 2:1**

გოლები: 1:0 ბარეტო (25), 2:0 ბარეტო (31-პენ), 2:1 სოდიმო (71)

**მოდენა-ფროზინონე 2:0**

გოლები: 1:0 ფანტინი (45), 2:0 ტროიანო (75)

**ჩიტადელა-ალბინოლეფე 0:0**

გაძევება: კრისტიანო (90. ალბინოლეფე)

**პიაჩენცა-სასუოლო 2:2**

გოლები: 0:1 ძამპანია (25), 1:1 რანტიე (37), 1:2 რეა (47), 2:2 მოსკარდელი (70-პენ)

**ლივორნო-ტრევიზო 0:0**

**სალერნიტანა-რიმინი 2:3**

გოლები: 0:1 დოჩენტე (8), 1:1 დი ნაპოლი (16), 1:2 ვანტაჯატო (44), 2:2 სკარპა (79), 2:3 ვანტაჯატო (81-პენ)

**ტრიესტინა-ვიჩენცა 2:1**

გოლები: 1:0 დელა როკა (24), 1:1 დი ჩეზარე (37), 2:1 ტაბიანი (62)

**ასკოლი-პარმა 0:1**

გოლი: 0:1 პაპონი (77)

**ემპოლი-გროსეტო დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გროსეტო | 13 | 7 | 3 | 3 | 26-18 | 24 |
| 2. სასუოლო | 14 | 7 | 3 | 4 | 22-14 | 24 |
| 3. ემპოლი | 13 | 7 | 3 | 3 | 18-12 | 24 |
| 4. ბარი | 14 | 6 | 6 | 2 | 15-12 | 24 |
| 5. ლივორნო | 14 | 5 | 8 | 1 | 19-11 | 23 |
| 6. ტრიესტინა | 14 | 6 | 5 | 3 | 21-17 | 23 |
| 7. პარმა | 14 | 5 | 7 | 2 | 18-12 | 22 |
| 8. მანტოვა | 14 | 6 | 4 | 4 | 15-12 | 22 |
| 9. ვიჩენცა | 14 | 5 | 5 | 4 | 16-9 | 20 |
| 10. ბრეშა | 14 | 5 | 5 | 4 | 15-16 | 20 |
| 11. ალბინოლეფე | 14 | 4 | 7 | 3 | 13-13 | 19 |
| 12. სალერნიტანა | 14 | 5 | 4 | 5 | 15-18 | 19 |
| 13. პიზა | 14 | 4 | 5 | 5 | 17-17 | 17 |
| 14. პიაჩენცა | 14 | 4 | 5 | 5 | 11-13 | 17 |
| 15. ანკონა | 14 | 4 | 4 | 6 | 20-17 | 16 |
| 16. ფროზინონე | 14 | 4 | 4 | 6 | 15-20 | 16 |
| 17. რიმინი | 14 | 4 | 3 | 7 | 15-23 | 15 |
| 18. ავილინო | 14 | 2 | 7 | 5 | 11-19 | 13 |
| 19. ჩიტადელა | 14 | 2 | 6 | 6 | 9-16 | 12 |
| 20. ასკოლი | 14 | 2 | 5 | 7 | 8-15 | 11 |
| 21. მოდენა | 14 | 2 | 4 | 8 | 16-25 | 10 |
| 22. ტრევიზო | 14 | 2 | 7 | 5 | 14-20 | 9* |

*შენიშვნა: * - ტრევიზოს დაკლებული აქვს 4 ქულა*

**ბომბარდირები:** 9 - მასტრონუნციო (ანკონა); 7 - ბარეტო (ბარი), ლოდი (ემპოლი), კ. ლუკარელი (პარმა), სანსოვინი (გროსეტო), ტავანო (ლივორნო), ვანტაჯატო (რიმინი); 6 - დი ნაპოლი (სალერნიტანა), ედერი (ფროზინონე).

### სერია C1/A

### XII ტური

პერგოკრემა- ვენეცია 0:0; ლუმეცანე-ლეკო 1:0; ჩეზენა-მონცა 3:0; სპალ-პროპატრია 0:0; სამბენედეტეზე-პრო სესტო 2:1; პორტოგრუარო-რავენა 2:1; პადოვა-კრემონეზე 3:2; რეჯანა-ლენიანო 2:0; ვერონა-ნოვარა 3:1.

### სერია C1/B

### XII ტური

არეცო-პესკარა 1:1; ფოჯა-ბენევენტო 1:1; ფოლინიო-კავეზე 2:3; გალიპოლი-სორენტო 3:1; იუვე სტაბია-რეალ მარჩანიზე 2:0; პაგანეზე-კროტონე 1:1; პისტოიეზე-პერუჯა 0:0; პოტენცა-ტერნანა 0:0; ტარანტო-ვირტუს ლანჩანო 3:0.

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XI ტური

# შუსტერის ნდობის მანდატი თითქმის ამოიწურა

## ვალიადოლიდური ფიასკოს შემდეგ რეალი სასოწარკვეთილებამ მოიცვა



უკვე საკამათო აღარ არის, რომ მადრიდის „რეალმა" უმწვავეს კრიზისში ამოყო თავი. სამეფო კლუბი ავადაა, ასე დაასათაურა „დიარიო მარკამ" დედაქალაქური კლუბის ვალიადოლიდური მარცხი. ამ ნაგებას დიდი აჟიოტაჟი უძღვოდა წინ. გემახსოვრებათ, რომ **რამონ კალდერონმა ბერნდ შუსტერს** ულტიმატუმი წაუყენა, თუ „ვალიადოლიდს" არ დაამარცხებ, მთავარი მწვრთნელის გადაყენებაზე მთელი სერიოზულობით დავფიქრდებითო. რომელ მოგებაზეა ლაპარაკი, როცა სამეფო კლუბი თავად დამარცხდა და სატურნირო მდგომარეობა გაიუარესა. მასპინძელთა გამარჯვება **კანობიოს** ერთადერთმა გოლმა განაპირობა. მასპინძელთა ფეხბურთელმა სამეფო კლუბის რიგებში გამეფებული ტოტალური ქაოსით ისარგებლა. რამდენიმე სიტყვით მხოლოდ ასე შეიძლება დახასიათდეს მადრიდელთა სრულიად უპასუხისმგებლო თამაში. გასაგებია, რომ ტრავმების გამო სტუმრებს ძირითადი შემადგენლობის ერთბაშად ექვსი ფეხბურთელი აკლდათ, მაგრამ ამით ისინი თავს ვერავისთან გაიმართლებენ. საინტერესოა, რას ფიქრობს რამონ კალდერონი. მისი განწყობა ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, მაგრამ პრეზიდენტთან დაახლოებული ადამიანების თქმით, პირად საუბრებში ბერნდ შუსტერის მისამართით ის ისეთ ბილწ სიტყვებს ხარჯავს, გერმანელმა სპეციალისტმა რომ მოუსმინოს, შესაძლოა, დაპირისპირება ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდოსო. სენიორ კალდერონის უკიდურესი განრისხების ფაქტი „რეალის" მარკეტინგის სამსახურის უფროსის მოადგილემ „კადენა სერისთვის" მიცემულ ინტერვიუში გაახმაურა. კაცმა რომ თქვას, სენიორ კალდერონი მართალია. გოლი ნებისმიერ მონინააღმდეგესთან შეიძლება გაუშვა, თუნდაც ყველაზე სუსტთან, მაგრამ სხვა საკითხია, როცა მეტოქეს ამის შემდეგ ვერაფრით პასუხობ. ერთი შეხედვით, ტრავმების ეპიდემიამ ყველაზე მეტად ნახევარდაცვა და თავდასხმა დააზარალა. ნამყვანი მცველები მწყობრში არიან, მაგრამ ბოლო დროს სამეფო კლუბის ყველაზე სუსტ რგოლად სწორედ დაცვა იქცა. შესაძლოა, ვინმესთვის დაუჯერებლად ჟღერდეს, მაგრამ გოლის გაშვების შემდეგ სტუმრებს ღირებული არაფერი გაუკეთებიათ. არადა, მათ თამაშის გადასარჩენად თითქმის მთელი ტაიმი ჰქონდათ.

იმედია, თავხედობაში არ ჩაგვითვლით, თუ ვიტყვით, რომ შუსტერმა წინა ტურის შეხვედრა მის დაწყებამდე წააგო. „რეალს" გამარჯვებისადმი ლტოლვა არ აღმოაჩნდა. მწვრთნელმა ვერც ის მოახერხა, რომ ფეხბურთელებს ინერტულად არ ეთამაშათ. ნამყვანი ფეხბურთელების ტრავმა ძალიან ცუდია, მაგრამ მედალს ხომ ორი მხარე აქვს? სათადარიგო შემადგენლობის ბიჭებს შესაძლებლობების გამომჟღავნებისთვის ჩინებული შანსი ჰქონდათ, მაგრამ შუსტერმა მათი დაქოქვაც ვერ მოახერხა. სხვათა შორის, დილეტანტი ადამიანიც მიხვდებოდა, რომ „რეალის" მოთამაშეთა ერთი ნაწილი საშინლად იყო მოჰზადებული. დიახ, სამეფო კლუბი ახლა მართლა ავადაა და შველა სჭირდება. სამწუხაროდ, ჰერ შუსტერს არ გააჩნია ის პრეპარატი, რომელიც მსოფლიო ფეხბურთის გრანდს შოკიდან გამოიყვანს. საზოგადოება ახლა რამონ კალდერონის გადაწყვეტილებას ელის. გულშემატკივართა ერთი ნაწილი დარწმუნებულია, რომ გერმანელი სპეციალისტი თანამდებობას ვერ შეინარჩუნებს, თუმცა ისეთებიც არსებობენ, რომლებიც ფიქრობენ, რომ პრეზიდენტი სიტუაციას არ დაძაბავს და ულტიმატუმს სისრულეში არ მოიყვანს.

პარადოქსულია, მაგრამ შუსტერი მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე საკმაოდ კარგ ხასიათზე გამოცხადდა. მისი აზრით, „ხოსე სორილიაზე" განსაკუთრებული არაფერი მომხდარა: *„დიახ, წავაგეთ, ეს ძალიან საწყენია, მაგრამ ცხოვრება ამით არ სრულდება. წინ კიდევ ბევრი ბრძოლაა გადასატანი. აუცილებელია, რომ დღევანდელი ფიასკო დავივიწყოთ. მე ძალიან მშვიდად ვარ და დარწმუნებული ვახლავართ, რომ ჩემს გუნდს კრიზისიდან გამოვიყვან. მთავარია, მუშაობისთვის დრო და საშუალება მოგვცენ. იმედია, სამეფო კლუბს შუა სეზონში მწვრთნელის გარეშე არ დატოვებენ. მზად ვარ, ჩემს თითოეულ შეცდომაზე პასუხი ვაგო. ვაღიარებ, რომ ვალიადოლიდში სამი ქულის მოსაპოვებლად ჩამოვედით, თუმცა ისე მოხდა, რომ ქულაც სანატრელი გაგვიხდა. როგორც მწვრთნელი, ვალდებული ვარ, ფიასკო საკუთარ თავზე ავიღო, მაგრამ გულწრფელად რომ გითხრათ, ტაქტიკის შერჩევისას შეცდომა არ დამიშვია. უბრალოდ, ფეხბურთს ბევრი სიურპრიზი თუ მოულოდნელობა ახსოვს. ჩვენ სწორედ ერთ-ერთი ასეთი მოულოდნელობის მსხვერპლი გავხდით."*

„რეალი" აშკარად დასუსტდა და დაძაბუნდა. როგორც ნახეთ, შუსტერის ბიჭებს მეტოქის კარი არ დაულაშქრავთ. ასეთი რამ კი ბოლოს რვა თვის წინ მოხდა. წარმოგიდგენიათ, გასული თვეების განმავლობაში მადრიდელებს შინ და გარეთ უკლებლივ ყველა შეხვედრაში გაჰქონდათ გოლი. წინა ოცმა ორთაბრძოლამ სამეფო კლუბს სხვადასხვა შედეგი მოუტანა, მაგრამ ერთი რამ აქამდე არ იცვლებოდა. „რეალს" რა სირთულის თამაშიც არ უნდა ჰქონოდა, გოლს მაინც იტანდა...

არ ვიცით, ბერნდ შუსტერისთვის „ვალენსიის" სენსაციური საშინაო მარცხი შვებაა, თუ ფეხებზე კიდია, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ „ლამურების" კატასტროფულმა შედეგმა პრესის აგრესია მადრიდელებსა და ვალენსიელებს თანაბრად დაატეხა თავს. არადა, **უნაი მერეის** შეგირდებს რომ მოეგოთ, შუსტერს ყველა ერთად შეუტევდა და აბრალო გერმანელს ტყავს გააძრობდნენ. ახლა კი უნაი ემერისაც აკრიტიკებენ. „ლამურების" დამრიგებელმა ერთი შეხედვით ყველაფერი კარგად გააკეთა, მაგრამ „სპორტინგის" დასამარცხებლად ეს ძალისხმევა საკმარისი არ აღმოჩნდა. ცოტა არ იყოს გასაკვირია, მაგრამ ხიხონელები უფრო მწვავედ უტევდნენ და საგოლე მომენტებსაც უხვად ქმნიდნენ. თავად განსაჯეთ, სტუმართა კარგი თამაშით თავბრუდახვეული „ვალენსია" მუდმივად მდევრის როლში იმყოფებოდა. გუნდს **დავიდ ვილიამაც** ვერ უშველა. მართალია, მან პირადი მაჩვენებელი გააუმჯობესა, მაგრამ ამით გუნდს ვერ უშველა. „სპორტინგი" ყველა პროგნოზის წინააღმდეგ მოქმედებს. ხიხონელებს პრიმერა დივიზიონში ისეთი საშინელი სტარტი ჰქონდათ, ვერავინ იფიქრებდა, რომ თამაშის ხარისხს ასე გააუმჯობესებდნენ და ხუთი შეხვედრის მოგებას შეძლებდნენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დებიუტანტებმა ყველაზე დიდი სენსაცია სწორედ შაბათს მოახდინეს. რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, „ვალენსიის" დამარცხება მაინც წარმოუდგენელი იყო.

ემერი წაგებაზე მეტად თამაშის ხარისხმა შეაშფოთა. „ლამურების" მთავარმა მწვრთნელმა გულწრფელად განაცხადა, ჩემს გუნდს რაღაც სენი შეეყარა, რომლისგანაც სასწრაფოდ უნდა გავთავისუფლდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში კატასტროფა გარდაუვალი იქნებაო.

„ბეტისმა" მშობლიურ „მანუელ რუის დე ლოპერაზე" მიმდინარე სეზონში მეორე თამაში მოიგო. „მალიორკასთან" წინა გამარჯვების შემდეგ თითქმის ორი თვე გავიდა. ამის გათვალისწინებით გასაკვირი არ არის, რომ ანდალუსიელმა გულშემატკივრებმა დიდად გაიხარეს. მასპინძელთა წარმატებაში განსაკუთრებული როლი **სერხიო გარსიამ** ითამაშა. მან დუბლი შეასრულა და ანდალუსიური მწვანე ქუდიც დაიხურა. ესპანური ფეხბურთის გულშემატკივრებმა კარგად იციან, რომ „ბეტისში" ძველ ტრადიციას მიყვებიან. გოლების ავტორები მწვანე ქუდს იხურავენ და ამით გულშემატკივრებს ართობენ.

თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ ნუმანსიელებს უფრო მეტი ძალა აღმოაჩნდათ და მოიგეს კიდეც.

„ატლეტიკომ" „დეპორტივოსთან" მატჩში ის ბწყინვალება დაიბრუნა, რომლითაც სეზონის დასაწყისში არაერთი გუნდი გაანადგურა. **ხავიერ აგირემ** ძირითად შემადგენლობაში **ფორლანისა და აგუეროს** ტანდემი დააბრუნა. მექსიკელ სპეციალისტს არც უნანია, რადგან გამარჯვებაში ლომის წილი სწორედ ურუგვაელმა და არგენტინელმა შეიტანეს. აგუერო ძალიან აქტიურად თამაშობდა, ფორლანმა კი დუბლი შეასრულა.

„ვილიარეალი" ერთადერთი გუნდია, რომელსაც მიმდინარე სეზონში პრიმერა დივიზიონში ერთი თამაშიც არ წაუგია. ეს მშვენიერი მონაგარია, მაგრამ ძნელი წარმოსაგდენია, რომ **მანუელ პელეგრინი** და მისი ბიჭები ამ მიღწევით კმაყოფილი იყვნენ. საქმე ის არის, რომ „მალაგამ" სტუმრებს გამარჯვება ბოლო წამს გამოგლიჯა ხელიდან.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ოსასუნა" „ვილიარეალის" ანტიპოდ გუნდად გვევლინება. პამპლონელებს მიმდინარე სეზონში ჯერ არ მოუგიათ. **ხოსე ანტონიო კამაჩო** მთავარ მწვრთნელად ტყუილად დანიშნეს. ნავარელებს გამოცდილი ესპანელი სპეციალისტის მისვლა სასიკეთოდ ნამდვილად არ წაადგათ.

**ილია ნიკოლაიშვილი**

### მომდევნო ტური

23 ნოემბერი. **ბარსელონა-ხეტაფე, დეპორტივო-ბილბაო, რასინგი-ესპანიოლი, რეალი-რეკრეატივო, სევილია-ვალენსია, სპორტინგი-ბეტისი, მალიორკა-მალაგა, ოსასუნა-ალმერია, ვილიარეალი-ვალიადოლიდი, ნუმანსია-ატლეტიკო.**

### ვალიადოლიდი-რეალი 1:0

**ვალიადოლიდი:** ასენხო, პედრო ლოპესი, პრიეტო, გარსია კალვო, მარკოსი, ვივარ დორადო, ალვარო რუბიო, პედრო ლეონი (68. ბორხა), კანობიო (81. ბარახა), სესმა, ვიქტორი (90. ოსკარ სანჩესი).

**რეალი:** კასილიასი, სერხიო რამოსი, კანავარო, ჰაინცე, მარსელო (69. დრენტე), გაგო, ხავი გარსია (81. სავიოლა) გუტი, ვან დერ ვაარტი (62. სნეიდერი), რაული, იგუაინი.

**გოლი:** 1:0 კანობიო (48)

**გაძევება:** ჰაინცე (88. რეალი)

**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 8(3)-16(7); **კუთხური:** 7-6; **თამაშგარე:** 5-2; **ჯარიმა:** 17-20; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 21 000

### ვალენსია-სპორტინგი 2:3

**ვალენსია:** რენანი, მიგელი, ალბიოლი, მარჩენა, მორეტი, ალბელდა (75. ედუ), მანუელ ფერნანდესი (59. ბარახა), ხოაკინი, მატა, ვისენტე (46. მორიენტესი), ვილია.

**სპორტინგი:** კუელარი, სასტრე, ხერარდი, ნერუ, კანელია, ლუის მორანი (88. კიკე მატეო), დიეგო კამაჩო, მიჩელი, დიეგო კასტრო (85. პედრო), ბილიჩი, ბარალი (76. მატაბუენა).

**გოლები:** 0:1 ლუის მორანი (20), 0:2 ბარალი (52), 1:2 ვილია (69-პენ), 1:3 დიეგო კასტრო (81), 2:3 მატა (90)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 21(8)-12(5); **კუთხური:** 7-3; **თამაშგარე:** 0-5; **ჯარიმა:** 15-21; **ბურთის ფლობა:** 69%-32%

**მაყურებელი:** 50 000

### ატლეტიკო-დეპორტივო 4:1

**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო, უიფალუში, პეიტინგა, მარიანო პერნია, პერეა, პაულო ასუნსაო (76. ბანეგა), მანიშე (76. რაულ გარსია), სიმაო, მაქსი როდრიგესი, აგუერო (84. სინამა-პონგოლე), ფორლანი.

**დეპორტივო:** არანსუბია, ადრიან როდრიგესი, ლოპო, კაზმირსკი, მანუელ პაბლო, ზუან როდრიგესი, სერხიო, რიკი (65. ბოდიპო), ვერდუ (65. პაბლო ალვარესი), გუარდადო, ლაფიტა (76. ვალერონი).

**გოლები:** 1:0 პეიტინგა (26), 2:0 ფორლანი (51), 3:0 მაქსი როდრიგესი (66), 4:0 ფორლანი (80), 4:1 კაზმირსკი (87)

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 16(7)-14(6); **კუთხური:** 8-5; **თამაშგარე:** 2-2; **ჯარიმა:** 12-7; **ბურთის ფლობა:** 58%-42%

**მაყურებელი:** 45 000

### ხეტაფე-სევილია 0:2

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, მარიო, ბელენგერი (75. რაფა ლოპესი), პოლანსკი (75. სოლდადო), ლიხტი, კონტრა, კასკერო, ხაიმე მარტინესი, გრანერო, უჩე, ალბინი.

**სევილია:** პალოპი, დავიდ პრიეტო, სკილაჩი, ფერნანდო ნავარო, მოსკერა, მარესკა, ფასიო, რომარიკი (86. დე მული), ხესუს ნავასი, კანუტე, ლუიშ ფაბიანო (70. პენატო).

**გოლები:** 0:1 ლუიშ ფაბიანო (37), დე მული (90)

*ესტებან გრანერომ (ხეტაფე) 27-ე წუთზე ვერ გამოიყენა პენალტი*

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 14(3)-8(3); **კუთხური:** 6-2; **თამაშგარე:** 0-1; **ჯარიმა:** 8-17 **ბურთის ფლობა:** 58%-42%

**მაყურებელი:** 16 000

### ალმერია-მალიორკა 2:1

**ალმერია:** დიეგო ალვესი, პელერანო, ბადიასი, გილერმე, ბრუნო, მოსკერა, ხუანიტო, ხოსე ორტისი (87. მიჩელი), მანე, ნეგრედო (90. სორიანო), პიატი (90. კორონა).

**მალიორკა:** ლუქსი, დავიდ ნავარო, ნუნიესი, კორალესი, ხოსემი, კლებერ სანტანა, მარიო სუარესი (64. ა. კეიტა), ხურადო, არანგო, ვარელა (46. კასტრო), ადურისი (78. ვებო).

**გოლები:** 1:0 ნეგრედო (44), 2:0 ნეგრედო (67-პენ), 2:1 ა. კეიტა (90)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 15(6)-10(5); **კუთხური:** 6-5; **თამაშგარე:** 0-4; **ჯარიმა:** 21-18; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 15 000

### მალაგა-ვილიარეალი 2:2

**მალაგა:** არნაუ, ელდერ როსარიო, კუადრადო, კალეხა, გამესი, აპონიო, მიგელ ანხელი (78. ფერნანდო), ადრიანი, ბაა (78. ნაჩო), დუდა (82. ლუკე), ელისეუ.

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი, გოდინი, გონსალო როდრიგესი, კაპდევილია, ანხელ ლოპესი, ეგურენი (73. ბრუნო), მარკოს სენა, პირესი (61. იბაგასა), სანტი კასორლა, როსი, ხ. ლორენტე (76. ფრანკო).

**გოლები:** 0:1 როსი (8), 1:1 დუდა (30), 1:2 ხ. ლორენტე (50), 2:2 ელდერ როსარიო (90)

**გაფრთხილება:** 4-3; **დარტყმა:** 13(4)-16(6); **კუთხური:** 11-5; **თამაშგარე:** 4-1; **ჯარიმა:** 16-27; **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 25 000

### ბეტისი-რასინგი 3:1

**ბეტისი:** კასტო, ხუანიტო (54. მელი), არსუ, ფერნანდო ვეგა, ნელსონი, ხესუს კაპი (90. ხუანდე), მეჰმეთ აურელიო, სერხიო გარსია, ემანა (84. რივერა), ხუანმა, დამია.

**რასინგი:** ტონიო, ივან მარკანო, სესარი, გონსალო კოლსა (74. მადრასო), სეპსი, პინილიოსი, რასენი (74. ედუ ბედია), ოსკარ სერანო (46. ხუანხო), მუნიტისი, ხონათანი, ჩიტე.

**გოლები:** 1:0 სერხიო გარსია (27), 2:0 ემანა (37), 3:1 სერხიო გარსია (71), 3:1 მუნიტისი (86)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 17(6)-14(7); **კუთხური:** 5-5; **თამაშგარე:** 4-4; **ჯარიმა:** 18-18; **ბურთის ფლობა:** 46%-54%

**მაყურებელი:** 47 000

### ესპანიოლი-ნუმანსია 3:4

**ესპანიოლი:** კამენი, ხარკე, სერხიო სანჩესი, ბერანჟე, ფინენი, მოისეს ურტადო, რომანი (84. კალეხონი), რაულ ტამუდო, ლუის გარსია (78. ლოლა), ნენე, კორო (61. ვალდო).

**ნუმანსია:** კოლინასი, ბორისი, პავონი, დომინგო, ხუანრა, ხუარ მორენო (75. დიმასი), ნაგორე, ა. ეჩებერია, ბარკერო, კერო (90. ორტეგა), დელ პინიო (80. ლორენსი).

**გოლები:** 0:1 ნაგორე (14), 1:1 მოისეს ურტადო (34), 1:2 ა. ეჩებერია (58), 2:2 ხარკე (66), 3:2 ტამუდო (74-პენ), 3:3 ბარკერო (86), 3:4 ლორენსი (90)

**გაფრთხილება:** 2-5; **დარტყმა:** 9(4)-10(6); **კუთხური:** 1-0; **თამაშგარე:** 0-1; **ჯარიმა:** 15-20; **ბურთის ფლობა:** 29%-71%

**მაყურებელი:** 20 500

### ბილბაო-ოსასუნა 2:0

**ბილბაო:** ირაისოსი, უსტარისი (32. ეჩეიტა), ოსიო, ბალენსიაგა, ირაოლა, ორბაისი, მარტინესი, ლორენტე, სუსაეტა (75. გაბილონდო), გარმენდია (57. ეჩებერია), დავიდ ლოპესი.

**ოსასუნა:** რობერტო, მიგელ ფლანიო, კრუჩაგა, იოერი, ასპილიკუეტა, ნეკუნამი, ვადოში, პანდიანი (81. პორტილიო), შოეი, ჟოკინი (61. სოლა), ხუანფრანი (61. ესკერო).

**გოლები:** 1:0 გარმენდია (16), 2:0 ლორენტე (88).

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 19(8)-8(1); **კუთხური:** 7-5; **თამაშგარე:** 2-1; **ჯარიმა:** 24-21; **ბურთის ფლობა:** 46%-54%

**მაყურებელი:** 40 000

### რეკრეატივო-ბარსელონა 0:2

**რეკრეატივო:** რიესგო, სესარ არსო, ბეტო, პოლი, ბოისონი, ფუეგო, ხესუს ვასკესი, ტორნავაკა (58. კამუნიასი), სისი (77. რუბენი), მორისი, გერერო (59. აკალე).

**ბარსელონა:** ვალდესი, პიკე, მარკესი, პუიოლი (71. სილვინიო), დანიელ ალვეში, ბუსკეტსი, იაია ტურე (79. კეიტა), ჩავი ერნანდესი, ანრი, ეტოო (88. კრკიჩი), მესი.

**გოლები:** 0:1 მესი (51), 0:2 კეიტა (85).

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 7(2)-21(8); **კუთხური:** 5-5; **თამაშგარე:** 3-3; **ჯარიმა:** 21-12; **ბურთის ფლობა:** 32%-68%

**მაყურებელი:** 19 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 11 | 9 | 1 | 1 | 36-8 | 28 |
| 2. ვილიარეალი | 11 | 7 | 4 | 0 | 21-11 | 25 |
| 3. ვალენსია | 11 | 7 | 2 | 2 | 25-12 | 23 |
| 4. რეალი | 11 | 7 | 2 | 2 | 28-17 | 23 |
| 5. სევილია | 11 | 7 | 2 | 2 | 18-8 | 23 |
| 6. ატლეტიკო | 11 | 5 | 2 | 4 | 23-17 | 17 |
| 7. დეპორტივო | 11 | 4 | 3 | 4 | 10-13 | 15 |
| 8. ალმერია | 11 | 4 | 3 | 4 | 13-17 | 15 |
| 9. სპორტინგი | 11 | 5 | 0 | 6 | 19-25 | 15 |
| 10. ბეტისი | 11 | 4 | 2 | 5 | 16-14 | 14 |
| 11. მალაგა | 11 | 4 | 2 | 5 | 15-19 | 14 |
| 12. ხეტაფე | 11 | 3 | 4 | 4 | 10-14 | 13 |
| 13. ვალიადოლიდი | 11 | 4 | 1 | 6 | 10-17 | 13 |
| 14. რასინგი | 11 | 3 | 3 | 5 | 11-15 | 12 |
| 15. მალიორკა | 11 | 3 | 3 | 5 | 12-17 | 12 |
| 16. ესპანიოლი | 11 | 3 | 3 | 5 | 10-15 | 12 |
| 17. ნუმანსია | 11 | 3 | 1 | 7 | 14-24 | 10 |
| 18. ბილბაო | 11 | 2 | 3 | 6 | 12-20 | 9 |
| 19. რეკრეატივო | 11 | 1 | 4 | 6 | 5-17 | 7 |
| 20. ოსასუნა | 11 | 0 | 5 | 6 | 3-11 | 5 |

**ბომბარდირები:** 13 - ეტოო (ბარსელონა); 11 - ვილია (ვალენსია); 9 - იგუაინი (რეალი); 7 - მესი (ბარსელონა), ნეგრედო (ალმერია); 6 - ბილიჩი (სპორტინგი), ხ. ლორენტე (ვილიარეალი); 5 - რაული (რეალი), ჩიტე (რასინგი).

### II დივიზიონი

### XII ტური

**ალბასეტე-სალამანკა 2:2**

გოლები: 0:1 პელეგრინი (9), 1:1 ხაიმე (27), 2:1 აგილარი (47), 2:2 მიკუ (82)

**ალიკანტე-კორდობა 2:2**

გოლები: 1:0 პერაგონი (1-პენ), 2:0 ხორდა (3), 2:1 ასენი (43), 2:2 რუისი (69)

**ეიბარი-ლას პალმასი 1:2**

გოლები: 1:0 სუტილი (3), 1:1 სანჩესი (73), 1:2 საული (78)

**ხიმნასტიკი-სარაგოსა 0:0**

**კასტელონი-მურსია 2:0**

გოლები: 1:0 როსასი (49-პენ), 2:0 არანა (82)

**სელტა-ვალეკანო 0:0**

**ხირონა-ერკულესი 1:0**

გოლი: 1:0 ხიტო (76)

**უესკა-ლევანტე 2:1**

გოლები: 0:1 გეიხო (34), 1:1 ჰოსე (55-პენ), 2:1 ხოსე (70)

**სევილია II-ელჩე 0:2**

გოლები: 0:1 ფუსტერი (25-პენ), 0:2 როდრი (90-პენ)

**ხერესი-ალავესი 5:0**

გოლები: 1:0 რიოსი (10), 2:0 ანტონიტო (12), 3:0 ანტონიტო (21), 4:0 მომო (55), 5:0 სარმიენტო (82).

გაძევება: ალბასარი (15. ალავესი), მატეო (74. ალავესი)

**ტენერიფე-სოსიედადი 1:1**

გოლები: 1:0 ბერტრანი (87), 1:1 არანბურუ (90).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სალამანკა | 12 | 7 | 3 | 2 | 16-10 | 24 |
| 2. ერკულესი | 12 | 5 | 6 | 1 | 15-6 | 21 |
| 3. ხერესი | 12 | 6 | 3 | 3 | 21-12 | 21 |
| 4. კასტელონი | 12 | 5 | 5 | 2 | 19-13 | 20 |
| 5. ვალეკანო | 12 | 5 | 5 | 2 | 18-14 | 20 |
| 6. სარაგოსა | 12 | 5 | 4 | 3 | 21-14 | 19 |
| 7. უესკა | 12 | 4 | 5 | 3 | 17-14 | 17 |
| 8. ტენერიფე | 12 | 5 | 2 | 5 | 21-19 | 17 |
| 9. ალბასეტე | 12 | 4 | 5 | 3 | 15-14 | 17 |
| 10. ხირონა | 12 | 4 | 5 | 3 | 11-10 | 17 |
| 11. ლევანტე | 12 | 4 | 4 | 4 | 15-18 | 16 |
| 12. სოსიედადი | 12 | 3 | 7 | 2 | 12-10 | 16 |
| 13. ხიმნასტიკი | 12 | 3 | 6 | 3 | 18-15 | 15 |
| 14. ლას პალმასი | 12 | 3 | 6 | 3 | 15-13 | 15 |
| 15. სელტა | 12 | 3 | 6 | 3 | 12-13 | 15 |
| 16. კორდობა | 12 | 3 | 4 | 5 | 13-16 | 13 |
| 17. ეიბარი | 12 | 3 | 4 | 5 | 9-16 | 13 |
| 18. ალავესი | 12 | 3 | 4 | 5 | 15-24 | 13 |
| 19. ელჩე | 12 | 2 | 5 | 5 | 10-13 | 11 |
| 20. მურსია | 12 | 3 | 2 | 7 | 10-18 | 11 |
| 21. ალიკანტე | 12 | 1 | 5 | 6 | 11-20 | 8 |
| 22. სევილია B | 12 | 1 | 4 | 7 | 7-19 | 7 |

ინგლისი. პრემიერლიგა. XIII ტური

# არსენალის მიზანი ოთხეულია?

## არსენ ვენგერის გუნდმა ქარს უკვე არა ერთი ქულა გაატანა



არსენ ვენგერს ვითარებიდან გამოსავლის მოძებნა მართებს

„არსენალმა“ მორიგი მარცხი იწვნია. „მეთოფეებმა“ შინ „ასტონ ვილასთან“ 0:2 დათმეს. ინგლისელი მიმომხილველების აზრით, ლონდონურ გრანდს ჩემპიონობისათვის ბრძოლა გაუჭირდება. ზოგიერთი ჟურნალისტი წერს, რომ „არსენალისათვის“ მაქსიმალური შედეგი ოთხეულში ადგილის შენარჩუნება იქნება. „არსენალი“ ლიდერებს - „ჩელსისა“ და „ლივერპულს“ უკვე ცხრა ქულით ჩამორჩება. „ასტონ ვილა“ მას ქულებით გაუთანაბრდა, თუმცა ბურთების უარესი ბალანსის გამო მეხუთე ადგილზეა.

ბირმინგემელებს მესამე გოლის გატანაც შეეძლოთ. მე-20 წუთზე **მანუელ ალმუნიამ ეშლი იანგს** პენალტი აუღო. იანგმა დანაშაული იმით გამოისყიდა, რომ 70-ე წუთზე **გაბრიელ აგბონლაორს** საგოლე პასი მიაწოდა. ამ უკანასკნელის დარტყმის შემდეგ ბურთს უკანასკნელი მასპინძელი მცველი **გაელ კლიში** შეეხო. ამიტომ გოლიც (უფრო სწორად, ავტოგოლი) მის ანგარიშზე ჩაიწერა. 10 წუთში აგბონლაორმა მეორედ აიღო მეტოქის კარი. ამჯერად მის ავტორობაში ეჭვი აღარავის შეუტანია.

„არსენალმა“ წყალს გაატანა ერთი კვირის წინ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ მოპოვებული სამი ქულა. მოგეხსენებათ, შუა კვირაში, „ვიგანთან“ სათასო მატჩისას, **არსენ ვენგერმა** სარეზერვო გუნდი ათამაშა. ყმაწვილებმა საუცხოოდ წარმოაჩინეს თავი (3:0). ჟურნალისტების ვარაუდით, ზოგიერთ მათგანს ძირითად გუნდში უახლეს მომავალში გადაიყვანენ.

„ასტონ ვილა“ ლონდონს თვენახევრის წინაც ეწვია და „ჩელსის“ შეხვდა. ბირმინგემელებმა ორი უპასუხო გოლი მიიღეს. მათ ამჯერად შეცდომები აღარ დაუშვიათ. არსენალელები უმისამართო პასებს არიგებდნენ და უსუსტესად თამაშობდნენ თავდასხმაში. ვენგერს წინ მხოლოდ **ნიკლას ბენდტნერი** ჰყავდა. **ემანუელ ადებაიორი** ტრავმას იშუშებდა და თადარიგში იყო...

„ჩელსიმ“ მორიგი სამი ქულა მიამატა აქტივს. „არისტოკრატებმა“ „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ დაამარცხეს. ლონდონურმა გრანდმა სტუმრად ზედიზედ მე-10 მატჩი მოიგო. ეს კი ინგლისის ჩემპიონატის რეკორდია - შაბათამდე მეტოქის მოედანზე ზედიზედ 10 მატჩი მხოლოდ „ტოტენჰემს“ ჰქონდა მოგებული, ისიც 48 წლის წინ.

საუცხოო ფორმაშია **ნიკოლა ანელკა**. ფრანგმა თავდამსხმელმა მორიგი დუბლი მიითვალა. მის ანგარიშზე 13 მატჩში 12 გოლია (რვა გოლი ბოლო ოთხ შეხვედრაში). ის პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირია და კარიერის ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ატარებს. „არისტოკრატებმა“ მეტოქეს 11 წუთში მოუთავეს საქმე. **ჟოზე ბოსინგვამ** ანგარიში 34-ე წუთზე გახსნა. ანელკამ 38-ესა და 45-ე წუთებზე გამოიჩინა თავი. „ჩელსიმ“ მიმდინარე სეზონში სტუმრად ჩატარებულ შვიდ შეხვედრაში 19 გოლი გაიტანა და მხოლოდ ერთი მიიღო. ბურთების უკეთესი ბალანსის წყალობით, ლონდონელები პირველ ადგილზე იმყოფებიან...

„ლივერპული“ „ბოლტონის“ დიდ წინააღმდეგობას წააწყდა, მაგრამ დაგეგმილი ქულები მოიპოვა და „ჩელსის“ წინ გასვლის საშუალება არ მისცა. შუა კვირაში მერსისაიდელებმა „ტოტენჰემთან“ წააგეს (მეორე წაგება „მამლებთან“ 11 დღის განმავლობაში) და ინგლისის ლიგის თასს გამოეთიშნენ. გუნდს გულშემატკივართა თვალში რეაბილიტაციას სჭირდებოდა.

“ბოლტონმა” გამართული ფეხბურთი ითამაშა. „ლივერპულმა“ მეტოქეს წინასწარ დამუშავებული კომბინაციები დაუპირისპირა. 28-ე წუთზე **დირკ კუიტმა ფაბიო აურელიოს** პასით ისარგებლა და ანგარიში გახსნა. რამდენიმე წუთში მასპინძლებმა წონასწორობა აღადგინეს. **გარი კაჰილმა** თავური დარტყმით გაიტანა. მაგრამ არბიტრმა **რობ სტაილსმა** გოლი არ ჩათვალა. ვიდეოჩანაწერმა ცხადყო, რომ მსაჯი შეცდა. „ბოლტონი“ უსამართლოდ დასაჯეს.

„ლივერპულმა“ მატჩის ბედი 73-ე წუთზე გადაწყვიტა. შეცვლაზე შესულმა **ფერნანდო ტორესმა სტივ ჯერარდს** საუცხოო პასი გაუკეთა. სტუმართა კაპიტანმა თავით საუცხოო გოლი შეაგდო. **რაფა ბენიტესმა** თავი შეიკავა დებიუტანტი მარჯვენა მცველის **სტივენ დარბის** გამოყვანისაგან. დაცვის მარჯვენა ფლანგზე **ჯეიმი კარაგერმა** ითამაშა, ხოლო დაცვის ცენტრში მისი ადგილი **სემი ჰიიპიას** ერგო...

“მანჩესტერ იუნაიტედმა” “სტოკ სიტის” სასტიკი დღე აყარა. **კრისტიანო რონალდომ** დუბლი შეასრულა. მან ორივე გოლი საჯარიმო დარტყმით შეაგდო. კრისტიანოს პირველი გოლი ამავე დროს მე-100 იყო მისი მანჩესტერულ კარიერაში. შაბათის მატჩით **სერ ალექს ფერგიუსონის** საფეხბურთო მოღვაწეობის 50 წლისთავიც აღინიშნა. დიახ, ზუსტად 50 წლის წინ სერ ალექსმა პირველი მატჩი ჩაატარა თავისი პირველი კლუბის, გლაზგოს “ქუინზ პარკის” შემადგენლობაში და უმალ გოლი შეაგდო. “იუნაიტედმა” მწვრთნელს ნახევარსაუკუნოვანი იუბილე შთამბეჭდავი გამარჯვებით მიულოცა.

დანარჩენი მატჩებიდან აღსანიშნავია “ტოტენჰემის” პირველი მარცხი **ჰარი რედნაპის** მისვლის შემდეგ. “მამლებმა” თანაქალაქელ “ფულჰემთან” წააგეს და ექვსმატჩიან წაუგებელ სერიას დაუსვეს წერტილი.

### მომდევნო ტური

|---|---|
| ცსკა-რუბინი | 4:0 |
| ლოკომოტივი-მოსკოვი | 3:2 |
| ლუჩი-სპარტაკი | 2:2 |
| სატურნი-კრილია | 0:0 |
| ნალჩიკი-ხიმკი | 1:2 |
| ტერეკი-შინიკი | 0:0 |
| ტომი-ამკარი | 0:1 |
| ზენიტი-დინამო | 1:1 |

## სერბეთი

XIII ტური

| | |
|---|---|
| ბორაცი-იაგოდინა | 2:1 |
| ვოივოდინა-იავორი | 1:0 |
| ოფკ-ჰაიდუკი | 2:0 |
| ნაპრედაკი-პარტიზანი | 0:4 |
| ცრ. ზვეზდა-ბანატი | 2:1 |
| რადი-ჩუკარიჩკი | გადაიდო |

## სლოვაკეთი

XVI ტური

| | |
|---|---|
| დ. სტრედა-რუჟომბეროკი | 3:2 |
| დუბნიცა-ბისტრიცა | 2:0 |
| მორავცე-კოშიცე | 2:2 |
| ტატრანი-ნიტრა | 1:1 |
| ჟილინა-ტრნავა | 5:1 |
| არტმედია-სლოვანი | 1:1 |

## ჩრ. ირლანდია

XIV ტური

| | |
|---|---|
| დუნგანონი-ბალიმენა | 1:1 |
| ნიური-ლისბურნი | 2:3 |
| გლენავონი-კოლრეინი | 0:0 |
| კრუზეიდერსი-ბანგორი | 0:0 |
| ინსტიტუტი-ლინფილდი | 1:2 |
| გლენტორანი-კლიფტონვილი | დღეს |

## უკრაინა

XV ტური

| | |
|---|---|
| მეტალურგი (ზ)-ჩერნომორეცი | 1:3 |
| ილიჩოვეცი-ტავრია | 3:3 |
| ლვოვი-კარპატი | 2:4 |
| ვორსკლა-კრივბასი | 0:0 |
| არსენალი-მეტალურგი (დ) | 0:1 |
| შახტარი-დინამო | 1:0 |
| დნეპრი-ზორია | 1:1 |
| მეტალისტი-ხარკოვი | 1:1 |

## არგენტინა

XV ტური

| | |
|---|---|
| ლანუსი-ბანფილდი | 1:1 |
| ხიმნასია (ლ)-სან მარტინი | 1:0 |
| ურაკანი-როსარიო | 0:2 |
| ხიმნასია (ხ)-არსენალი | 0:1 |
| ტიგრე-გოდოი | 2:0 |
| ნიუელსი-სან ლორენსო | 3:3 |
| რასინგი-კოლონი | 0:2 |
| ბოკა-ველესი | 2:3 |
| არგ. ხუნიორსი-ესტუდიანტესი | გვ. დას. |
| ინდეპენდიენტე-რივერი | გვ. დას. |

## ჩილე

პლეიოფი

| | |
|---|---|
| კობრელოა-უნ. ჩილე | 3:0 |
| უაჩიპატო-კოლო კოლო | 1:1 |
| ო'ჰიგინსი-პალესტინო | 2:2 |
| უნ. კატოლიკა-რეინჯერსი | 3:3 |

## შოტლანდია

XIV ტური

| | |
|---|---|
| ფალკირკი-მაზერველი | 1:0 |
| ჰიბერნიანი-აბერდინი | 2:2 |
| ინვერნესი-ჰართსი | 0:1 |
| კილმარნოკი-დანდი იუნ | 2:0 |
| რეინჯერსი-სტ. მირენი | 2:1 |
| ჰამილტონი-სელტიკი | 1:2 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 14 | 12 | 1 | 1 | 36-14 | 37 |
| 2. რეინჯერსი | 14 | 10 | 3 | 1 | 32-11 | 33 |
| 3. ჰართსი | 14 | 7 | 2 | 5 | 15-17 | 23 |
| 4. დანდი იუნ | 14 | 6 | 4 | 4 | 19-16 | 22 |
| 5. კილმარნოკი | 14 | 6 | 1 | 7 | 13-19 | 19 |
| 6. აბერდინი | 14 | 5 | 3 | 6 | 15-16 | 18 |
| 7. მაზერველი | 14 | 5 | 2 | 7 | 16-19 | 17 |
| 8. ფალკირკი | 14 | 4 | 4 | 6 | 17-19 | 16 |
| 9. ჰიბერნიანი | 14 | 4 | 4 | 6 | 15-21 | 16 |
| 10. ინვერნესი | 14 | 4 | 2 | 8 | 15-21 | 14 |
| 11. სტ. მირენი | 14 | 3 | 3 | 8 | 9-16 | 12 |
| 12. ჰამილტონი | 14 | 3 | 1 | 10 | 12-25 | 10 |

### I დივიზიონი

XIV ტური

კლაიდი-სტ. ჯონსტონი 2:2; დანდი-ქუინი 2:0; ლივინგსტონი-დანფერმლაინი 2:3.

### II დივიზიონი

XIV ტური

ბრეჩინი-ისტ ფაიფი 2:1; ქუინზ პარკიეირი 0:3; რეითი-პიტერჰედი 3:0; სტირლინგი-არბროა 0:2; სტრანრარი-ალოა 2:2.

### III დივიზიონი

XIII ტური

ალბიონი-ანენი 0:1; კოუდენბითისტენჰაუზმური 1:2; ისტ სტირლინგი-დამბარტონი 5:2; ელჯინი-მონროუზი 1:2; ფორფარი-ბირუიკი 2:1.

## ჩეხეთი

XIV ტური

| | |
|---|---|
| ბანიკი-ბუდეიოვიცე | 0:0 |
| ლიბერეცი-კლადნო | 2:0 |
| პლზენი-ბოლესლავი | 2:0 |
| ზლინი-სიგმა | 1:1 |
| ბოჰემიანსი-სპარტა | 4:3 |
| პრშიბრამი-იაბლონეცი | 2:0 |
| სლავია-ვიქტორია | 2:1 |
| ტეპლიცე-ბრნო | დღეს |

### II დივიზიონი

XVI ტური

მოსტი-სპარტა II 2:1; იჰლავა-ვიტკოვიცე 1:2; დუკლა-ჩასლავი 2:1; ტრშინეცი-სოკოლოვი 1:4; ოლომოუცი-კარვინა 4:2; ოპავა-ბოჰემიანსი 1:0; უსტი-სლოვაცკო 4:0; ჰრადეცი-ფულნეკი .

## ბრაზილია

XXXV ტური

| | |
|---|---|
| ფლუმინენსე-პორტუგეზა | 3:1 |
| იპატინგა-სპორტ რესიფე | 3:0 |
| ნაუტიკო-კრუზეირო | 5:2 |
| ფლამენგო-პალმეირასი | 5:2 |
| გოიაში-ბოტაფოგო | 3:1 |
| სან პაულუ-ფიგეირენსე | 3:1 |
| ატ. პარანაენსე-ვიტორია | გვ. დას. |
| გრემიო-კორიტიბა | გვ. დას. |
| სანტოსი-ინტერნასიონალი | გვ. დას. |

## კოლუმბია

XIX ტური

| | |
|---|---|
| ტოლიმა-ინდეპენდიენტე | 2:0 |
| ამერიკა-ჩიკო | 4:2 |
| ატ. ხუნიორი-სანტა ფე | 3:1 |
| ატ. ნასიონალი-ატ. უილა | 2:0 |
| კუკუტა-ონსე კალდასი | 0:1 |
| დეპ. კუინდიო-დეპ. პასტო | 1:0 |
| დეპ. პერეირა-ბუკარამანგა | 3:0 |
| ლა ეკიდადი-დეპ. კალი | 1:0 |
| მილიონარიოსი-ენვიგადო | 2:1 |

## პერუ

XX ტური

| | |
|---|---|
| სესიანო-ხუან აურიჩი | 3:1 |
| კორონელი-სან მარტინი | 0:2 |
| სპორტინგ-სპ. კრისტალი | 0:1 |
| ალ. ატლეტიკო-მელგარი | 1:1 |
| ატ. მინერო-უნ. პერუ | 1:1 |
| ატ. ლიმა-ხოსე გალვესი | 2:1 |
| სპორტ ბოისი-სესარ ვალეხო | 5:2 |

## ურუგვაი

XI ტური

| | |
|---|---|
| სერო ლარგო-დ. ესპანიოლა | 2:0 |
| სერო-რივერ პლეიტი | 1:0 |
| მონტევიდეო-ხუვენტუდი | 3:0 |
| პენიაროლი-ლივერპული | 3:2 |
| რასინგი-დეფენსორი | 2:0 |
| სენტრალი-ბელა ვისტა | 2:0 |
| დანუბიო-ნასიონალი | 1:0 |
| რამპლა-ტაკუარემბო | 3:1 |

## მექსიკა

XVII ტური

| | |
|---|---|
| კრუს ასული-ხაგუარესი | 4:1 |
| მონტერეი-პუმასი | 1:0 |
| ტეკოსი-პუებლა | 3:0 |
| ჩივასი-ინდიოსი | 2:0 |
| პაჩუკა-ატლასი | 1:1 |
| მორელია-ტიგრესი | 1:2 |
| ტოლუკა-სან ლუისი | 1:0 |
| ნეკაქსა-ამერიკა | გვ. დას. |
| ს. ლაგუნა-ატლანტე | გვ. დას. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი | ოლიმპიადა

# ქალები ოთხეულში, ვაჟები ოცეულს მიღმა

## მესამე ტური

ოლიმპიადის მესამე დღე ქართველთა სრული ტრიუმფით შეიძლებოდა დასრულებულიყო. თითქმის ბოლო წუთამდე, ვიდრე პრესცენტრიდან სათამაშო დარბაზში არ გავიდოდი, ასეც მეგონა... მესამე ტურში ჩვენი ქალები ებრაელებს შეხვდნენ, ხოლო ვაჟები - უკრაინელებს. ებრაელ ქალთა გუნდი სუსტი არ გახლავთ, მაგრამ მათი დამარცხება რომ არ გაგვიჭირდებოდა, ვიცოდი. ასეც მოხდა - 3:1. უკრაინის ვაჟთა ნაკრები 2004 წლის ოლიმპიური ჩემპიონია. პირველ დაფაზე დღეისათვის ოლიმპიადის უპირველესი მოჭადრაკე უზის - **ვასილი ივანჩუკს** უმაღლესი რეიტინგი აქვს - 2786, რეიტინგი კი, ძალიან ბევრს განსაზღვრავს თანამედროვე ჭადრაკში. უკრაინელებს არც დანარჩენი სპორტსმენები ჰყავთ ნაკლები ძალისა. ისინი სამართლიანად მიიჩნევიან მთავარ ფავორიტებს შორის. ივანჩუკის წინააღმდეგ **ბაადურ ჯობავას** უნდა ეთამაშა. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ჯობავამ წინა დღით არცთუ გამორჩეული ძალის ყაზახ მოჭადრაკესთან დათმო პარტია, მსოფლიოში გამორჩეულ მოთამაშესთან წარმატების შანსი კიდევ ნაკლები ჰქონდა. მეორე დაფაზე ქართველებმა **ზვიად იზორია** დასვეს, მესამეზე - **მიხეილ მჭედლიშვილი**, მეოთხეზე - **დავით არუთინიანი**. მატჩის დაწყებიდან ერთი საათის შემდეგ ჯობავას უკვე სერიოზული უპირატესობა ჰქონდა; ცოტაც და უკრაინელთა ლიდერი ლამის გამოუვალ სიტუაციაში ჩავარდებოდა - ბაადურმა ორ ფიგურასა და პაიკში ლაზიერის დათმობა აიძულა. მეტოქეს ორი კუ, ეტლი და მხედარი დაურჩა. როგორც გაირკვა, არცთუ იოლი გახლდათ გამარჯვებამდე საქმის მიყვანა. ამ დროს იტყვიან - ზუსტი თამაშია საჭირო და მოგება დროის საქმეაო, - ბაადურის ლაზიერს კუ და ეტლიც უბამდნენ მხარს. ჰოდა, ჩვენც უკვე შესანიშნავ განწყობაზე დავდექით - ბაადური საქმეს ბოლომდე რომ მიიყვანდა, ეჭვი აღარ გვეპარებოდა. სხვა დაფებზე რა მოხდებოდა, ეს იყო ყველაზე საინტერესო. იზორიამ შავი ფერით მშვენივრად დაიცვა თავი სუპერრეიტინგის მფლობელ **პაველ ელიანოვის** (2720) შეტევებისგან და საკმაოდ მალე დააფიქსირა ყაიმი. ესეც ჩვენს წისქვილზე დასხმული წყალი გახლდათ. მესამე დაფაზე მიხეილ მჭედლიშვილი **ზაჰარ ეფიმენკოს** ხვდებოდა. დებიუტის შემდეგ მიხეილმა მშვენიერი პოზიცია მიიღო. დავით არუთინიანს **ანდრეი ვოლოკიტინი** დაუპირისპირდა. ტურნირის ოფიციალურ ვებგვერდზე მიმდინარე საჭადრაკო რეპორტაჟი აქაც გვარიან უპირატესობას გვაჩვენებდა. მატჩის მეოთხე საათისათვის საქართველოს ნაკრების უპირატესობა იმდენად გამოიკვეთა, რომ უდიდესი სენსაციის მოლოდინში ვიყავით. უკრაინისა და მისი ძალის გუნდების დამარცხების გამოცდილება კი აქვს საქართველოს ნაკრებს, მაგრამ 3,5:0,5 მაინც წარმოუდგენელი იყო. ამ დროისთვის ჩვენმა გოგონებმა გაიფორმეს მოგება: **მაია ჩიბურდანიძემ** და **ნანა ძაგნიძემ** ყაიმებით ითამაშეს, ხოლო **მაია ლომინეიშვილმა** და **სოფიკო ხუხაშვილმა** მოიგეს. ვიფიქრე, გოგონებს გამარჯვებას მივულოცავ, ჩვენი ბიჭების ტრიუმფს კი ადგილზე შევიგრძნობ-მეთქი. ჩემი ჟურნალისტური ბარგი-ბარხანა ნაადრევად ავკრიფე მაგიდიდან და დარბაზისკენ გავწიე. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი **გია გიორგაძე** შევამჩნიე, ერთმანეთს მივულოცეთ, ძალიან კარგია ყველაფერიო, მითხრა მან, მაგრამ... რომ გვეგონა, საქართველოს ნაკრები უკრაინას ანგრევდა, პირიქით ყოფილა, თურმე ორი პარტიის რეპორტაჟი შეცდომით გადაიცემოდა. არუთინიანი-ვოლოკიტინისა და მჭედლიშვილი-ეფიმენკოს პარტიები ერთმანეთში აურიეს, თანაც ფერებიც შეშლიათ (!). სამწუხაროა, მაგრამ მსგავსი ფაქტები უამრავია.

ვერც მიხეილმა შეძლო პოზიციის დაცვა, ვერც არუთინიანმა. როგორც ჩანს, არუთინიანი არ არის სათანადო ფორმაში. მან ორჯერვე წააგო, თუმცა აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში შავებით მოუხდა ბრძოლა. მეოთხე ტურში პორტუგალია დაგვიპირისპირდა. გუნდის კაპიტანი მაინც ენდო დავითს, ამჯერად თეთრები ერგება და ეგებ მოიგოს, თვითრწმენის დასაბრუნებლად კარგი საშუალება იქნებაო. ლოგიკური გადაწყვეტილება იყო. მით უფრო, რომ პორტუგალია ნამდვილად არ არის ძლიერი გუნდი და მისი დიდი ანგარიშით დამარცხება გვმართებდა. როგორ დასრულდა საქართველო-პორტუგალიისა და ქალებში საქართველო-უნგრეთის მატჩი, მოგვიანებით მოგახსენებთ. მანამდე კი ტურნირის ორგანიზაციის შესახებ მოგითხრობთ. ალბათ ხვდებით, რომ დითირამბებს არ მივუძღვნი დისციპლინითა და საქმის ორგანიზაციით განთქმულ გერმანელებს.

შეიძლება ვთქვათ, რომ მითი გერმანელთა გასაოცარი ორგანიზებულობის შესახებ ჩემთვის დაინგრა. ასეთივე აზრის თუ არა, უკმაყოფილო ნამდვილად არის ყველა სტუმარი. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ერთობლივი პროტესტიც კი დაიწერა ორგანიზატორთა სახელზე, რათა როგორმე ნორმალური ცხოვრებისა და თამაშის პირობები მიეცეთ ოლიმპიადის მონაწილეებს. ხელი მრავალმა მოაწერა პროტესტს, მათ შორის საქართველომაც. საპროტესტო წერილის ტექსტს ვერ წარმოგიდგენთ - საკმაოდ დიდი არზაა და ბევრი რამ იქ მკითხველისთვის ნაკლებ საინტერესო იქნება საჭადრაკო სპეციფიკიდან გამომდინარე. მოკლედ გეტყვით: ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ისაა, რომ საცხოვრებელი სათამაშო დარბაზიდან საკმაოდ შორსაა - ერთი საათის სავალზე. ეს დრო კი დაკარგულად ითვლება, რაც სრულფასოვან მომზადებასაც უშლის ხელს. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს კვების საკითხი: აქაც შორი მანძილი და საბჭოური დროისთვის დამახასიათებელი რიგებია პრობლემა. ამის გამო, ქართველები საკუთარი სახსრებით აგვარებენ კვების პრობლემას.

სათამაშო დარბაზი დიდი კი არის, მაგრამ არც იმდენად, რომ მონაწილეებმაც, მათმა თანმხლებმა პირებმაც და ჟურნალისტებმაც თავი კომფორტულად იგრძნონ. უამრავი ხელის შემშლელი წესია შემოღებული, თითქოსდა, მოჭადრაკეთა სიმყუდროვის დასაცავად, მაგრამ სინამდვილეში ქაოსი იქმნება. არადა, შენობა ძალიან დიდია, მრავალრიცხოვანი მაყურებლის დასწრების საშუალებას იძლევა, - ესწრებიან კიდეც, მაგრამ ჭადრაკით ერთდღიანი ტკბობისათვის 9,5 ევრო უნდა გადაიხადონ (?!). აქვთ აბონემენტიც, სადაც ოდნავი შეღავათია გათვალისწინებული...

## მეოთხე ტური

მეოთხე ტური წარმატებული კი გამოდგა ჩვენთვის, მაგრამ მეტის მიღწევაც შეიძლებოდა. ჯერ ის ვთქვათ, რომ დარბაზში სცენაც არის, სადაც ოთხ გუნდს - ქალთა და ვაჟთა ორ-ორ ნაკრებს აქვთ თამაშის უფლება: ლიდერებს და მასპინძელ გერმანელთა პირველ ნაკრებებს. გუშინდლამდე, არცერთ ქართულ კრებულს არ მისცემია სცენაზე ბრძოლის შანსი, გუშინ კი ეს პატივი ქალებს ხვდათ წილად...

უნგრეთი დიდი საჭადრაკო ტრადიციების ქვეყანაა და ქალთა შორისაც ყოველთვის ანგარიშგასაწევნი იყვნენ, მაგრამ იმ დროის დარი გუნდი, როცა **პოლგარები** თანაშობდნენ, რა თქმა უნდა, დღევანდელი ნაკრები არ არის. ამის მიუხედავად, ამბიციის ნაკლებობას არ განიცდიან და მესამე ტურის შემდეგ არცთუ უსაფუძვლოდ იყვნენ ლიდერებში - სამივე მატჩი მოგებული ჰქონდათ. ჩვენი შემადგენლობა კვლავ შეიცვალა: დაისვენა **სოფიკო ხუხაშვილმა** და დაბრუნდა **ლელა ჯავახიშვილი**. **მაია ჩიბურდანიძეს** გაუნგრელებულ ვიეტნამელთან, **თჰან თრანგ ჰონგთან** შავებით მოუწია თამაშმა. ბრძოლა ყაიმით დასრულდა. მესამე დაფაზე ჯავახიშვილმა დებიუტში პაიკი მოიგო, მაგრამ შუა თამაშში შეცდა და **ილდიკო მადლის** მატჩის გადარჩენის საშუალება მისცა. მეორე დაფაზე **ნანა ძაგნიძე** თამაშობდა, ამჯერად თეთრებით, მაგრამ ცუდად გაითამაშა დებიუტი და მალევე ჩამორჩა ჯერ ერთი, შემდეგ კი ორი პაიკით და საბოლოოდ დამარცხდა კიდეც. ეს შეხვედრა დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ მისი სავარაუდო შედეგი ცნობილი იყო და ამიტომ, ქართველთა გადარჩენა მხოლოდ **მაია ლომინეიშვილს** თუ შეეძლო. ის თეთრებით ხვდებოდა **ანა რუდოლფს** და დებიუტში მცირე უპირატესობას მიაღწია. მიტელშპილში, ერთ მომენტში, მაიამ არცთუ სასიამოვნო პოზიცია მიიღო, მაგრამ საბედნიეროდ, შეძლო ზუსტად ორიენტირება და გაიმარჯვა. საბოლოოდ, ფრე (2:2) დაფიქსირდა, რაც საუკეთესო შედეგი არ არის ჩვენთვის, მაგრამ ისიც კარგია, რომ ერთი ქულა შევმატეთ მარაგს. ამან ქართველი ქალბატონები მეოთხე ადგილზე გაიყვანა. 7 ქულა კიდევ რუსეთს, უნგრეთს და ინდოეთს აქვთ. ლიდერი კი ოთხიდან ოთხი მოგებით (8 ქულა) ჩინეთია.

რაც შეეხებათ ვაჟებს, მათ კარგად ითამაშეს და პორტუგალია 3,5:0,5 დაამარცხეს. მოიგეს **ჯობავამ, მჭედლიშვილმა და არუთინიანმა, ფანცულაიამ** კი მოწინააღმდეგეს ქულა გაუყო. ქართველთა მდგომარეობა შესაშური ნამდვილად არ არის, მაგრამ არც უპერსპექტივო ეთქმის. მეოთხე ტურის შემდეგ 22-ე ადგილზე ვართ. ქულათა მაქსიმუმით (4-4 მოგება) გერმანიის პირველი გუნდი და რუსეთის ნაკრები ლიდერობენ.

**ზვიად შათირიშვილი**
დრეზდენიდან




ფიგურული ციგურაობა



# მეშვიდე ბერსიში

წლევანდელ სეზონში **ელენე გედევანიშვილი** მსოფლიოს გრანპრის სერიის ტურნირებში ერთხელ მიიპატიჟეს, მან კი ეს შანსი ვერ გამოიყენა. მართალია, პირველი დღის შემდეგ ქართველმა მოციგურავემ ორი ადგილით წაიწია წინ, მაგრამ, არა გვგონია, 10 მონაწილეში მე-7-ზე გასვლა წარმატებად ჩაითვალოს, მით უფრო რომ პარიზის „ბერსის" ყინულზე მხოლოდ ელიტის ნაწილი იყო. „ერიკ ბომპარის ტროფიზე" სავალდებულო პროგრამის შემდეგ ელენე მე-9 ადგილზე იყო და მხოლოდ ჩინელ **ბინშუ სუს** უსწრებდა. სხვათა შორის, თავისუფალი პროგრამის დასრულების შემდეგ ქართველს ჩინელმა გადაუსწრო, თუმცა ელენემ სხვა სამ მოციგურავეს აჯობა და მეშვიდე ადგილზე დამკვიდრდა.

შაბათის თავისუფალ პროგრამას ბინშუ სუმ შესანიშნავი სტარტი უძლვნა, ბოლო ადგილზე მყოფმა გოგონამ კარგად ისრიალა და 83,15 ქულა მიიღო. ჯერი ელენესი იყო, რომელმაც არანაკლებ ისრიალა, რომ არა საჯარიმო ქულა, მეტსაც მიაღწევდა, მაგრამ ამ ორი ქულის გამოკლებით ჩვენებურმა ოდენ 80,30 ქულა მიიღო. ელენემ ტექნიკურ ელემენტებში ჯამში 41,74 ქულა მიიღო, ხოლო პროგრამულში – 40,56. მან საკმაოდ აჯობა უზბეკ **ანასტასია გიმაზეტდინოვას**, ამერიკელ **ემილი ჰიუზს** და ფრანგ **გვენდოლინ დიდიეს**, როგორც თავისუფალ პროგრამაში, ასევე ორი დისციპლინის ჯამში. აი, ლიდერებს კი უფრო დაშორდა, რადგან მათ ფანტასტიკურად ისრიალეს. განსაკუთრებით ეს კანადელ **ჟანი როშეს** ეხება, რომელმაც 121,19 ქულა მიიღო თავისუფალ პროგრამაში და მსოფლიოს ჩემპიონი იაპონელი **მაო ასადა** მეორე ადგილზე დატოვა. მესამე ადგილზე 15 წლის ამერიკელი (ჩინური წარმოშობის) **კაროლინ ჟანკი** გავიდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ISU გრანპრი (ერიკ ბომპარის ტროფი)
14-16 ნოემბერი. პარიზი.

| | |
|---|---|
| 1. ჟანი როშე (კანადა) | 180,73 |
| 2. მაო ასადა (იაპონია) | 167,59 |
| 3. კაროლინ ჟანკი (აშშ) | 156,54 |
| 4. კანდის დიდიე (საფრანგეთი) | 135,25 |
| 5. ბეატრისა ლიანგი (აშშ) | 134,29 |
| 6. ბინშუ სუ (ჩინეთი) | 123,83 |
| 7. ელენე გედევანიშვილი (საქ.) | 121,78 |
| 8. ანასტასია გიმაზეტდინოვა (უზბ.) | 116,99 |
| 9. ემილი ჰიუზი (აშშ) | 115,48 |
| 10. გვენდოლინ დიდიე (საფ.) | 111,18 |

კრივი

# ჭანტურია დაუმარცხებელი აღარაა

პროფესიულ რინგზე პირველი მარცხი მძიმეწონოსანმა მოკრივე **ვლადიმერ ჭანტურიამ** კიევის სპორტის სასახლეში იგემა. შაბათს რინგზე ერთმანეთს ორი დაუმარცხებელი შეხვდა, სიდნეის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ჭანტურია და უკრაინელი **ვლადიმირ ლაზებნიკი**. რვარაუნდიანი ორთაბრძოლა ლაზებნიკის სასარგებლოდ დასრულდა. მაშ ასე, დღეიდან ჭანტურიას პროფესიონალებში 12 გამარჯვება და 1 წაგება აქვს. იმავე საღამოს, კიევის სპორტის სასახლეში კიდევ ერთმა ქართველმა იჩხუბა – **ლევან შონიამ** (საშუალო წონა) მოუგო **ანდრეი აგეევს**. დაგეგმილი იყო ექვსრაუნდიანი ორთაბრძოლა, თუმცა ლევანმა უკრაინელი ვადამდე დაამარცხა ნოკაუტით. 24 წლის შონიას მონაგარი პროფესიულ რინგზე 13 გამარჯვება და 3 მარცხია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი

# სან დიეგოში დაასრულა

ამერიკის ქალაქ სან დიეგოს ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში (50 ათასი $) საქართველოს პირველმა ჩოგანმა **ანა ტატიშვილმა** (168) ასპარეზობა მეოთხედფინალურ სტადიაზე დაასრულა. მე-6 ნომრად განთესილი ქართველი ამერიკელ თანატოლ **მედისონ ბრენგლს** (225) ხვდებოდა, რომელთან ერთადაც ამას წინათ, წყვილთა თანრიგში ითამაშა. ბრძოლა სამსეტიანი გამოდგა და ანას მარცხით დასრულდა – 1:6, 6:2, 2:6. ამით ანა ტატიშვილმა წლეულს ასპარეზობა დაასრულა. ამ კვირაში **მაკა ჩახნაშვილი** პოლონურ ოპოლეში (25 ათასი $) ითამაშებს, ხოლო **სოფიო შაფათავა** ყაზახურ ასტანაში (25 ათასი $) ცდის ბედს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. V ტური. რუსთავი

# აბრევიატურებიანები და ბრჭყალებიანები

**თბილისი, სპორტის სასახლე**

**ავიამშენი–მაკაბი 128:71**

32:10, 32:21, 33:23, 31:17

ავიამშენი: ბერაია (13ქ), ი. ბერიშვილი (10ქ, 5პ), ნიკოლაძე (18ქ, 5პ, 5ჩ), კვიმსაძე (7ქ, 7პ, 5მ), მინაშვილი (6ქ), მათიაშვილი (28ქ, 7მ, 3დ), ნინიაშვილი (1ქ, 3ჩ), ნაცვლიშვილი (6ქ, 4პ, 2დ), პირველაშვილი (12ქ, 8მ, 5პ), შერმადინი (19ქ, 9მ, 3პ), ბოისა (8ქ, 9მ)

მაკაბი: კილაძე (7ქ), ახმედიანი (9ქ), ანთაძე (5ქ), ლონდარიძე (15ქ, 11მ), იოსელიანი (18ქ, 8მ, 5ფ), ჯანგველაძე (9ქ, 10მ, 3პ), ბიბილური (2ქ), ივანეიშვილი (4ქ), სუდაძე (3ქ, 3პ)

მსაჯები: დ. არეშიძე, გ. მიქელაძე

**თსუ–შსს 107:48**

30:10, 34:21, 22:6, 21:11

თსუ: დ. ბერიშვილი (16ქ, 5მ), დეკანოიძე (4ქ), გაფრინდაშვილი (1ქ, 5პ), გ. ბარბაქაძე (9ქ), კოხრეიძე (3ქ, 6მ), შანიძე (21ქ, 5მ), მარკოიშვილი (10ქ, 3პ), ყველაშვილი (6ქ), ხეცურიანი (9ქ, 3პ), ახალკაცი (6ქ), დ. ბარბაქაძე (22ქ, 5მ, 4პ, 5ჩ)

შსს: ბექაური (3ქ, 6მ), მიქაბერიძე (5ქ), ბერუაშვილი (3ქ), გურგენიძე (1ქ), ბ. ნოზაძე (4ქ, 8მ, 5ფ), ნინუა (7ქ, 5მ, 3პ), პატარაია (5ფ), აბულაძე (10ქ, 5მ), გოლეთიანი (5ქ, 5მ), ბაქრაძე (4ქ), ფაიქრიძე (6ქ, 6მ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, ხ. გაბედავა

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 4 | 4 | 0 | 8 |
| 2. ნტდ | 4 | 4 | 0 | 8 |
| 3. სასოფლო | 4 | 3 | 1 | 7 |
| 4. ავია | 4 | 3 | 1 | 7 |
| 5. თსუ | 5 | 2 | 3 | 7 |
| 6. ბათუმი | 4 | 2 | 2 | 6 |
| 7. შსს | 5 | 1 | 4 | 6 |
| 8. დინამო | 5 | 1 | 4 | 5 |
| 9. მაკაბი | 5 | 0 | 5 | 5 |



სპორტის სასახლეში გუშინ მე-5 ტურის ორი დარჩენილი შეხვედრა გაიმართა – ერთ წყვილში აბრევიატურებიანმა გუნდებმა ითამაშეს, მეორეში ბრჭყალებიანებმა: "ავიამშენი" "მაკაბის" დაუპირისპირდა (ეს ბრჭყალებიანი გუნდები), ხოლო თსუ – შსს-ს (ესეც აბრევიატურებიანები).

პირველ შეხვედრაში ჩემპიონობის მაძიებელმა "ავიამშენმა" თავს ლაღი თამაშის უფლება მისცა და ახალგაზრდა "მაკაბისთან" ჩემპიონატის რეკორდი გამოაცხო – ყველაზე მეტი ქულა ჩააგდო (128).

თუკი სუფთა სტატისტიკური თვალსაზრისით ვიმსჯელებთ, გუშინ **რიჩარდ მათიაშვილს** რომ არ ეთამაშა, "ავია" 100 ქულას მიითვლიდა. ეს ხუმრობით, რეალურად კი რიჩარდი გუშინდელი დღის სნაიპერი გახდა. მან 28 ქულა ჩააგდო, ზედ 7 მოხსნა და 3 დაფარება მიამატა. საინტერესოა, რომ მან 14 მცდელობიდან მიზანს მხოლოდ 1 ორქულიანი ააცილა.

მეორე ტაიმი შეუცვლელად ითამაშა საქართველოს ნაკრების რეკორდსმენმა (40 მატჩი აქვს ჩატარებული და ეროვნულის სნაიპერია) **ვატო ნაცვლიშვილმა.** იგი ნელ-ნელა ფორმას კრეფს და სასურველი კონდიციების მიღწევის შემდეგ, საქართველოს ჩემპიონატის პლეი ოფებს დამატებითი ხიბლი შეემატება.

"მაკაბიში" კიდევ ერთხელ გამოიკვეთა იმ კალათბურთელთა გვარები, რომლებზეც მწვრთნელი **ჯამლეტ ხუხაშვილი** იმედებს ამყარებს. **დავით იოსელიანმა** 18 ქულას 8 მოხსნა მიამატა, **ლონდარიძემ** ორმაგი დუბლის შესრულება (15 ქულა, 11 მოხსნა) და ცხვირის დასისხლიანებაც მოასწრო. **ჯანგველაძემ** კი 10-ჯერ მოხსნა და 9 ქულა ჩააგდო.

"მაკაბისთან" გამარჯვების შემდეგ "ავიამშენი" სატურნირო ცხრილში ლიდერებში შევიდა, ხოლო "მაკაბიმ" უკანასკნელი პოზიცია კიდევ უფრო გაიმყარა.

მეორე შეხვედრაში უფრო თანაბარ ბრძოლას ველოდით, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა. თსუ-მ პირველივე წუთებიდან მტკიცე დაცვა "ააშენა" და თავიდანვე 13:0 დაწინაურდა. შსს-ს ვერც **ზურაბ ტომარაძის** წუთშესვენებამ უშველა, თსუ მალე ჩვიდმეტამდე ავიდა - 17:0 . შსს-ს კალათბურთელებმა პირველი ქულა მე-5 წუთზე ჩააგდეს. ეს **ვანო აბულაძემ** გააკეთა.

მრგვალი ანგარიშით დასრულდა პირველი ათწუთეული – 30:10 თსუ-ს სასარგებლოდ.

შსს-ს მეორე მეოთხედის დასაწყისშიც გაუჭირდა, თუმცა ანგარიშის გასახსნელად ამჯერად მხოლოდ 2 წუთი დასჭირდა. მესამე პერიოდის სტარტზე **ზურაბ ტომარაძის** გუნდი ამავე პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, რაც მანამდე – მშრალმა სერიამ 4 წუთს გასტანა. საპირისპიროდ სროლა ურიგოდ არ მისდიოდათ სტუდენტებს, რომლებმაც ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ პირველად გაიმარჯვეს, აუტსაიდერებს გაემიჯნენ და სატურნირო ცხრილის შუაში მოექცნენ.

ტურის საუკეთესო კალათბურთელის გამოსავლენად ბევრი ფიქრი დაგვჭირდა. იგი აუცილებლად უნდა ყოფილიყო გამარჯვებული გუნდიდან და ჰქონოდა ეფექტური სტატისტიკა. რიჩარდ მათიაშვილის მონაგარზე უკვე გესაუბრეთ, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მან 28 ქულა ერთპიროვნულ აუტსაიდერ "მაკაბისთან" მოაგროვა. რუსთაველმა **ზვიად ბაბიაშვილმა** კი 22 ქულა და 12 მოხსნა შედარებით ძლიერ "დინამოსთან" მიითვალა. ამიტომ მე-5 ტურის საუკეთესო მოთამაშედ ბაბიაშვილი დავასახელეთ.

ბოლოს ერთ ცვლილებაზე მოგახსენებთ. მე-6 ტურის მატჩები ნაცვლად კვირისა (23 ნოემბერი), გაიმართება შაბათს, 22 ნოემბერს.

ვაჟა **სიმონიშვილი**

ქართველი NBA-ში

# ზაზას მხარი გაუმიზეზდა

## ატლანტამ მხარი იცვალა

პარასკევსა და შაბათს, გამთენიისას "ატლანტა ჰოქსი" ორჯერ ეთამაშა "ნიუ ჯერსი ნეთსს", ჯერ ჯერსიში, შემდეგ – ატლანტაში. მოდით, ამ შეხვედრებზე სათითაოდ ვისაუბროთ.

"ბოსტონთან" მატჩში **ზაზა ფაჩულიამ** მარცხენა მხარი დაიზიანა და იმ დღეს ვერაფრით გავარკვიეთ რამდენად სერიოზული იყო ტრავმა. რჩებოდა ერთი გამოსავალი – დავლოდებოდით "ნიუ ჯერსისთან" პირველ დაპირისპირებას. ამ მატჩის ოქმში ზაზას გვარის ამოკითხვა ნამდვილად გაგვიხარდა, მით უმეტეს სასტარტო შემადგენლობაში. როგორც აღმოჩნდა, ტრავმა იმდენად სერიოზული არ იყო, რომ ქართველი ცენტრისთვის მოედანზე გასვლაში ხელი შეეშალა. ზაზას მხარის ამბავი ჩვენზე უკეთ გაზეთ "ატლანტა კონსტიტუშენის" ჟურნალისტმა **სეკუ სმიტმა** იცის, რომელიც "ჰოქსის" ყოველ მატჩზე დაჰყვება. აი, რა დაწერა მან "ნიუ ჯერსი"-"ატლანტას" მიმოხილვაში: "კარგია, რომ "ჯერსიმ" და "ჰოქსმა" არა დღისით, არამედ გვიან ღამით ითამაშეს. ატლანტელთა ცენტრი პარასკევს მთელი დღის განმავლობაში მხრის ტკივილს უჩიოდა. ბოსტონში მიღებული ტრავმა მას საღამოს ჩაუცხრა და მწვრთნელსაც დაუყოვნებლივ აცნობა – სათამაშოდ მზად ვარო. *"როცა ვიგრძენი, რომ მხარის ტკივილი თამაშში ხელს არ შემიშლიდა, მაშინვე მწვრთნელს ვუთხარი, რომ მოედანზე გასასვლელად მზად ვიყავი. თამაში ძალიან მსურდა", - იხსენებს ზაზა ფაჩულია. მან ჯერსიში 13 წუთში 4 ქულა, 2 მოხსნა და 2 დაფარება მოაგროვა."*

ქართველი მეფარისთვის დროის შეზღუდვის მიზეზი ისევ და ისევ ტრავმა იყო, მაგრამ ამ მცირე დროში მან მაინც მოასწრო პირადი რეკორდის დამყარება: სეზონში პირველი დაფარება მეორე პერიოდის დასრულებამდე 13 წამით ადრე მიითვალა. 2 წამში მან კიდევ ერთხელ დააფარა და 2 "ბლოკ-შოტი" მოუგროვდა. საინტერესოა, რომ ორჯერვე მისი მსხვერპლი **ჰარისი** აღმოჩნდა.

"ატლანტამ" კი ვერაფერი გააწყო "ნეთსთან" – 108:115. უფრო დავაკონკრეტებთ: ვერაფერი გააწყო ბოლო პერიოდში, რომელიც 8 ქულის სხვაობით დათმო – 34:42. არადა, სტუმრები გადამწყვეტი რაუნდის წინ ქულას იგებდნენ.

მეორე დღეს ატლანტაში გამართულ შეხვედრაში "ნიუ ჯერსიმ" კიდევ უფრო უკეთესად ითამაშა და მესამე პერიოდის ბოლოს 8 ქულით დაწინაურდა, მეოთხე თორმეტწუთეული ფრედ დასრულა (34:34) და შინ გამარჯვებული გაბრუნდა – 119:107.

ამ შეხვედრაში "ნეთსის" სნაიპერობა იმ კალათბურთელმა იკისრა, რომელსაც წინა მატჩში ზაზამ ორ წამში ორჯერ დაუფარა – ჰარისმა 33 ქულას მოუყარა თავი.

ახლა ზაზა ფაჩულიაზე. მის შესახებ გუშინ კვლავ სეკუ სმიტმა დაწერა:

*"ნიუ ჯერსიში გამართული მატჩის შემდეგ, ატლანტაში დაბრუნებული, გამთენიისას ტკივილმა გამომაღვიძა. მხარს მძიმედ ვამოძრავებდი. მაშინვე მივხვდი, რომ "ნიუ ჯერსისთან" განმეორებით შეხვედრაში მონაწილეობას ვერ მივიღებდი," – იხსენებს ზაზა ფაჩულია, რომელიც მწვრთნელმა მაიკ ვუდსონმა გუშინდელი შეხვედრის განაცხადშიც ვერ შეიყვანა.*

ზაზას ნაცვლად ხუთეულში ადგილი შედარებით ტანდაბალმა **მორის ევანსმა** დაიკავა. აი, რას აცხადებს სასტარტო ხუთეულის დადაბლების შემდეგ "ჰოქსის" მთავარი მწვრთნელი: "დღეს **ჯოშ სმიტი** და ზაზა ფაჩულია გვაკლდნენ. ასე რომ, "ნეთსთან" "ატლანტა" სრული სახით არ წარმდგარა. აქცენტის ტანდაბალ კალათბურთელებზე გადავიტანე. დღეს დავინახე, რაოდენ რთულია არათანაბრად დაბალანსებული გუნდისთვის მაღალ დონეზე თამაში."

ასე და ამგვარად, სმიტისა და ზაზას არყოფნაში "ჰოქსმა" ზედიზედ მესამე მატჩი წააგო. თუმცა, მას 6 მოგება აქვს და "ორლანდოსთან" ერთად სათავეში უდგას სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონს.

მორიგ შეხვედრას "ატლანტა" ინდიანაში, ადგილობრივ "პეიზერსთან" 18 ნოემბერს გამართავს.

თავადაც მიხვდებით, რომ ქვემოთ მოცემული ზაზა ფაჩულიას მონაგარი ნიუ ჯერსში გამართული პირველი მატჩიდანაა.

**ზაზას მონაგარი**

13 წუთი: 4 ქულა, 2 მოხსნა, 2 დაფარება, 2 ფოლი

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 10:08 | ფოლი: 1 |
| 9:45 | ორქულიანი: 2ქ (5:6) |
| 9:17 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 9:12 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 8:41 | მოხსნა: შეტ-2, დაც-0 |
| 8:39 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 8:34 | ფოლი: 2 |
| 8:43 | ზაზა ჯონსმა შეცვალა |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 5:24 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 0:13 | დაფარება: 1 (ჰარისს დაუფარა) |
| 0:11 | დაფარება: 2 (ჰარისს დაუფარა) |

**III პერიოდი**

| | |
|---|---|
| 9:38 | ორქულიანი: 4ქ (56:57) |
| 8:12 | ზაზა მიურეიმ შეცვალა |

ვაჟა **სიმონიშვილი**

**ესპანეთის ჩემპიონატი**

**მენორკა–სარაგოსა 102:75**

ბოისა: 20 წუთი, 9 ქულა, 2 პასი

**ესტუდიანტ.–ფუენლაბრადა 71:89**

ცქიტიშვილი: 20 წუთი, 5 ქულა, 5 მოხსნა

**კახასოლი–ტაუ 74:101**

ელისი: 32 წუთი, 10 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი

**უკრაინის ჩემპიონატი**

**კიევი–აზოვმაში 84:76**

მარკოიშვილი: 20 წუთი, 7 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა



წყალბურთი

# ნაკრები დაფინანსდება, მწვრთნელი ისელიძეა

## ქართული წყალბურთის საამაყო ისტორიაში ახალი ეპოქა იწყება

ახლა შეიძლება უკვე თამამად ითქვას, რომ დიდი ხნის ოცნებას ფრთები შეესხა. ეროვნულ ნაკრებს მომავალი წლიდან გაზრდილი დაფინანსება ექნება, გუნდის მთავარ მწვრთნელად კი ქართული წყალბურთის ერთ-ერთი ლეგენდა **ვლადიმერ ისელიძე** დაინიშნა. ეს ყველაფერი ოფიციალურად შაბათს, კაფე „მსოფლიო სპორტში" გამოცხადდა.

შეხვედრას ქართული წყალბურთის მესვეურთა გარდა, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის ახალი მინისტრი **გრიგოლ ვაშაძე**, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი**, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე **გია გალდავა** დაესწრნენ.

ქართული სპორტის თავკაცებმა დანაპირები გაიხსენეს და საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენეს, რომ მომავალ ოლიმპიურ ციკლში წყალბურთი სათამაშო სახეობებიდან პრიორიტეტული იქნება. ეს კი ამ სახეობის დაფინანსების მნიშვნელოვან ზრდაში აისახება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტთან წყალბურთის კლუბის დაარსებაა, რომელიც ეროვნული ნაკრების საბაზო გუნდი იქნება. დადებითად გადაწყდა ნაკრების წევრთათვის ხელფასების დანიშვნის საკითხი. აქამდე ჩვენი წყალბურთელები შიშველი ენთუზიაზმით თამაშობდნენ. სახელფასო თანხასაც ჭავჭავაძის უნივერსიტეტი გამოყოფს.

ვლადიმერ ისელიძის ასისტენტებად **ირაკლი კიკალიშვილი** და **ჯუმბერ ნიკლაური** იმუშავებენ. გუნდს უახლოესი ტურნირი - უკრაინის ღია პირველობა, დეკემბრის პირველ რიცხვებში ელის. ახალი წლის შემდეგ ბაკურიანში მოეწყობა შეკრება, აპრილის პირველ დეკადაში კი ჩვენი ნაკრები კვლავ უკრაინის პირველობაზე იასპარეზებს. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი 2009 წლის 8 აპრილს დაიწყებს, ჩატარების ადგილი ჯერ უცნობია.

აქვე ეროვნული ნაკრების შემადგენლობასაც გაგაცნობთ:

**სანდრო ნამორაძე, გიორგი სობოშვილი, ბექა ქენქაძე, გურამ კოტარია, გიორგი ხვედელიანი, ნოდარ რაფავა, ზურაბ რურუა** (კაპიტანი), **სანდრო რუსიშვილი, ტატო ნიკოლეიშვილი, ლევან ყავლაშვილი, ლუკა ტუკვაძე, გალაქტიონ ლაითაძე** (ლეგიონერი, საუდის არაბეთი), **ზვიად დავითიანი** (ლეგიონერი, საფრანგეთი), **მიხეილ ბალათურია** (ლეგიონერი, დინამო მოსკოვი), **ილია ბუტიკაშვილი** (ლეგიონერი, გერმანია), **პავლე ჯაფარიძე** (ლეგიონერი, გერმანია), **თამაზ მანძულაშვილი** (ლეგიონერი, ირლანდია).

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემორიალი

# აქ კოტე ცხოვრობდა...



მარცხნიდან: გურამ სალარაძე (მოჭიდავე), გურამ სალარაძე (მსახიობი), ილია დათუნაშვილი, ივიკო მახარაძე

ქიაჩელის 10 ნომერში **კოტე მახარაძის** მემორიალური დაფა გაიხსნა. ლეგენდარულმა ქართველმა მსახიობმა და კომენტატორმა ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლები ამ სახლში გაატარა.

დაფა, რომელიც ჩვენს ქალაქს ნამდვილად დაამშვენებს, **გია ჯაფარიძემ** შექმნა. გახსნის ცერემონიალს კოტე მახარაძის კოლეგა და მეგობარი **ჯამლეთ ხუხაშვილი** გაუძღვა: "

*„უკეთესი იქნებოდა, დაფაზე მხოლოდ "კოტე" დაეწერათ, მაგრამ კოტე თავმდაბალი ადამიანი იყო და ამიტომაც მემორიალურ დაფაზე მისი გვარიც გამოისახა".*

ცერემონიალზე კოტე მახარაძის ოჯახის წევრებთან ერთად, ქართული სპორტის, ხელოვნებისა და მეცნიერების არაერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი მივიდა. რამდენიმე მათგანმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვითაც მიმართა.

აკადემიკოსი **როინ მეტრეველი**: *"კოტე მახარაძემ ხელოვნების ახალი დარგი, სპორტული კომენტატორობა შექმნა. ეს დაფა მისი დიდი საქმეების პატარა დაფასებაა".*

მსახიობი **გურამ სალარაძე**: *"სახლში ჩემი გარდაცვლილი ძმაკაცების ფოტოები მიკიდია. დილას რომ ავდექი, კოტეს სურათთან მივედი და ვუთხარი, ეს რა დღე გამითენდა, შენი მემორიალური დაფის გახსნაზე მივდივარ-მეთქი. ნამდვილად გამორჩეული და ძვირფასი დღეა".*

მოჭიდავე **გურამ სალარაძე**: *"კოტეს ვინც იცნობდა, დამეთანხმება, რომ იგი ყველა ადამიანს გაცნობიდან უმოკლეს დროში უყვარდებოდა. დიდებული კაცი იყო და ბედნიერი ვარ, ასეთი ღირსშესანიშნავი მოვლენის გამო რომ შევიკრიბეთ".*

მსახიობი **დიმიტრი ჯაიანი**: *"ქურთუკი, რომელიც ახლა მაცვია, კოტემ მაჩუქა თექვსმეტი წლის წინათ. ამას წინათ აღსადგენად მივიტანე და მითხრეს, არ გაკეთდებაო. როცა ვუთხარი, კოტე მახარაძის ნაჩუქარია-მეთქი, მაშინვე შეუძლებელი შეძლეს და ქურთუკი განაახლეს. თითქოს წვრილმანია, მაგრამ ეს ამბავი თვალნათლივ გამოხატავს ხალხის უზომო სიყვარულს კოტეს მიმართ".*

**ლევან ჯანეზაშვილი**

ბატუტი

# მაღალ დონეზე, როგორც არასდროს

თბილისის ტანვარჯიშულ სახეობათა სპორტულ დარბაზში დამთავრდა ბატუტზე მხტომელთა საქართველოს თასის გათამაშება. შეჯიბრებაში სხვადასხვა ასაკის 70-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა, რომელთა შორის გახლდათ პეკინის ოლიმპიადის მეექვსეადგილოსანი, ახალგაზრდებში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი **ლუბა გოლოვინა**, რომელსაც სპორტის ოსტატის პროგრამით კონკურენცია ვერავინ გაუწია. ლუბამ სავალდებულო და ნებისმიერი ვარჯიშები უზადოდ შეასრულა და დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი. მეორე ადგილი **ნანა გოგაშვილს** ხვდა, მესამე ადგილი შარშანდელი ევროპის გუნდური პირველობის ბრინჯაოს მედალოსნებმა - **ნანა ლუჟაშვილმა** და **თამუნა კაკაშვილმა** გაინაწილეს.

ვაჟებში ტოლი არ ჰყავდა **თენგიზ კოშკაძეს**. მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, **გიორგი ფუტკარაძე** და **თემურ სონღულაშვილი** გავიდნენ. სპორტის ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით გოგონებში საპრიზო სამეული ასე განაწილდა: 1. **ანა ოდიშვილი**, 2. **თინათინ ჩადუნელი**, 3. **თეონა ჯანჯღავა**. ვაჟებში მხოლოდ ორი მონაწილე გახლდათ - **ზვიად ნოზაძე** და **ირაკლი ბეიტრიშვილი**. ნოზაძემ უკეთ შეასრულა ვარჯიშები და პირველობაც მას ერგო.

სიხალვათე იყო პირველთანრიგოსანთა შორისაც: როგორც გოგონებში, ისე ვაჟებშიც აქ მხოლოდ ორ-ორი მხტომელი იბრძოდა მთავარი პრიზისთვის. საბოლოოდ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე **ნატა ჩადუნელი** და **ლაშა გაბაშვილი** ავიდნენ, მეორე ადგილები **ქეთი** და **გიორგი ენუქიძეებს** ერგოთ.

ტურნირის გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის დიპლომებით, თასებითა და ფასიანი საჩუქრებით ტანვარჯიშულ სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტმა **კობა სვინტრაძემ**, ვიცე-პრეზიდენტმა **რუსუდან ხოფერიამ**, გენერალურმა მდივანმა **თომზა ცომაიამ**, ტანმოვარჯიშე ვაჟთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ბესიკ გამსახურდიამ** დააჯილდოვეს.

- ბატუტზე ხტომაში საქართველოს თასის გათამაშება ასეთ მაღალ დონეზე კარგა ხანია არ ჩაგვიტარებია, - მითხრა ასპარეზობის დამთავრების შემდეგ რუსუდან ხოფერიამ. - ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ შეჯიბრების გასამართავად და პრიზების შესაძენად სპორტის დეპარტამენტი დაგვეხმარა, პირველ ადგილებზე გასულთათვის კი 500-500 ლარი ჩვენი ფედერაციას ახალმა პრეზიდენტმა ბატონმა კობა სვინტრაძემ დააწესა. მადლობის მეტი რა გვეთქმის.

ამ ეტაპზე მონაწილეთა რაოდენობითა და მათი მომზადების ხარისხითაც კმაყოფილი ვარ. საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა უფრო დაძაბული იქნებოდა, ქუთაისელებთან ერთად ბათუმელებიც რომ ჩამოსულიყვნენ თასის გათამაშებაზე - ზღვისპირელებს ობიექტურმა მიზეზებმა შეუშალა ხელი.

**- სეზონის ბოლომდე თითქმის თვე-ნახევარია დარჩენილი. ამ ხნის განმავლობაში კიდევ რომელიმე შეჯიბრებას თუ გამართავთ?**

- საქართველოს თასის გათამაშებით წლევანდელი პროგრამა, ფაქტობრივად, ამოვწურეთ. ერთადერთი - ახალგაზრდულმა ნაკრებმა დეკემბერში, შესაძლოა, საბერძნეთის საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზოს. ახლა ჩვენი სპორტსმენები ცოტას შეისვენებენ და შემდეგ ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგებიან. საერთაშორისო ფედერაციას თავისი კალენდარი ჯერ არ მოუწოდებია, მაგრამ ვიცით, რომ მსოფლიო თასის 4 ეტაპი გაიმართება, წლის ბოლოს კი მსოფლიოს ჩემპიონატი მოეწყობა. ყველა შეჯიბრებაზე უნდა გამოსცადოს ძალები ლუბა გოლოვინამ, რომელმაც პეკინის ოლიმპიადის შემდეგ ლიდერებში დაიმკვიდრა ადგილი. მან, ასე ვთქვათ, სულ მსაჯების თვალწინ უნდა იტრიალოს და თავი მოაწონოს მათ, თორემ, შესაძლოა, მნიშვნელოვან შეჯიბრებებზე ქულები დააკლონ, როგორც ეს წლეულს ევროპის ჩემპიონატსა და ოლიმპიურ თამაშებზე მოხდა. ასევე ბევრი ოფლის ღვრა მოუწევს თენგიზ კოშკაძესაც, რომელსაც აშკარად აქვს იმის პოტენციალი, რომ ელიტაში აღზევდეს. მართალი გითხრათ, სხვა ქართველი სპორტსმენებისგანაც ველით წარმატებებს.

**- საამისოდ სახსრები და კეთილმოწყობილი სპორტული ბაზაა საჭირო.**

- გეთანხმებით. ჩვენი ფედერაციის ახალი პრეზიდენტის - კობა სვინტრაძის გვეიმედება. ბიუჯეტი მალე დამტკიცდება და ვნახოთ, სპორტის დეპარტამენტი რა თანხას გამოგვიყოფს. რაც შეეხება ბაზას, უკვე ვეძებთ შესაფერის დარბაზს, რომელსაც სულ მცირე 10 მეტრი სიმაღლე, გათბობა, სხვა ელემენტარული პირობები ექნება. ეს აუცილებელია, რადგან ბატუტზე ხტომაში მოვარჯიშეთა რაოდენობა იზრდება და კარგა ხანია, სანაპიროზე არსებულ დარბაზში ოთხი სახეობის წარმომადგენლები ვერ ვეტევით. სპორტის დეპარტამენტისა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები სპორტული ინვენტარის, უპირველესად - ევროტრამპის სტანდარტის ბატუტების შეძენას შეგვპირდნენ. ჩვენს საერთაშორისო ფედერაციასთანაც მიმდინარეობს მოლაპარაკება, რათა გრანტის სახით გამოგვიყონ ან სოლიდური ფასდაკლებით შეგვაძენინონ ბატუტები. ვნახოთ, საქმე უკეთესობისკენ დაიძრა და, ვიმედოვნებთ, ჩვენთვის სასურველი შედეგითაც დასრულდება.

**ვაჟა დანელია**

ხელბურთი

# ქარიშხალა ბათუმშიც პირველია

ბათუმში 1993-94 წლებში დაბადებულ ხელბურთელთა ჩემპიონატის პირველი წრის მეორე ეტაპი დასრულდა. ქვეყნის პირველობის ამ მონაკვეთმა ოთხ დღეს გასტანა. მასში მონაწილეობა შვიდმა გუნდმა მიიღო. „რუსთავმა" ბათუმში ჩასვლა ვერ მოახერხა და ოთხივე მატჩში ტექნიკური მარცხი ჩაეთვალა. აღმოსავლეთი და დასავლეთი ზონის რვა გუნდი ერთმანეთს ჯვარედინი პრინციპით შეხვდა.

კარგად იასპარეზა ბათუმმა, რომელიც მხოლოდ ერთპიროვნულ ლიდერ „ქარიშხალასთან" დამარცხდა და სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესა. ყველაზე საინტერესო იყო შეხვედრა აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონის საუკეთესო გუნდებს შორის. ბრძოლა არ შედგა და „ქარიშხალამ" „სამტრედიას" უდიდესი უპირატესობით სძლია. გამარჯვებათა სერიის წყალობით, „ფოთი" მესამე საფეხურზე მყარად დგას.

ამ ასაკში მომდევნო ეტაპი მომავალი წლის მარტში გაიმართება, 1991-92-წლიანთა შორის კი თებერვალში.

| 10 ნოემბერი | |
|---|---|
| ქარიშხალა-ქუთაისი | 31:13 |
| ყვარელი-ბათუმი | 11:20 |
| ფოთი-თელავი | 26:12 |
| რუსთავი-სამტრედია | 0:10 (ტექნიკური) |

| 11 ნოემბერი | |
|---|---|
| ქარიშხალა-ფოთი | 25:13 |
| სამტრედია-ყვარელი | 26:17 |
| ქუთაისი-თელავი | 18:17 |
| ბათუმი-რუსთავი | 10:0 (ტექნიკური) |

| 12 ნოემბერი | |
|---|---|
| ფოთი-ყვარელი | 26:10 |
| თელავი-ბათუმი | 15:17 |
| სამტრედია-ქარიშხალა | 7:21 |
| ქუთაისი-რუსთავი | 10:0 (ტექნიკური) |

| 13 ნოემბერი | |
|---|---|
| თელავი-სამტრედია | 10:23 |
| ყვარელი-ქუთაისი | 16:14 |
| ბათუმი-ქარიშხალა | 11:19 |
| ფოთი-რუსთავი | 10:0 (ტექნიკური) |

| | მ | ფ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ქარიშხალა | 8 | 0 | 0 | 16 |
| 2. სამტრედია | 7 | 0 | 1 | 14 |
| 3. ფოთი | 6 | 0 | 2 | 12 |
| 4. ქუთაისი | 4 | 0 | 4 | 8 |
| 5. თელავი | 3 | 0 | 5 | 6 |
| 6. ყვარელი | 3 | 0 | 5 | 6 |
| 7. ბათუმი | 3 | 0 | 5 | 6 |
| 8. რუსთავი | 1 | 0 | 7 | 2 |

**ლევან ჯანეზაშვილი**

სუმო

# მოუგე მთას და გალიდერდი

პრაგმატულად რომ შევხედოთ საკითხს, მე-11 მაეგაშირა **კოკაის** (დოჰიოს მიღმა **ლევან ცაგურია**) სულ ორი მოგებაღა ესაჭიროება დადებითი ბალანსის დასაბევებლად, რაც რეიტინგში წინსვლის გარანტიაა. თუკი დღეს ლევანი ლიდერს, მიაბიამას მოუგებს, ოცნებას აღარ შევუკვეცთ ფრთებს და ვიტყვით, რომ ქართველ ფალავანს იმპერატორის თასისთვის ბრძოლა შეუძლია. 21 წლის **ლევან გორგაძისთვის** კი გამორჩეული დღეა კარიერაში – მიუხედავად იმისა, რომ მას კატასტროფული ბაშო აქვს, დიდ ჩემპიონთან ანუ იოკოძუნასთან დაჭიდება ბევრს ნიშნავს.

უქმეებზე ფუკუოკას საერთაშორისო დარბაზში კოკაიმ თითო მოგება-წაგება მიითვალა, ტოჩინოშინმა კი ორივე წააგო, მაგრამ ორივეჯერ იგი ჩემპიონის რანგის სუმოისტთან ჭიდაობდა. შაბათს კოკაიმ დოჰიოდან **კიმურაიამა** გააძევა, რომლის ზურგსუკან მოქცევა ქართველმა ეფექტურად მოახერხა. მოულოდნელი იყო ჩვენებურის მარცხი 21 წლის მე-9 მაეგაშირა **ტოჩიოძანთან**. იაპონელმა ქართველს მხარი „ჩაუკეტა" და საკმაოდ იშვიათი ილეთით, კატასუკაშით დაანარცხა დოჰიოზე. კოკაის 6-2 ბალანსი აქვს, მის წინ მხოლოდ ორი სუმოისტია - დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** და მე-7 მაეგაშირა მიაბიამა. დღეს, რომ ორივე ქართველმა მოიგოს (ტოჩინოშინი ჰაკუჰოს ხვდება, კოკაი – **მიაბიამას**), კოკაი ბაშოს ლიდერი ხდება. მიაბიამა ყველაზე მძიმე რიკიშია ელიტაში, ყოფილ ოძეკის კარგი რეპუტაციის გამო ფანები „კეთილშობილ მთას" ეძახიან. კოკაი მასზე 35 კილოთი ნაკლებს იწონის. ეს ორი რიკიში ბოლოს მაისის ბაშოზე დაეჭიდნენ ერთმანეთს, მაშინ ქართველმა იმარჯვა.

შაბათს ტოჩინოშინმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია ოძეკი **კოტომიცუკის**, მაგრამ მაინც დამარცხდა. გუშინ კი მას კიდევ ერთმა ოძეკიმ, **ჩიოტაიკაიმ** საფირმო ცუპარით აჯობა. მოკლედ, ლევანის საქმე ცუდადაა ბაშოზე – მას 1-7 ბალანსი აქვს, მეტი წაგების უფლება კი აღარ დარჩა. სიტუაცია კიდევ უფრო რთულია, რადგან დღეს ტოჩინოშინს მეტოქედ დიდი ჩემპიონი ჰაკუჰო ჰყავს (პირველად კარიერაში).

გუშინ ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მოიპოვა მესამე დივიზიონ მაკუშიტაში მოასპარეზე 21 წლის **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)**. მან **შოკეცუ** დაამარცხა ჰატაკიკომის ილეთით. გაგამარუს 4-0 ბალანსი აქვს, ქართველმა უკვე დაიბევა ბაშოს დადებითი ბალანსით დასრულება, თუმცა მას უფრო დიდი მიზანი აქვს – დივიზიონის მოგება. დღეისათვის მაკუშიტაში, სადაც 120 სუმოისტი მონაწილეობს, დაუმარცხებელი მხოლოდ სამია.

ნოემბრის ბაშოზე 7-7 მოგებით ჰაკუჰო და მიაბიამა ლიდერობენ, მათ კვალში 6-6 მოგებით 9 რიკიში უდგას, მათ შორის – კოკაი. მაღალი რანგის სუმოისტებიდან ოძეკი ჩიოტაიკაის და ორივე სეკივაკეს (**ამა** და **ბარუტო**) გამოვყოფთ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

VII დღე. მნიშვნელოვანი ორთაბრძოლები: ტოჩინოშინი (მ 4)-კოტომიცუკი (ო) 0:1 (იორიკირი); კოკაი (მ 11)-კიმურაიამა (მ 15) 1:0 (ოკურიდაში).

VIII დღე. მნიშვნელოვანი ორთაბრძოლები: ტოჩინოშინი (მ 4)-ჩიოტაიკაი (ო) 0:1 (ცუკიდაში); კოკაი (მ 11)-ტოჩიოძანი (მ 9) 0:1 (კატასუკაში); ჰაკუჰო (ი)-კისენოსატო (მ 4) 1:0; კოტომიცუკი (ო)-ასასეკირიუ (მ 5) 1:0; ბარუტო (ს)-კოტოოშუ (ო) 1:0; ამა (ს)-ტოიონოშიმა (მ 1) 1:0; ფუტენო (მ 1)-ამინიშიკი (კ) 1:0; კოტოშოგიკუ (მ 3)-ვაკანოსატო (მ 2) 1:0.

სატურნირო მდგომარეობა. 7-1: ჰაკუჰო (იოკოძუნა); მიაბიამა (მაეგაშირა 7). 6-2: ჩიოტაიკაი (ოძეკი); ამა (სეკივაკე); ბარუტო (სეკივაკე); კისენოსატო (მ 4); დეჯიმა (მ 5); კოკაი (მ 11); იოშიკაძე (მ 12); ტაკამისაკარი (მ 14); ტოსანოუმი (მ 16)... 1-7: ტოჩინოშინი (მ 4).

ავტოსპორტი

საქართველოს ჩემპიონატი

# არჯევანიძე გამარჯვებული, თავართქილაძე ჩემპიონი

ავტოსპორტში საქართველოს ჩემპიონატი „რომპეტროლი-2008" დასრულდა. დასკვნითი შეჯიბრება კუს ტბაზე, აღმართის ჩქაროსნულ დაძლევაში გაიმართა. 18 მონაწილე გამოვიდა სტარტზე 1300, 1600 და 2000 კუბ.სმ მოცულობის ძრავიანი ავტომობილებით („სუძუკი სვიფტი", „ჰონდა სივიკი" და „სუბარუ იმპრეზა").

**ოთარ თავართქილაძე** და **არჩილ ბიძინაშვილი** (ორივე „ სუბარუ იმპრეზა") წრიულსა და რალიში ჩემპიონის რანგში გამოდიოდნენ და, რა თქმა უნდა, რბოლის ფავორიტებადაც ითვლებოდნენ, მაგრამ...

მივყვეთ თანმიმდევრობით.

შეჯიბრება საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა წრიულ რბოლაში, **ზურაბ ბეჟაშვილმა** გახსნა, თანაც ფორმულა 3-ის მოდელით, მაგრამ, სამწუხაროდ, ტექნიკა გამოვიდა მწყობრიდან და ზურაბს რბოლა აღარ გაუგრძელებია. მისი მანქანა ცნობისმოყვარე ავტომოყვარულთა დათვალიერების ობიექტად იქცა. ბავშვები და მოზარდები კოკპიტში ჩაჯდომას ლამობდნენ და სამახსოვრო ფოტოებს იღებდნენ. აქედან ჩანს, რომ ფორმულის ტიპის მოდელი ყველგან და ყოველთვის პოპულარული იქნება.

საკვალიფიკაციო რბოლა ნორმალურად დაწყებული არც იყო, რომ **დავით მენთეშაშვილს** „სუძუკი სვიფტი" გაუჩერდა და რბოლა ველარ განაგრძო.

მონაწილეები 1 წუთის ინტერვალით გადიოდნენ სტარტზე და ძრავის მოცულობის მიხედვით ენიჭებოდათ ჩასათვლელი ქულები. ასე რომ, ბევრი გამარჯვებული იქნებოდა, მაგრამ ორი აბსოლუტური ჩემპიონი.

ყველა ავტომრბოლი ცდილობდა თავისი სიძლიერე ეჩვენებინა, სწრაფად, ზუსტად და უშეცდომოდ დაეძლია დისტანცია, მაგრამ ორი კვალიფიკაციის ჯამში ყველაზე სწრაფი **გოგა არჯევანიძის** და **ქეთი ბოჭოიძის** ოჯახური ეკიპაჟი აღმოჩნდა „სუბარუ იმპრეზას" მოდელით. მეორე შედეგი ჰქონდა ოთარ თავართქილაძეს, მესამე - არჩილ ბიძინაშვილს, მეოთხე - **მამუკა მელაძეს**, რომელიც „სიტროენ საქსოს" მოდელით ასპარეზობდა, მაგრამ მე-13 ნომრით, თუმცა მელაძემ დაამტკიცა, რომ „თარსი" ნომერი ზოგჯერ იღბლიანიც შეიძლება იყოს . 1600-იანთა კლასში მამუკამ საერთო გამარჯვება მოიპოვა. მეორე ადგილი **ლადო კუხიანიძემ** („ჰონდა სივიკი") დაიკავა, მესამე კი - **არჩილ ჩიქოვანმა** („სიტროენ საქსო").

იუნიორთა ანუ 1300-იანთა კლასში რბოლაც და აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულიც **დიმიტრი ქობულიამ** („სუძუკი სვიფტი") მოიპოვა. მეტოქეს სულ მცირედით ჩამორჩა **თორნიკე ჩარგეიშვილი** („ჰონდა სივიკი"), მესამე ადგილი კი დაიკავა **ლევან ქვარცხავამ** („სუძუკი სვიფტი").

2-ლიტრიანთა კლასში ძალზე დაძაბული ჭიდილი გამართეს ჩემპიონებმა, თავართქილაძემ და ბიძინაშვილმა. ისინი ერთმანეთში არკვევდნენ, თუ ვინ იქნებოდა ავტოსპორტში საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი. ამ ორთაბრძოლაში ბიძინაშვილი შეცდა, მაგრამ ნაჩვენები დროის მიხედვით მაინც შეინარჩუნა ლიდერთა შორის ადგილი.

გოგა არჯევანიძის და ქეთი ბოჭოიძის ეკიპაჟმა ამ ორთაბრძოლით ისარგებლა, წყნარად, მშვიდად და, ამავე დროს, მაქსიმალურად სწრაფად და ზუსტად გაიარა დისტანცია და საერთო გამარჯვებაც მოიპოვა. არაჩვეულებრივმა წყვილმა არაჩვეულებრივი მოდელით მოიპოვა გამარჯვება აღმართის ჩქაროსნულ დაძლევაში. მეორე ადგილზე ოთარ თავართქილაძე გავიდა, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მას აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული მოეპოვებინა. არჩილ ბიძინაშვილმა მესამე ადგილი დაიკავა რბოლაში და ვიცე-ჩემპიონის ტიტული აბსოლუტურ ჩათვლაში.

ამრიგად, „რომპეტროლი-2008"-ის სეზონში ყველა ადგილი განაწილდა, ჩემპიონების ვინაობა გაირკვა. დარჩა მხოლოდ შოუ, რომელიც დეკემბერში რესპუბლიკის მოედანზე გაიმართება. ეს იქნება ე.წ. პარალელური რბოლები და დრიფტში ოსტატობის დემონსტრირება.

**დავით ჩუბინიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**14 ნოემბერი**

**შარლოტი-იუტა 104:96**

18:25, 26:18, 27:25, 33:28

შ: ფელტონი (23+6 პასი+3 ჩაჭრა), ჯ. უოლასი (22+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), მორისონი (15).

ი: ბუზერი (26+15 მოხსნა), პრაისი (14), მილსეპი (12), ბრიუერი (10+3 ჩაჭრა), კუფოსი (9+10 მოხსნა+5 დაფარება).

**ინდიანა-ფილადელფია 92:94**

36:13, 21:36, 21:22, 14:23

ი: გრეინჯერი (18), ტ. დანიელსი (17+10 მოხსნა), ფორდი (12+7 პასი), ნესტეროვიჩი (10), ფოსტერი (10+11 მოხსნა).

ფ: ტ. იანგი (25+10 მოხსნა), ა. მილერი (19), ბრენდი (14+15 მოხსნა+3 დაფარება), იგუოდალა (10+10 მოხსნა+3 დაფარება), უ. გრინი (14).

**მაიამი-ვაშინგტონი 97:77**

27:20, 22:16, 27:17, 21:24

მ: უეიდი (24), ბიზლი (19+3 ჩაჭრა), ჰასლემი (13+13 მოხსნა), მერიონი (12+12 მოხსნა).

ვ: ჯეიმისონი (15+10 მოხსნა), იანგი (13), მაკგი (13).

**ნიუ ჯერსი-ატლანტა 115:108**

27:22, 22:28, 24:24, 42:34

ნ-ჯ: ჰარისი (30+8 პასი), კარტერი (26+8 მოხსნა+7 პასი), ლოპესი (25+9 მოხსნა+4 დაფარება), ანდერსონი (15), დულინგი (10).

ა: ჯ. ჯონსონი (32+9 მოხსნა), მერვინ უილიამსი (21), მიურეი (21), ბიბი (12), პორფორდი (6+11 მოხსნა).

**ნიუ იორკი-ოკლაჰომა 116:106**

37:20, 31:24, 25:33, 23:29

ნ-ი: კროუფორდი (29+7 პასი), ზ. რენდოლფი (29+19 მოხსნა), დ. ლი (18), რობინსონი (15+3 ჩაჭრა), ჩენდლერი (12+7 მოხსნა).

ო: დურანტი (23), უესტბრუკი (19+10 მოხსნა+6 პასი), გრინი (16+8 მოხსნა), კოლისონი (14), დ. მეისონი (11), სეიფტი (4+13 მოხსნა).

**ბოსტონი-დენვერი 85:94**

29:23, 13:25, 23:16, 20:30

ბ: რ. ალენი (26), პირსი (19+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), გარნეტი (16+9 მოხსნა), პაუსი (13).

დ: ბილაპსი (18+7 პასი), ენტონი (18+13 მოხსნა), მარტინი (16), ნენე (14+7 მოხსნა+5 ჩაჭრა), კლეიზა (10), სმიტი (10).

**მემფისი-მილუოკი 96:101**

25:21, 24:16, 15:27, 23:23, 9:14

მემ: მაიო (25), გეი (24), მ. გასოლი (18+7 მოხსნა), უორიკი (8+10 მოხსნა).

მილ: ჯეფერსონი (26+10 მოხსნა), სეშენსი (20), მბა ა მუტე (19+17 მოხსნა), რიდნური (14+7 პასი), ბოგუტი (12+15 მოხსნა).

**ნიუ ორლეანი-პორტლენდი 87:82**

21:19, 20:25, 23:18, 23:20

ნ-ო: დ. უესტი (18), პოლი (17+9 პასი+4 ჩაჭრა), პოუსი (14).

პ: როი (21+6 პასი), ოლდრიჯი (15+8 მოხსნა), ოდენი (11+11 მოხსნა+4 დაფარება), ფერნანდესი (10).

**დალასი-ორლანდო 100:102**

21:17, 35:29, 24:26, 20:30

დ: ჯ. ჰოვარდი (25+9 მოხსნა), ნოვიცკი (24), ტერი (20+3 ჩაჭრა), კიდი (13+7 მოხსნა+6 პასი).

ო: ლუისი (23+9 მოხსნა+4 ჩაჭრა), ნელსონი (21), პიეტრუსი (20+9 მოხსნა), დ. ჰოვარდი (18+13 მოხსნა), თურქოგლუ (12).

**ლეიკერსი-დეტროიტი 95:106**

16:23, 28:30, 18:24, 33:29

ლ: ბრაიანტი (29+6 პასი+4 ჩაჭრა), პ. გასოლი (15+10 მოხსნა+6 პასი), ოდომი (11), არიზა (10+7 მოხსნა).

დ: რ. უოლასი (25+13 მოხსნა), აივერსონი (25+4 ჩაჭრა), პრინსი (18+6 მოხსნა), ჰემილტონი (12), კ. ბრაუნი (10+10 მოხსნა).

**სან ანტონიო-ჰიუსტონი 77:75**

21:23, 19:20, 15:19, 22:13

ს-ა: დანკანი (22), პილი (17), ბონერი (11).

ჰ: არტესტი (18+3 ჩაჭრა), ბრუქსი (14+8 მოხსნა), იაო მინი (13+8 მოხსნა).

**საკრამენტო-ფინიქსი 95:97**

23:27, 19:26, 19:17, 25:16, 9:11

ს: სალმონსი (21+4 ჩაჭრა), ბ. მილერი (20+11 მოხსნა+7 პასი), უდრიხი (18), ჰოქსი (14+10 მოხსნა+3 დაფარება).

ფ: შ. ო'ნილი (29+13 მოხსნა+6 პასი), ჰილი (22+9 მოხსნა+4 ჩაჭრა), რ. ბელი (14+7 მოხსნა), ა. სტაუდმაიერი (12+3 დაფარება).

**15 ნოემბერი**

**კლიპერსი-გ. სტეიტი 103:121**

31:36, 19:22, 33:32, 20:31

კ: ბ. დევისი (25+11 პასი+3 ჩაჭრა), მობლი (19), კამანი (15+13 მოხსნა), კემბი (12+11 მოხსნა), ტორნტონი (11).

გ-ს: მოროუ (37+11 მოხსნა), ს. ჯექსონი (20+10 პასი), ბიედრინსი (17+16 მოხსნა), მაგეტი (17+5 მოხსნა), აზუბუიკე (15), უოტსონი (10+8 პასი).

**ატლანტა-ნიუ ჯერსი 107:119**

22:24, 28:31, 23:30, 34:34

ა: ჯონსონი (31+5 პასი+4 ჩაჭრა), მიურეი (14+6 პასი+3 ჩაჭრა), მერვინ უილიამსი (14+6 მოხსნა), ჰორფორდი (12+6 მოხსნა), ბიბი (10+7 პასი).

ნ-ჯ: ჰარისი (33+10 პასი), კარტერი (29+5 პასი), ანდერსონი (17+5 მოხსნა), ჰეიესი (14+3 ჩაჭრა), დულინგი (10+5 პასი).

**ფილადელფია-ოკლაჰომა 110:85**

24:22, 22:20, 33:18, 31:25

ფ: იანგი (23), იგუოდალა (15+5 მოხსნა+5 პასი), ბრენდი (15+5 პასი), დალემბერი (13+16 მოხსნა+3 დაფარება), ა. მილერი (6+9 პასი+6 მოხსნა+4 ჩაჭრა).

ო: გრინი (21+3 ჩაჭრა), დურანტი (13), უესტბრუკი (13), პეტრო (9+12 მოხსნა+4 ჩაჭრა).

**კლივლენდი-იუტა 105:93**

25:21, 21:32, 34:23, 25:17

კ: ლ. ჯეიმსი (38+7 პასი+5 მოხსნა), მო უილიამსი (20), ილგაუსკასი (16+7 მოხსნა), დ. უესტი (12+5 მოხსნა), ბ. უოლასი (1+10 მოხსნა+4 ჩაჭრა).

ი: ბუზერი (17+9 მოხსნა), მილსეპი (15+8 მოხსნა), პრაისი (12), მაილზი (12).

**მინესოტა-პორტლენდი 83:88**

25:27, 26:14, 20:24, 12:23

მ: ჯეფერსონი (26+6 მოხსნა+3 დაფარება), მ. მილერი (10+5 მოხსნა+5 პასი), ფოიე (10).

პ: როი (24+6 პასი), ოდენი (13+8 მოხსნა+3 დაფარება), პრჟიბილა (10+8 მოხსნა), ბლეიკი (10).

**ჰიუსტონი-ნიუ ორლეანი 91:82**

26:21, 22:15, 22:17, 21:29

ჰ: იაო მინი (21+6 მოხსნა), მაკგრეიდი (18+9 მოხსნა), სკოლა (12+10 მოხსნა), არტესტი (10+7 პასი), ბითიე (10).

ნ-ო: დ. უესტი (18+10 მოხსნა), ტ. ჩენდლერი (16), ლ ქპოუნ (13), პოლი (12+12 პასი).

**მილუოკი-ბოსტონი 97:102 (ო)**

20:21, 18:29, 21:21, 34:22, 4:9

მ: ბოგუტი (20+9 მოხსნა), რიდნური (19), მბა ა მუტე (14+9 მოხსნა), ჯეფერსონი (14), სეშენსი (14+6 პასი).

ბ: პირსი (28+7 მოხსნა+6 პასი), რ. ალენი (27), გარნეტი (15+7 მოხსნა+4 დაფარება), პაუსი (10).

**ჩიკაგო-ინდიანა 104:91**

27:17, 28:30, 26:26, 23:18

ჩ: როუზი (23+8 პასი+3 ჩაჭრა), გორდონი (19), დენგი (17), ნოჩიონი (20+11 მოხსნა), ჰიუზი (12+3 ჩაჭრა).

ი: ფორდი (16+7 მოხსნა), გრეინჯერი (15+10 მოხსნა), მ. დანიელსი (13), მერფი (12+13 მოხსნა+5 პასი), ნესტეროვიჩი (12+12 მოხსნა), ჯეკი (10).

# მანუ მალე დაბრუნდება?

"სან ანტონიო სპურსის" ერთ-ერთი ლიდერი **მანუ ჯინობილი**, შესაძლოა, მოედანზე იმაზე ადრე დაბრუნდეს, ვიდრე ამას ექიმები ვარაუდობდნენ. შეგახსენებთ, რომ პეკინის ოლიმპიადაზე არგენტინელმა კალათბურთელმა მარცხენა ფეხის ძველი ტრავმა გაიმიზეზა და სავარაუდოდ, დეკემბრის შუა რიცხვებამდე გამოეთიშა აქტიურ სპორტს. მაგრამ გასულ ხუთშაბათს ჯინობილი პირველად გაჰყვა თავის გუნდს გასვლით შეხვედრაზე. ამერიკული პრესის ინფორმაციით, არგენტინელს უკვე შეუძლია მარცხენა ფეხის სრულად დატვირთვა.

*"დღითი-დღე უკეთ ვგრძნობ თავს,* - განაცხადა 31 წლის კალათბურთელმა, - *მაგრამ გუნდთან ერთად ჯერ არ ვვარჯიშობ".*

ჯინობილიმ, რომელიც გასულ სეზონში "სან ანტონიოს" ყველაზე შედეგიანი (19.5 ქულა მატჩში) კალათბურთელი გახდა, ისიც აღნიშნა, რომ "სპურსის" უკანა ხაზის მეორე ლიდერის **ტონი პარკერის** ტრავმა ვერ დააჩქარებს მის მოედანზე დაბრუნებას. *"გონებით უნდა ვიმოქმედო, რადგან აჩქარებამ და რისკმა, შესაძლოა, ყველაფერი გააფუჭოს",* - ამბობს 2004 წლის ოლიმპიური ჩემპიონი.

თავის მხრივ, "სპურსის" მთავარი მწვრთნელი **გრეგ პოპოვიჩი** ასეთ კომენტარს აკეთებს ჯინობილის პერსპექტივების შესახებ: *"გამოჯანმრთელდება თუ არა მანუ ნოემბრის ბოლომდე? არ მინდა ამ საკითხთან დაკავშირებით უაზრო პროგნოზის გაკეთება. ის დაბრუნდება მაშინ, როცა სათამაშოდ ბოლომდე მზად იქნება".*

გია **თვალაბეიშვილი**

## რაგბი ლიგა. მსოფლიოს ჩემპიონატი

# სამხრეთული ფინალი

ავსტრალიაში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატი რაგბი ლიგაში დასასრულს უახლოვდება. როგორც მოსალოდნელი იყო, ცამეტკაცა რაგბის ყველაზე პრესტიჟული ტიტულისთვის სამხრეთ ნახევარსფეროს წარმომადგენლები - ზელანდია და ავსტრალია იბრძოლებენ.

კივები ნახევარფინალში ევროპის ერთადერთ წარმომადგენელ ინგლისის ნაკრებს დაუპირისპირდა და საკმაოდ დინამიურ, უშელავათო ბრძოლაში - 32:22 დაამარცხა. ზელანდიელები მთელი მატჩის განმავლობაში ანგარიშში მუდმივად წინ იყვნენ. თუმცა ინგლისელი მორაგბეების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მოწინააღმდეგეს საგრძნობლად დაწინაურებისა და შვებით ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ.

თამაშის დასრულებას 6 წუთი აკლდა. ზელანდია მხოლოდ ექვს ქულას იგებდა - 28:22. ინგლისელებმა ბოლო შტურმი წამოიწყეს. ჩათვლის მოედანს მიუახლოვდნენ, მაგრამ შეტევის ლიმიტი ამოეწურათ. ბურთი კივებმა იგდეს ხელთ, თუმცა იქვე დაკარგეს. თერნოვერი ინგლისელებმა ისევ ვერ გამოიყენეს. ზელანდიის ნაკრების დაცვა კედელივით იდგა. მეტიც, მატჩის დასრულებამდე ორი წუთით ადრე მათ მოწინააღმდეგე კიდევ ერთი ლელოთი დასაჯეს დაცვაში უყურადღებო თამაშისთვის.

ზელანდიელთაგან **ჯერომ როპატი** გამოირჩეოდა, რომელმაც მოწინააღმდეგეს ორი ლელო გაუტანა. ამდენივე ლელო მიითვალა ინგლისელმა **დენი მაკგირიმ**.

მეორე ნახევარფინალურ წყვილში შეჯიბრების მასპინძლების, კენგურუების უპირატესობა უსაშველოდ დიდი გამოდგა. ფიჯის ნაკრებს ფაქტობრივად ლელოს გატანის შანსი არც ჰქონია. ავსტრალიამ ეს შეხვედრა მშრალი ანგარიშით - 52:0 მოიგო და ჩემპიონობის საკმაოდ საფუძვლიანი ამბიცია აქვს.

ავსტრალიელთაგან სამ-სამი ლელო **ბილი სლეიტერმა** და **ჯონათან თურსტონმა** გაიტანეს. ორიც **ბრენტ ტატეს** ანგარიშზეა. ფინალში ავსტრალია 22 ნოემბერს ზელანდიას ბრისბენში, „სანკორპ სთედიუმზე" დაუხვდება.

ბესიკ **ჯანგავაძე**

**ავსტრალია-ფიჯი 52:0**

**ავსტრალია:** 10ლ - გალენი, ტატე (2), სლეიტერი (3), თურსტონი (3), ინგლისი. 6გ - თურსტონი.

**ზელანდია-ინგლისი 32:22**

**ზელანდია:** 6ლ - პერეტი, ჰოჰაია, როპატი (2), ჰარისონი, მარშალი. 4გ - სმითი.

**ინგლისი:** 4ლ - პეკოკი, მაკგირი (2), გლესონი. 3გ - ბაროუ.

**ფინალი. 22 ნოემბერი**

ავსტრალია-ზელანდია

## რაგბი. შემოდგომის ტესტები

# იგებენ ბოკებიც, ვოლაბიც, ოლ ბლექსიც



საშემოდგომო ტესტების მეორე ტური ისევ სამხრეთელთა უპირატესობით წარიმართა. თუმცა ამჯერად ყველა მათგანს, ავსტრალიას, არგენტინას, ზელანდიასა და სამხრეთ აფრიკას გამარჯვების მისაღწევად ბევრად მეტი ძალისხმევა დასჭირდათ, ვიდრე პირველ შეხვედრებში.

ინგლისის ნაკრები, რომელიც ტრავმირებული **ჯონი ვილკინსონის** გარეშე ასპარეზობს, ავსტრალიას დაუპირისპირდა და 14:28 დამარცხდა. ჯონის შემცვლელი ახალგაზრდა **დენი სიპრიანი** იმედის მომცემი მოთამაშე ნამდვილადაა, თუმცა ვილკინსონობას ჯერ ვერ ახერხებს. წამყვანი ათი ნომრის გარეშე კი პომები თავისთავს არ გვანან.

მასპინძლებმა ვოლაბებს წინააღმდეგობა მხოლოდ პირველ ნახევარში გაუწიეს. მართალია, დიდად არც ავსტრალიელები ბრწყინავდნენ, მაგრამ **მეტ გიტოს** ოთხი საჯარიმო საკმარისი გამოდგა, რომ პირველი ტაიმი თუნდაც მინიმალური ანგარიშით მოეგოთ - 12:11.

ინგლისელებმა პირველ ნახევარში ლელოს გატანა მოახერხეს შერკინების კვაჭის **ნაიჯელ აისტერის** ძალისხმევით. მაგრამ ავსტრალიელების დასაძლევად ეს საკმარისი სულაც არ გამოდგა. მეორე ტაიმში ვოლაბების ფულბეკმა **ადამ ეშლი-კუპერმა** შეტევის მარჯვენა ფრთაზე, კიდესთან ახლოს დაალელოვა მეტოქე, გიტომ საკმაოდ რთული პოზიციიდან ზუსტად გარდასახა. მანვე მერე ორი საჯარიმოც გაიტანა, რასაც გუნდის კაპიტანმა **სტირლინგ მორთლოქმა** ერთიც მიუმატა. ყოველივე ამაზე სიპრიანიმ კინკილა საჯარიმოთი გასცა პასუხი.

საკმაოდ დაძაბული გამოდგა დუბლინში ირლანდიისა და ახალი ზელანდიის ნაკრებების დაპირისპირების პირველი ნახევარი. თავად განსაჯეთ, ირლანდიელებმა მოწინააღმდეგეს ისეთი ფიცხელი ბრძოლა გაუმართეს, რომ „ოლ ბლექსმა" ანგარიში თამაშის მხოლოდ 26-ე წუთზე გახსნა. თუმცა მანამდე ზელანდიელთა დამრტყმელმა **დან კარტერმა** ორჯერ ხელსაყრელი პოზიციიდან არაზუსტად დაარტყა საჯარიმო. მესამე კი ზუსტი გამოუვიდა და ზელანდია 3:0 დაწინაურდა.

ირლანდიელებმა ანგარიში ორ წუთში გაათანაბრეს რონან ოგარას საჯარიმო დარტყმით - 3:3. გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება კი ზელანდიელებმა ტაიმის მიწურულს მოახერხეს. ბოლო შეტევისას კარტერმა ბურთი ფეხით შეაცურა მეტოქის ლელოსკენ. ყველაზე უმალ ბურთთან **რიჩი მაკკოუ** გაჩნდა, მაგრამ ირლანდიელმა გარემარბმა **ტედ ბოუიმ** ნახტომში ბურთი ხელით აუტში გადააგდო, რის გამოც არბიტრმა საჯარიმო ლელო დანიშნა. კარტემ, ცხადია, იოლად გარდასახა და ტაიმი ზელანდიელებმა - 10:3 მოიგეს.

მეორე ნახევარში ზელანდია დაცვაში კიდევ უფრო ყურადღებით გაისარჯა. მათ ხელდახელ ბურთაობას მასპინძლებმა ვერაფერი დაუპირისპირეს. ზელანდიელებმა **ბრედ თორნმა** და **მაა ნონუმ** თითო ლელო გაიტანეს, რომელთაგან კარტერმა მხოლოდ ერთი გარდასახა 22:3.

კიდევ უფრო უშელავათო გამოდგა შეხვედრა ედინბურგში, სადაც შოტლანდიამ მსოფლიოს თასის მფლობელი სამხრეთ აფრიკა მიიღო და 10:14 დამარცხდა. სქოთები პირველ ნახევარში პირდაპირ დაფრინავდნენ, თუმცა ანგარიში მხოლოდ 28-ე წუთზე გახსნეს. **ფილ გოდმანმა** საჯარიმოდან გაიტანა. ათ წუთში კი **ნათან ჰაინესმა** ლელო მითვალა, რომელიც ისევ გოდმანმა გარდასახა და მასპინძლებმა პირველი ნახევარი - 10:0 მოიგეს.

მეორე ტაიმი უკვე აფრიკელების იყო. მართალია, ბოკემ, **ჟაკ ფურის** ძალისხმევით, მასპინძელთა დარად მხოლოდ ერთი ლელოს გატანა მოახერხა, მაგრამ მონაგარს დამრტყმელმა **რუან პიენაარმა** კიდევ სამი საჯარიმო მიუმატა და თავისიანებს 14:10 გაამარჯვებინა.

ბესიკ **ჯანგავაძე**

**ინგლისი-ავსტრალია 14:28**

**ინგლისი:** ლ - აისტერი, 2ს- სიპრიანი, ა - არმიტაჯი.

**ავსტრალია:** ლ - ეშლი-კუპერი, 6ს,გ - გიტო, ს - მორთლოქი.

**შოტლანდია-ს. აფრიკა 10:14**

შოტლანდია: ლ - ჰაინესი, გ,ს - გოდმანი.

ს.აფრიკა: ლ - ფური, 3ს - პეინარი.

**ირლანდია-ზელანდია 3:22**

**ირლანდია:** ს - ოგარა.

**ზელანდია:** 3ლ- საჯარიმო, ნონუ, თორნი, 2გ,ს - კარტერი.

**საფრანგეთი-კუნძულელები 42:17**

**საფრანგეთი:** 5ლ - პიკამოლი, მედარდი, სვარჟევსკი, ჰიმენასი, ტილუს-ბორდე, 3ს,4გ - სკრელა.

**კუნძულელები:** ლ - ეპი, 4ს - სერემაია.

**იტალია-არგენტინა 14:22**

**იტალია:** ლ - მაზი, 3ს - მარკატო.

**არგენტინა:** ლ - კარბალო, 5ს,გ - კონტეპომი.

**უელსი-კანადა 34:13**

**იაპონია-აშშ 29:19**

**22 ნოემბერი**

შოტლანდია-კანადა
იაპონია-აშშ
უელსი-ზელანდია
იტალია-კუნძულელები
ინგლისი-ს. აფრიკა
ირლანდია-არგენტინა
საფრანგეთი-ავსტრალია

## ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**14 ნოემბერი**

**ატლანტა-კაროლინა 3:2**

1:0, 1:1, 1:1

გოლები: 1:0 რისონერი-4 (კ. არმსტრონგი-5), 2:0 პერენი-1 (ბულტონი-1, სლეიტერი-2), 2:1 ტ. რუუტუ-6 (ე. სტაალი-5, საინდენბერგი-7), 3:1 ვაჩ. კოზლოვი-9 (ლიტლი-8, ჰეინსი-8), 3:2 ბრინდამორი-6 (რეი უიტნი-10, ბაბჩუკი-3).

**ანაჰაიმი-ნეშვილი 3:4 (ო)**

2:2, 0:0, 1:1, 0:1

გოლები: 1:0 მორისონი-2 (სელიანე-7, მარჩანტი-2), 1:1 რ. ჯონსი-3 (ჰამჰუისი-4, კონსტინენი-1), 1:2 დუმონი-3 (მ. უებერი-9, ბონკი-3), 2:2 კუნიტცი-2 (სელიანე-8, გეტცლაფი-14), 2:3 ჯ. უორდი-3 (მ. უებერი-10, სატერი-10), 3:3 გეტცლაფი-7 (სელიანე-9, პერი-14), 3:4 ჰამჰუისი-1 (არნოტი-6).

**ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი 3:1**

2:0, 0:1, 1:0

გოლები: 1:0 ლეიჩი-4 (ოვეჩკინი-10, მ. გრინი-7), 2:0 ფლიშმანი-5 (ვიქ. კოზლოვი-3, მ. გრინი-8), 2:1 ელიაში-5 (ჯონსტა-8, ოდუია-7), 3:1 ოვეჩკინი-5 (ბექსტრომი-10, ლეიჩი-6).

**ბაფალო-კოლამბუსი 1:6**

0:3, 1:1, 0:2

გოლები: 0:1 უმბერგერი-6 (ბოლი-2, კლესლა-3), 0:2 პეკა-1 (ტიუტინი-7, მოდინი-5), 0:3 ბრასარი-8 (პეჰელოუსი-6, კომიდორი-8), 0:4 მალორტა-3 (ჩიმერა-8), 1:4 პომინვილი-6 (როუა-7, ტ. კონოლი-5), 1:5 უმბერგერი-7 (ჩიმერა-9, მალორტა-2), 1:6 ნეში-7 (კომიდორი-9).

**ფლორიდა-დეტროიტი 2:3**

0:1, 2:1, 0:1

გოლები: 0:1 მარიან ჰოსა-9 (სტიუარტი-2, კრონვალი-8), 0:2 მარიან ჰოსა-10 (ჰოლმსტრომი-5, დაცუიკი-12), 1:2 ზედნიკი-3 (მაკლინი-4, მაკები-3), 2:2 ვეისი-2 (ზედნიკი-4), 2:3 ფრანცენი-8 (კრონვალი-9, სამუელსონი-12).

**ჩიკაგო-სენტ ლუისი 3:4 (ო)**

1:3, 1:0, 1:0, 0:1

გოლები: 0:1 ე. მაკდონალდი-5 (სტემპნიაკი-7), 0:2 პერონი-2 (სტემპნიაკი-8, ბრიუერი-1), 1:2 ბიუფგლენი-2 (ლედი-3, ბოლანდი-7), 1:3 პადოკი-1 (მაკლემანი-4), 2:3 ბოლანდი-1 (ვერსტეეგი-10), 3:3 ბოლანდი-2 (ლედი-4), 3:4 ე. მაკდონალდი-6 (სტემპნიაკი-9, ბოიესი-7).

**15 ნოემბერი**

**მონრეალი-ფილადელფია 1:2**

0:0, 0:2, 1:0

გოლები: 0:1 ასჰემი-2 (მ. რიჩარდსი-14, ალბერტსი-2), 0:2 ჯ. კარტერი-11 (სამიონგჰონი-9, ქობერნი-5), 1:2 ტანგუეი-8 (ა. კოსტე-9, ბუილონი-1).

**ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი 6:5 (ბ)**

1:2, 2:1, 2:2, 0:0

გოლები: 1:0 კლარკსონი-4 (მადენი-4, პანდოლფო-3), 1:1 ფლეიშმანი-6 (ბექსტრომი-11), 1:2 ოვეჩკინი-6 (სლოუნი-1, ბექსტრომი-12), 2:2 ლანგენბრუნერი-4 (პარიზე-7, ზაიაცი-9), 3:2 ელიაში-6 (ზაიაცი-10, პარიზე-8), 3:3 ვიქ. კოზლოვი-2 (ბექსტრომი-13), 4:3 ელიაში-7 (ზაიაცი-11, კ. უაიტი-4), 4:4 ბექსტრომი-2 (ვიქ. კოზლოვი-4, ოვეჩკინი-11), 5:4 ჯონსტა-3 (ოდუია-8, ელიაში-6), 5:5 ოვეჩკინი-7 (ბექსტრომი-14, გორდონი-4).

ბულიტები გაიტანეს: პარიზე (ნიუ ჯერსი).

**აილენდერსი-ოტავა 3:2**

0:0, 2:0, 1:2

გოლები: 1:0 ბერგენჰაიმი-3 (უიტი-12, სატონი-4), 2:0 სიმი-4 (ნილსენი-6, შტრაიტი-8), 3:0 კამპოლი-3 (ჰეჯმენი-1, სიმი-1), 3:1 პიტლი-10 (ალფრედსონი-13, ფიშერი-4), 3:2 სპეცა-6 (პიტლი-7, კელი-3).

**რეინჯერსი-ბოსტონი 3:2 (ბ)**

0:0, 0:2, 2:0, 0:0

გოლები: 0:1 ხარა-2 (კესელი-4, სავარი-12), 0:2 ვიდემანი-5 (სავარი-13, ილე-4), 1:2 დეივსი-2 (კორპიკოსკი-1, ფრიტშე-3), 2:2 ნისლუნდი-6 (დუბინსკი-10, მარა-7).

ბულიტები გაიტანეს: დრური (რეინჯერსი).

**ფინიქსი-დალასი 2:3**

0:1, 2:2, 0:0

გოლები: 0:1 ლ. ერიქსონი-7 (რიბეირო-14, რობიდასი-7), 1:1 რაინპრეხტი-3 (იენდლი-7, დოუნი-8), 1:2 პერიში-4 (ზუბოვი-3, რიბეირო-15), 1:3 ლ. ერიქსონი-8 (პეტერსენი-2, რიბეირო-16), 2:3 პორტერი-3 (ბოდკერი-3, პანგალი-8).

**ედმონტონი-კოლორადო 2:3 (ბ)**

1:1, 1:0, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 ნილსონი-3 (გილბერტი-7, პოტკოვი-4), 1:1 რ. სმიტი-5 (შეიდიუკი-6, პ. შჩასტნი-12), 2:1 რედოქსი-1 (პიზანი-4, კოლიანო-3), 2:2 ტაკერი-4 (ლეოპოლდი-4, სალეი-3).

ბულიტები გაიტანეს: ტაკერი (კოლორადო).

**ვანკუვერი-ტორონტო 4:2**

2:0, 2:0, 0:2

გოლები: 1:0 უელვუდი-7 (დემიტრა-2, ო'ბრაიენი-3), 2:0 კესლერი-5 (ოლუნდი-4, დემიტრა-3), 3:0 რ. მიტჩელი-1 (ბაროუზი-7, ჰანსენი-5), 4:0 დ. სედინი-6 (ნიკოლატი-1, დემიტრა-4), 4:1 ი. უაიტი-3 (ფინგერი-3, სტრალმანი-3), 4:2 სტაიოსი-5 (ტ. კაბერლე-12, პონიკაროვსკი-8).

**პიტსბურგი-ბაფალო 5:2**

0:1, 1:1, 4:0

გოლები: 0:1 პომინვილი-7 (სეკერა-9, მეირი-2), 1:1 მალკინი-7 (გოლიგოსკი-5, ფედოტენკო-4), 1:2 ვანეკი-13 (მაკარტური-4, როუა-8), 2:2 გოლიგოსკი-4 (კროსბი-16, მალკინი-21), 3:2 ჯ. სტაალი-6 (კუკი-6, ტ. კენედი-6), 4:2 ფედოტენკო-4 (მალკინი-22, სიკორა-7), 5:2 ჯ. სტაალი-7 (მალკინი-23, სიკორა-8).

**მინესოტა-კოლამბუსი 3:2 (ბ)**

1:1, 0:0, 1:1, 0:0

გოლები: 1:0 ბურო-5 (ბელანჟე-5, კოვალჩუკი-5), 1:1 პეხელოუსი-6 (ბრასარი-9, ნეში-7), 2:1 რაიტცი-1 (ბრუნეტი-5, ბერნსი-2), 2:2 ნეში-8.

ბულიტები გაიტანეს: კოვალჩუკი (მინესოტა), მიეტინენი (მინესოტა).

**ლოს ანჯელესი-ნეშვილი 1:3**

0:0, 1:1, 0:2

გოლები: 0:1 არნოტი-8 (დუმონი-16, ერატი-7), 1:1 ჰანდუში-4 (კუინსი-6, ჰაროლდი-5), 1:2 დუმონი-4 (არნოტი-7, კოსტინენი-2), 1:3 მ. უებერი-8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. მასტერსის თასი

# ნოვაკი იწყებს და იგებს




სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** ავსტრალიის ღია პირველობის მოგებით დაწყებული სეზონი ჭადრაკის მთავარი წესის მიხედვით დაასრულა - "თეთრები იწყებენ და იგებენ". ჯოკერმა მასტერსის თასის ფინალში რუსი **ნიკოლაი დავიდენკო** დაამარცხა და ბრწყინვალე წერტილი დაუსვა 2008 სეზონს.

ნოვაკი სერბეთის პირველი წარმომადგენელია, ვინც მასტერსის თასის ფინალში გააღწია. საერთოდ, ჯოკოვიჩი თავისი ქვეყნისთვის ბევრ რამეს პირველად აკეთებს - 2007 წელს პირველი მასტერსი მოიგო (მაიამიში), წელს პირველი სერბი გახდა, ვინც "დიდი სლემის" ტურნირი მოიგო (ავსტრალიის ღია პირველობა), ახლა კი ამ ქვეყანას მასტერსის თასის პირველი გამარჯვებული ჰყავს.

დავიდენკოსთან ფინალის პირველ სეტში ბრძოლა თითქმის არ ყოფილა. ჯოკოვიჩი გეიმს გეიმზე იღებდა და მალე ანგარიში 5:0 გახდა. სერბი იმაზე გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე **ჟილ სიმონთან** ნახევარფინალში, სადაც მას სამი სეტის ჩატარება დასჭირდა ფრანგის დასამარცხებლად. რუსი კი პირიქით, მხოლოდ აჩრდილი იყო იმ დავიდენკოსი, რომელმაც წინა დღეს ბრიტანელი **ენდი მიურეი** გაანადგურა. ნიკოლაიმ მხოლოდ სეტის ბოლოს შეძლო ერთადერთი გეიმის აღება, 1:5-ზე კი ორი ბრეიკპოინტიც მიიღო, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა და სეტი 1:6 დათმო.

თამაშში სერიოზული ცვლილებები არც მეორე სეტის დასაწყისს მოუტანია. რუსი ოდნავ უფრო დამაჯერებლად ირჯებოდა, მაგრამ ჩოგბურთის ხარისხის მხრივ, აშკარად ჩამოუვარდებოდა მოწინააღმდეგეს. ჯოკოვიჩმა სწრაფად გააკეთა მატჩში მესამე ბრეიკი და კომფორტული უპირატესობაც მიიღო. ამის შემდეგ სერბი უფრო ახლოს იყო მეორე ბრეიკის მოგებასთან, ვიდრე დავიდენკო დაკარგული მოწოდების დაბრუნებასთან. პრაქტიკულად ყოველ გეიმში რუსს ბრეიკპოინტების მოგერიება უხდებოდა. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დავიდენკო არ დანებდა - მან მეცხრე გეიმში ორი მატჩპოინტი მოიგერია, შემდეგ კი მატჩში პირველი ბრეიკი გაახერხა და ანგარიში გაათანაბრა - 5:5.

მაგრამ ამ დროებით წარუმატებლობას ჯოკოვიჩზე ფსიქოლოგიურად არ უმოქმედია. ნოვაკმა იქვე კიდევ ერთხელ აიღო მეტოქის მოწოდებაზე გეიმი, თავისი კი "მშრალი" ანგარიშით მოიგო და მეორე პარტიაში 7:5 გაიმარჯვა.

მასტერსის თასზე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ჯოკოვიჩი თითქმის დაეწია **როჯერ ფედერერს** ATP-ის რეიტინგში - მათ ერთმანეთთან სულ რამდენიმე ქულა აშორებს. ეს კი 2009 წლის სეზონის სტარტზე შესანიშნავი ინტრიგის გარანტიას გვიტოვებს. შეიძლება ისე მოხდეს, რომ ნოვაკმა ავსტრალიის ღია პირველობამდე გადაინაცვლოს კლასიფიკაციის მეორე საფეხურზე.

■ ■ ■

გუშინვე მასტერსის თასის წყვილთა ფინალიც გათამაშდა. აქ არა მარტო წლის შემაჯამებელი ტურნირის გამარჯვებული, არამედ წყვილთა რეიტინგის პირველი ადგილის მფლობელიც ირკვეოდა. **დანიელ ნესტორსა და ნენად ზიმონჯიჩს** ამერიკელი ტყუპი ძმების - **ბობ და მაიკლ ბრაიანების** შევიწროების შანსი მიეცათ.

პირველ სეტში თანაბარი ბრძოლა იყო, მაგრამ ტაიბრეიკში კანადელისა და სერბის უპირატესობა აშკარა გახდა - 7:3. მეორე პარტიაში კი დანიელმა და ნენადმა ორჯერ აიღეს ამერიკელთა მოწოდება და მთავარი პრიზიც დაისაკუთრეს.

ამგვარად, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში პირველად მოხდა, როცა ბრაიანებმა სეზონი პირველი დუეტის რანგში ვერ დაასრულეს. ზიმონჯიჩისთვის ეს პირველი წარმატებაა კარიერაში, რაც შეეხება ნესტორს, ის **მარკ ნოულსთან** ერთად ორჯერ - 2002 და 2004 წლებში ითვლებოდა წყვილებში პირველ ჩოგბურთელად.

ამით საჩოგბურთო სეზონი თითქმის დასრულებულია. წინ მხოლოდ დევისის თასის ფინალია, რომელშიც არგენტინა **რაფაელ ნადალის** გარეშე დარჩენილ ესპანეთს უმასპინძლებს. მსოფლიოს პირველი ჩოგანის არყოფნამ პრაქტიკულად დაუკარგა ინტრიგა მომავალ დაპირისპირებას.

**გია თვალაბეიშვილი**

## ცხელი ხაზი

### კალათბურთი

#### გერმანია

| | |
|---|---|
| ულმი-კიოლნი | 90:88 |
| პადერბორნი-ერტლანდი | 95:85 |
| ბრაუნშვაიგი-დიუსელდორფი | 63:74 |
| ბროზე-სკაილაინერსი | 66:61 |
| ნორდლინგენი-ალბა | 42:72 |
| ტრირი-ოლდენბურგი | 72:70 |
| ტუბინგენი-ბრემერჰავენი | 68:51 |
| გოტინგენი-ბონი | 70:65 |

#### საბერძნეთი

| | |
|---|---|
| არისი-პაოკ | 87:76 |
| ტრიკალა-კოლოსოსი | 75:94 |
| ეგალეო-კავალა | 72:77 |
| ოლიმპიაკოსი-აეკ | 101:84 |
| პანელინიოსი-პანათინაიკოსი | 84:74 |
| პანიონიოსი-აელ | 74:57 |
| ოლიმპია-მარუსი | 69:78 |

#### ესპანეთი

| | |
|---|---|
| კახასოლი-ტაუგრესი | 74:101 |
| უნიკახა-ვალენსია | 82:75 |
| ბრუესა-ხუვენტუდი | 67:78 |
| ესტუდიანტესი-ფუენლაბრადა | 71:89 |
| გრანადა-მურსია | 79:70 |
| მენორკა-სარაგოსა | 102:75 |
| რეალი-ბილბაო | 84:74 |
| მანრესა-გრან კანარია | 67:68 |

#### იტალია

| | |
|---|---|
| ტერამო-კაზერტა | 89:82 |
| მილანი-კანტუ | 88:78 |
| რომა-მონტეპასკი | 68:88 |
| აველინო-ფერარა | 66:70 |
| ბენეტონი-მონტეგრანარო | 80:65 |
| ბიელა-ფორტიტუდო | 91:69 |
| სკავოლინი-სნაიდერო | 83:79 |
| ვირტუსი-რიეტი | 74:64 |

#### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| ვიში-შოლე | 68:57 |
| გრაველენი-ჰავრი | 79:46 |
| როანი-ნანსი | 74:79 |
| რუანი-პო ორტეზი | 81:69 |
| სტრასბური-ვილერბანი | 81:86 |
| შალონი-ბეზანსონი | 81:63 |
| ლე მანი-ორლეანი | 67:78 |

### ხელბურთი

#### ჩემპიონთა ლიგა

კაცები

| | |
|---|---|
| ჩეხ. მედვედი-კოპერი | 35:30 |
| ზაპოროჟიე-ჰაფნარი | 26:15 |
| კოპენჰაგენი-ცრ. ზვეზდა | 38:22 |
| ჟეგედი-ვისლა | 26:16 |
| ბრეგენცი-ციურიხი | 28:28 |
| დუკასი-ბოსნა | 20:20 |
| ტატრანი-ჰამბურგი | 26:35 |
| სელიე-შამბერი | 25:32 |
| ბარსელონა-დრამენი | 38:27 |
| მონპელიე-ადემარი | 34:34 |
| ფლენსბურგი-ვეშპრემი | 32:29 |
| სიუდადი-სვენდბორგი | 37:26 |
| სტიაუა-პორტლენდი | 28:29 |

#### გერმანია

| | |
|---|---|
| გროსვალშტადტი-ბალინგენი | 28:22 |
| დორმაგენი-გუმერასბახი | 28:28 |
| რაინი-შტრალზუნდი | 33:24 |
| ვეტცლარი-კილი | 28:41 |

#### ესპანეთი

| | |
|---|---|
| ოსტავიო-ალმერია | 25:24 |
| ლოგრონიო-გრანოლერსი | 33:33 |

#### შვედეთი

| | |
|---|---|
| გუიფი-ტრელებორგი | 41:25 |

### ჰოკეი

#### ქალ

| | |
|---|---|
| ბარისი-ავანგარდი | 4:2 |
| მეტალურგი (მ)-დინამო (მნ) | 3:3 |
| ტრაქტორი-დინამო (რ) | 4:3 |
| აკ ბარსი-ლოკომოტივი | 3:3 |
| ნეფტეხიმიკი-სკა | 0:1 |
| მეტალურგი (ნ)-ვიტიაზი | 3:1 |
| სიბირი-სპარტაკი | 4:1 |
| აკ ბარსი-სევერსტალი | 3:3 |
| ატლანტი-ტორპედო | 8:2 |
| ხიმიკი-ცსკა | 3:3 |

#### ავსტრია

| | |
|---|---|
| ალბა-ზალცბურგი | 1:4 |
| იეშენიცე-ვილახი | 4:2 |
| კლაგენფიურტი-გრაცი | 4:2 |
| ოლიმპია-ინსბრუკი | 2:4 |
| ვენა-ლინცი | 1:4 |

#### დანია

| | |
|---|---|
| ოლბორგი-ჰერლევი | 5:1 |
| ფრედრიკშავნი-ესბერგი | 2:2 |
| ჰვიდოვრე-ჰერნინგი | 3:3 |
| ოდენსე-სიონდერილი | 1:1 |
| როედოვრე-ნორდსილანდი | 0:1 |

#### შვედეთი

| | |
|---|---|
| აიკ-იურგორდენი | 2:2 |
| ბრიუნესი-ფრიოლუნდა | 2:1 |
| ლულეო-ლინჩოპინგი | 3:1 |
| ტიმრა-სიოდერტალე | 2:0 |
| ფერიესტადი-მოდო | 5:2 |
| როგლე-ჰვ 71 | 1:2 |

#### ნორვეგია

| | |
|---|---|
| სპარტა-ფურუსეტი | 3:3 |
| კომეტი-სტავანგერი | 3:1 |
| ფრისკ ასკერი-ლორენსკოგი | 2:3 |
| სტორჰამარი-ლილეჰამერი | 4:2 |
| ვოლერენგა-სტიორნენი | 4:1 |

#### გერმანია

| | |
|---|---|
| ჰამბურგი-კრეფელდი | 3:1 |
| ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 3:3 |
| კიოლნი-ნიურნბერგი | 5:1 |
| აუგსბურგი-შტრაუბინგი | 5:4 |
| დუისბურგი-იზერლონი | 4:4 |
| ფრანქფურტი-დიუსელდორფი | 3:2 |
| კასელი-აისბარენი | 2:4 |
| მანჰაიმი-ინგოლშტადტი | 3:1 |

#### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| ნიტრა-კეჟმაროკი | 7:3 |
| პოპრადი-ბისტრიცა | 4:1 |
| სკალიცა-კოშიცე | 1:5 |
| ზვოლენი-ტრენჩინი | 1:2 |

#### ფინეთი

| | |
|---|---|
| ლუკო-ესეტი | 1:2 |
| ილვესი-კალპა | 4:1 |
| იოკერიტი-კიეკო | 5:0 |
| კერპეტი-იუვიასკიულა | 3:2 |
| პელიკანსი-ჰიფკ | 1:5 |
| სეი პა-ტაპარა | 4:0 |
| ჰპკ-ტპს | 1:2 |

#### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ბუდეიოვიცე-ზლინი | 3:0 |
| ლიბერეცი-სლავია | 4:2 |
| პარდუბიცე-ვიტკოვიცე | 3:3 |
| სპარტა-ბოლესლავი | 2:1 |
| ტრშინეცი-კარლოვი ვარი | 4:1 |
| კლადნო-პლზენი | 2:1 |
| ზნოიმო-ლიტვინოვი | 5:3 |

#### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ამბრი-ლაგნაუ | 3:0 |
| ბერნი-ფრიბურგი | 3:3 |
| ბილი-რაპერსვილი | 4:2 |
| დავოსი-ცუგი | 4:5 |
| ლუგანო-კლოტენი | 3:3 |
| ჟიურიხი-ჟენევა | 2:1 |
| ფრიბურგი-ლუგანო | 5:1 |
| ცუგი-ბერნი | 3:6 |

### ჩოგბურთი

#### ATP. შანხაი

| | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-სიმონი | 4:6, 6:3, 7:5 |
| მიურეი-დავიდენკო | 5:7, 2:6 |
| ჯოკოვიჩი-დავიდენკო | 6:1, 7:5 |

## TV სპორტი

### 17 ნოემბერი. ორშაბათი

#### იმედი

01:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

07:30 ინგლისის ჩემპიონატი. ჰალი-მანჩესტერ სიტი.
09:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. ნიცა-ნანტი.
11:10 ესპანეთის ჩემპიონატი. მალაგა-ვილიარეალი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ესპანეთის ჩემპიონატი. აიაქსი-ეინდჰოვენი.
15:10 გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-კიოლნი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-ბორდო.
19:05 ესპანეთის ჩემპიონატი. რეკრეატივო-ბარსელონა.
20:55 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:40 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:00 საფეხბურთო ღამე
00:30 არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-ველეს სარსფილდი.
02:20 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
03:55 ინგლისის ჩემპიონატი. ჰალი-მანჩესტერ სიტი.
05:45 საფეხბურთო პროგრამა.
06:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-სტ. ეტიენი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

08:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლამენგო-პალმეირასი.
09:45 სპორტის სამყარო.
10:10 პროფესიული კრივი. 2007 წლის საუკეთესო ნოკაუტები.
10:25 მინი-მოედანი.
11:25 ფეხბურთელთა ცხოვრება.
11:50 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფლორიდა-დეტროიტი.
13:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-ლივერპული.
15:25 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ჯენოა.
17:15 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
17:20 ცურვა. მსოფლიოს თასი. ფინალი. ბერლინი. გერმანია.
19:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
19:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალიადოლიდი-რეალი.
21:45 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:50 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:20 კრივი. ევროპის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი.
02:25 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
02:30 პროფესიული კრივი. 2007 წლის საუკეთესო ნოკაუტები.
03:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
04:00 სპორტის სამყარო.
04:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-ედმონტონი (LIVE).
07:15 ფეხბურთელთა ცხოვრება.
07:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-ლივერპული.

#### EUROSPORT

11:30 ავტომოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
11:45 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. მაკაო.
12:45 ფეხბურთი. სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. ნორვეგია-ჰოლანდია.
13:45 ფეხბურთი. სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. რუმინეთი-საფრანგეთი.
14:45 ფეხბურთი. სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. ბელგია-ესპანეთი.
15:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. ფინალი. ჩრ. კორეა-აშშ. ახალი ზელანდია.
16:30 ფეხბურთი. აფრიკის ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. საპასუხო მატჩი. კოტონი (კამერუნი)-ალ-აჰლი (ეგვიპტე).
18:15 ფეხბურთი. სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩები.
19:15 ფეხბურთი. სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. ბელგია-ესპანეთი.
20:00 ფეხბურთი. სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. ნორვეგია-ჰოლანდია.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:45 სნუკერი. ბაჰრეინის ჩემპიონატი. ფინალი.
23:00 ბრძოლა წესების გარეშე.
02:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
02:45 სნუკერი. ბაჰრეინის ჩემპიონატი. ფინალი.
04:00 ექსტრემალური სპორტი.

#### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ჟეგედი (უნგრეთი)-ვისლა პლოცკი (პოლონეთი).
14:00 ახალი ამბები.
14:30 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. რეგულარული სეზონი. ოლიმპიაკოსი-აეკ.
15:30 ახალი ამბები.
17:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ჟეგედი (უნგრეთი)-ვისლა პლოცკი (პოლონეთი).
18:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. III ტური. იკასტი (დანია)-კომეტალი (მაკედონია).
18:45 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. რეგულარული სეზონი. ოლიმპიაკოსი-აეკ.
19:45 ახალი ამბები.
21:45 თავგადასავალი.
22:15 ავტომოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
23:30 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. რეგულარული სეზონი. ოლიმპიაკოსი-აეკ.
00:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. III ტური. იკასტი (დანია)-კომეტალი (მაკედონია).
00:15 კიბერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. აშშ.
02:30 ფეხბურთი. იაპონიის ლიგა. ტურის მიმოხილვა.
03:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# ჰეიმ ნოკაუტით დაიწყო



შაბათს ლონდონში ¹სუპერმძიმე წონით კატეგორიაში დებიუტი ჰქონდა პირველ მძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონს, 28 წლის ბრიტანელ **დევიდ ჰეის**.

ჰეიმ დამაჯერებლად დაამარცხა ვეტერანი ამერიკელი **მონტე ბარეტი**, რომლის კარიერის მწვერვალად რამდენიმე სატიტულო ბრძოლაში მონაწილეობა ითვლება, თუმცა 37 წლის მოკრივეს საჩემპიონო ქამარი არასოდეს მოუპოვებია.

ბრიტანელმა თავიდანვე შეუტია და უკვე მესამე რაუნდში ორჯერ გაგზავნა ბარეტი ნოკდაუნში. იგივე განმეორდა მეოთხე სამწუთეულშიც, მაგრამ ამერიკელი დანებებას არ აპირებდა და ბრძოლის გაგრძელება გადაწყვიტა.

გადამწყვეტი აღმოჩნდა მეხუთე რაუნდი. თავიდან ბარეტს ქულა წაართვეს აკრძალული ილეთის გამოყენების გამო. ერთ-ერთ ეპიზოდში ჰეის ფეხი დაუცდა, რინგზე დაეცა და სწორედ ამ დროს მოარტყა მას ამერიკელმა ყბაში. ცოტა ხნის შემდეგ კი ბარეტი მეხუთედ აღმოჩნდა ნოკდაუნში. საქმეში რეფერი ჩაერია, რომელმაც ბრძოლა შეაჩერა და მეხუთე რაუნდში დევიდ ჰეის ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება დააფიქსირა.

ფორმულა 1

# დიდი ცირკი ჩინეთის გარეშე?

ბილეთების არასაკმარისი რეალიზაციისა და სატიტულო სპონსორის (Sinopec) სავარაუდო ნასვლის გამო, შესაძლოა, არსებობა შეწყვიტოს ჩინეთის გრანპრიმ. ჟურნალ Autosport-ის ინფორმაციით, 2010 წელს ეწურება ვადა ფორმულა 1-ის ამ ეტაპის ორგანიზატორებისა და სამეფო რბოლების ხელმძღვანელობას შორის კონტრაქტს. და თუ ხელშეკრულება არ გაგრძელდება, შანხაის რბოლას კალენდრიდან ამოიღებენ.

*"ამ მომენტისთვის კონტრაქტის გაგრძელების საკითხს განვიხილავთ,* - ამბობს შანხაის სპორტული ადმინისტრაციის თავმჯდომარე **ციუ ვეიჩანი**. - *მაგრამ ჯერ არაფერია გარკვეული. საბოლოო პასუხის გაცემა მომავალი წლის დასაწყისში შეგვეძლება. გვინდა ისეთ ხელშეკრულებას მივაღწიოთ, რომელიც ორივე მხარისთვის ხელსაყრელი იქნება. თუ ეს მოხერხდა, მაშინ თანამშრომლობა აუცილებლად გაგრძელდება".*

*"მოქმედი კონტრაქტი 5 წლით გაგრძელების შესაძლებლობას ითვალისწინებს. ჩინურ მხარესთან ურთიერთობას გავაგრძელებთ და შევხედავთ, რით შეგვიძლია მათთვის დახმარების გაწევა",* - ამბობს **ექლსტოუნი**.

სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი

# ვონის პირველი სლალომი

გასულ უიქ ენდზე სამთო მოთხილამურეები ფინეთის კურორტ ლევიში შეიკრიბნენ და ამ სეზონში პირველად სლალომში სცადეს ბედი.

მიუხედავად იმისა, რომ ქალებს შორის ეტაპი მსოფლიოს თასის შარშანდელმა გამარჯვებულმა **ლინდსი ვონმა** მოიგო, საბოლოო შედეგი ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ აქამდე სლალომში ამერიკელი მოთხილამურის საუკეთესო შედეგი მეოთხე ადგილი იყო. ვონი ჩქაროსნული დისციპლინების (სწრაფდაშვება, სუპერგიგანტი) სპეციალისტია, სადაც ჯამში მსოფლიოს თასის 13 ეტაპი აქვს მოგებული. ახლა კი ვონმა ამ კოლექციას სპეციალურ სლალომში გამარჯვებაც დაუმატა.

*"ჩემი მიზანი მსოფლიოს თასის შენარჩუნებაა და ამისთვის, სლალომის ეტაპებზე მაქსიმალურად მეტი ქულა უნდა მოვიპოვო. ამჯერად ქულათა ზონაში შესვლას ვფიქრობდი, მაგრამ არ მეგონა თუ გამარჯვებას შევძლებდი",* - განაცხადა ფინიშის შემდეგ ვონმა.

არადა, მეორე ცდის ბოლოს, ამერიკელმა მთელი თავისი მონდომება კინაღამ წყალში ჩაყარა. ზედ ფინიშის ხაზზე მან უხეში შეცდომა დაუშვა და დისტანცია წაქცეულმა დაასრულა, მაგრამ წამის დაკარგულ მეასედებს საბოლოო შედეგზე არ უმოქმედია.

ამ გამარჯვებით ვონმა ხელთ იგდო მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში ლიდერობა, წინ კი მისი საყვარელი ჩქაროსნული ეტაპებია და შესაბამისად, ამერიკელს ლიდერობის განმტკიცების კარგი შესაძლებლობა აქვს.

■ ■ ■

კინაღამ ვონის მსგავსი გმირობა ჩაიდინა ცნობილმა ამერიკელმა მოთხილამურემ **ბოდე მილერმა**. მამაკაცები ასევე სლალომში კვირას შეეჯიბრნენ ერთმანეთს და მილერმა მოულოდნელად მეორე ადგილის დაკავება შეძლო.

ბოდესთვის შარშანდელი მსოფლიოს თასის სლალომის ეტაპებზე საუკეთესო შედეგი მეხუთე ადგილი იყო და ბუნებრივია, მისგან ლევიში პირველობისთვის ბრძოლას არავინ ელოდა. თუმცა ამერიკელმა უკვე პირველ ცდაზე დაადასტურა საპრიზო სამეულში მოხვედრის პრეტენზია, როცა 60 მონაწილეს შორის მესამე დრო აჩვენა.

გუშინდელი ტრასა ძალიან რთული აღმოჩნდა და ბევრი ფავორიტი გამოეთიშა ბრძოლას. მათ შორის იყვნენ ცნობილი ავსტრიელი **ბენიამინ რაიხი** და ამერიკელი **ტედი ლიჯეტი**. ამის წყალობით, მილერი ორი ცდის ჯამში ლიდერი გახდა, სტარტზე კი დარჩენილი ერთადერთი მონაწილე უნდა გამოსულიყო - პირველ ცდაზე საუკეთესო დროის ავტორი **ჟან-ბაპტისტ გრანჟი**. ფრანგმა მეორედაც უშეცდომოდ გაიარა დისტანცია და მილერს გამარჯვება არ დაანება.

გრანჟი სწორედ სლალომის სპეციალისტად არის მიჩნეული და შარშან ამ დისციპლინაში მოგებულ სამ ეტაპს ფრანგმა კიდევ ერთი გამარჯვება დაუმატა. რაც მთავარია, ამ მოგებით ჟან-ბაპტისტი საერთო ჩათვლის ლიდერი გახდა.

**ლევი. ფინეთი**

**სლალომი. ქალები**

1. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 1:47.98 (53.61+54.37); 2. **მარია პიეტილაე-ჰოლმნერი** (შვედ) - 1:48.38 (53.99+54.39); 3. **მარია რიში** (გერ) - 1:48.64 (54.08+54.56); 4. **ნიკოლ ჰოსპი** (ავსტრია) - 1:48.94 (53.83+55.11); 5. **ვერონიკა ზუზულოვა** (სლოვაკ) - 1:49.10 (54.59+54.51); 6. **ტანია პოუტიაინენი** (ფინ) - 1:49.28 (54.52+54.76).

**საერთო ჩათვლა:** 1. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 129 ქულა; 2. **ტანია პოუტიაინენი** (ფინ) - 120; 2. **მარია პიეტილაე-ჰოლმნერი** (შვედ) - 120; 4. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 100; 5. **მარია რიში** (გერ) - 80; 6. **ანია პერსონი** (შვედ) - 72.

**სლალომი. კაცები**

1. **ჟან-ბაპტისტ გრანჟი** (საფ) - 1:44.49 (51.72+52.77); 2. **ბოდე მილერი** (აშშ) - 1:45.28 (51.98+53.30); 3. **მარიო მატი** (ავსტრია) - 1:45.42 (52.53+52.89); 4. **სილვან ცურბრიგენი** (შვეიც) - 1:45.55 (52.86+52.69); 5. **ივიცა კოსტელიჩი** (ხორ) - 1:45.57 (52.46+53.11); 6. **ანდრე მირერი** (შვედ) - 1:45.59 (52.48+53.11).

**საერთო ჩათვლა:** 1. **ჟან-ბაპტისტ გრანჟი** (საფ) - 122; 2. **ბოდე მილერი** (აშშ) - 106; 3. **დანიელ ალბრეხტი** (შვეიც) - 100; 4. **დიდიე კუში** (შვეიც) - 80; 5. **ტედ ლიჯეტი** (აშშ) - 69; 6. **მარიო მატი** (ავსტრია) - 63.



მოტოსპორტი

# ჰონდამ შუმი მიიწვია

კომპანია "ჰონდას" მოტოგანყოფილება მზად არის კონტრაქტი გააფორმოს ფორმულა 1-ში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონ **მიხაელ შუმახერთან** და მას სუპერბაიკის მსოფლიოს ჩემპიონატში გამოსვლა შესთავაზოს.

2008 წელს ლეგენდარულმა გერმანელმა "ჰონდას" მოტოციკლებით გერმანიის ჩემპიონატში რამდენიმე რბოლა ჩაატარა, ცოტა ხნის წინ კი პორტუგალიაში გამართულ ტესტებზე საკმაოდ კარგი სისწრაფე განავითარა, ოღონდ - "დუკატის" მოტოციკლით.

*"მიხაელი დარწმუნებულია, რომ გერმანიის ჩემპიონატი სწორედ ის ტურნირია, რომელიც მას ამ ეტაპზე სჭირდება. შუმის ჯერჯერობით არ უთხოვია ჩვენთვის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლა, მაგრამ თუ მას მსგავსი სურვილი გაუჩნდება, მზად ვართ, უკვე 2009 წლის ჩემპიონატზე მივცეთ თავის გამოჩენის საშუალება. მან, უბრალოდ, უნდა გვთხოვოს, მეტი შუმისგან არაფერია საჭირო",* - განაცხადა "ჰონდას" ევროპული მოტოგანყოფილების შეფმა **კარლო ფიორანიმ**.

რთული სათქმელია, გამოეხმაურება თუ არა იაპონური კომპანიის წინადადებას გერმანელი პილოტი. როგორც იცით, შუმახერმა არაერთხელ განაცხადა, რომ მოტოსპორტით სერიოზულად არ არის დაინტერესებული: *"მეორე კარიერის დაწყებას არ ვაპირებ. ეს მხოლოდ ჰობია".*



# ვალენტინო რალიზე ფიქრობს

მოტოგრანპრიში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, იტალიელი **ვალენტინო როსი** მოტომრბოლელის კარიერის დასრულების შემდეგ, რალიში აპირებს ძალების მოსინჯვას. ვალენტინოს ამ სერიის მსოფლიოს ჩემპიონატის ორ ეტაპში აქვს მიღებული მონაწილეობა, ამა წლის დეკემბერში კი ბრიტანეთის რალიში აპირებს გამოსვლას.

"გაძეტა დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში როსი აცხადებს: *"რალი ძალიან მიყვარს. მაგალითად, შემიძლია ზაფხულობით მოტოგრანპრიში გამოვიდე, ზამთარში კი რალიში. ასე რომ, ყველაფერი შესაძლებელია. "იამაჰასთან" ჩემი კონტრაქტი კიდევ ორი წელი იქნება ძალაში, ეს კი ძალიან დიდი დროა".*

*"2002 წელს ბრიტანეთის რალი ავარიის გამო ვერ დავასრულე, მაგრამ ახლა მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, ფინიშს მივაღწიო. პირველად ძალიან გამიჭირდა, რადგან ყველაფერი უცხო იყო ჩემთვის: ადრე ადგომა, მრავალკილომეტრიანი ტრასა და მის ყველა მონაკვეთზე მაქსიმალური კონცენტრაცია,* - ამბობს როსი. - *გასულ კვირას უელსში გამართულ ტესტებში ვიღებდი მონაწილეობას. წვიმდა და საშინლად ციოდა. დარწმუნებული ვარ, ბრიტანეთის წლევანდელი ეტაპი რთული იქნება, მაგრამ მე იქ წარმატებას ვგეგმავ".*



გვერდი მოამზადა გია თვალაბეიშვილმა